

# ადმსარებლობის თავისუფლება

**ეუთოს წავრ ქვეყნებში**

სამართლებრივი  
მიმოხილვა



მიმოხილვა მომზადებულია  
ევროკავშირის მხარდაჭერით

თბილისი  
2002

© 2002, თავისუფლების ინსტიტუტი

**თბილისი, გრიბოედოვის 23**

ტელ: 8 22 93 66 15  
93 25 16

ფაქსი: 8 22 93 67 84

ელ-ფოსტა: [liberty@liberty.ge](mailto:liberty@liberty.ge)

# შესავალი

წინამდებარე ნაშრომი დაეფუძნა მიმოხილვას, რომელიც ეუთოს მოთხოვნით მოამზადა კონგრესის იურიდიული ბიბლიოთეკის სამართლებრივი კვლევების დეპარტამენტმა. ნაშრომში აღწერილია რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი ასპექტები შემდეგ ქვეყნებში: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი, ავსტრია, პოლონეთი, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო. ეს ქვეყნები შევარჩიეთ ერთი მიზნით: დაგვენახვებინა მკითხველისათვის რელიგიის რთული პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლებლობა და მიდგომები. ყოველ ქვეყანაში საკანონმდებლო მიდგომების განსხვავებას ისტორიული განვითარების თავისუფლება განაპირობებს. მნიშვნელოვანია თვით ამ სახელმწიფოთა ბუნების ცოდნაც — სეკულარულია სახელმწიფო თუ არა, ანუ დასაშვებად მიიჩნევა სამართლებრივ კავშირს რომელიმე რელიგიასთან? რა თქმა უნდა, სახელმწიფო თავად განსაზღვრავს თავის სამართლებრივ დამოკიდებულებას რელიგიებთან, მაგრამ, როგორც უნდა იყოს ეს კავშირი, ის ვერ გაამართლებს სახელმწიფოს საკუთარ მოქალაქეთა რელიგიური უფლებების შელახვის ან რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის დროს.

ცალკეულ სახელმწიფოებში რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი ასპექტების აღწერისას, ამ ნაშრომში ერთიანი მეთოდი და სტრუქტურაა გამოყენებული. ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რათა ყველა ძირითადი საკითხისათვის თვითეული ქვეყნის სამართლებრივ სისტემასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით გაგვეცა პასუხი. მიმოხილვებში განვიხილავთ თვითეული ქვეყნის კონსტიტუციურ სტრუქტურას, ნორმატიული აქტების იერარქიას, კონსტიტუციურ დებულებებს რელიგიის თავისუფლების შესახებ, ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა თუ შეთანხმებათა შესაბამისად, რომელთა წევრებად ეს ქვეყნები გვევლინებიან; აქ არის ჩამონათვალი იმ საკანონმდებლო აქტებისა, რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს რომ აწესრიგებენ. აღწერილია რელიგიურ გაერთიანებათა სტატუსი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოთვლილია ის სახელმწიფო

თუ კვაზი-სამთავრობო ორგანოები, რომელთაც რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები ეხებათ. მიმოხილვებში ცალკე თავად არის განხილული კონკრეტული ქვეყნების მნიშვნელოვანი სპეციფიკური პრობლემები.

### **საქართველოს კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების შესახებ**

რელიგიის თავისუფლების საკითხები სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნისათვის. რელიგიური შემწყნარებლობის დიდი ისტორიული ტრადიციების მქონე ქვეყანა ხშირად ფიგურირებს რელიგიის თავისუფლების დარღვევების ამსახველ სხვადასხვა საერთაშორისო მოხსენებებში. რელიგიურ უმცირესობებზე ბოლო პერიოდში გახშირებულმა თავდასხმებმა, რასაც სამართალდამცავი ორგანოების არა მარტო პასუხისმგებლობა, არამედ ზოგჯერ ღია მხარდაჭერაც ახლავს, საქართველოს დაუკარგა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებელი ქვეყნის რეპუტაცია.

კომუნისტური რეჟიმის მახასიათებელი ათეისტური ატმოსფერო ძალიან სწრაფად გაქრა (გარეგნულად მაინც) და დღეს მნიშვნელოვანი საჯარო მოვლენა წარმოუდგენელია რელიგიური რიტუალის გარეშე. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაციისა და ტრადიციების არარსებობამ გარკვეული პრობლემები წარმოქმნა.

რელიგიის თავისუფლების შესახებ მთავარ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად,

**„1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“**

2001 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო შესწორების თანახმად, საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ეკლესიას შორის უნდა გაფორმდეს საკონსტიტუციო შეთანხმება:

**„2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად სფეროში.“**

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან

კონსტიტუციურ შეთანხმებას დებს საქართველოს პრეზიდენტი. ამ შეთანხმებას საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს ხმათა სამი მეხუთედის უმრავლესობით. კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტია და უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდა კანონმდებლობასა და საქართველოს მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებით; თუმცა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან შედარებით, უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ. კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების შეტანიდან ერთი წელი გავიდა და კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის ჯერ-ჯერობით არ არის გაფორმებული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულია თანასწორობა მიუხედავად რელიგიური კუთვნილებისა: **„ყველა ადამიანი თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორობა განუზღვრელად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა...“**

საქართველო არის წევრი რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმებისა, რომლითაც გარანტირებულია რელიგიის თავისუფლება. კერძოდ:

საქართველომ 1994 წელს განახორციელა „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება.

1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას საქართველო 1999 წელს შეუერთდა. საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა, რაც ჩვენს მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მოცემულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, გაასაჩივრონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

რელიგიური ორგანიზაციების შექმნის საკითხებს ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ის მოითხოვს, რომ ყველა რელიგიური გაერთიანება არსებობდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით; კერძოდ, კოდექსის 1509-ე მუხლში მითითებულია, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ითვლებიან საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები, რელიგიური გაერთიანებები და სხვა). „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი კი არ ითვალისწინებს რელიგიური გაერთიანების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბების პროცედურას. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას:

- ა) კანონით;
- ბ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

ბუნებრივია, ვერც კანონით და ვერც სამთავრობო დანესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციული აქტით რელიგიური ორგანიზაცია ვერ დაფუძნდება. გამოდის, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან მესხეთე წელს ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციის საკითხი. ამის შედეგი კი გახლავთ ის, რომ საქართველოში მოქმედი არც ერთი რელიგიური გაერთიანება, მათ შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რეგისტრირებული არ არის. ეს სერიოზულად აბრკოლებს რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობას. მათ არ შეუძლიათ მოგვევლინონ სამოქალაქო ურთიერთობათა სრულყოფილ მონაწილეებად.

სამართლის ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის მოთხოვნისა, რელიგიური გაერთიანებები შეიძლება დარეგისტრირდნენ და იმოქმედონ არასამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. მართალია, ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი (გაერთიანებათა თავისუფლება), საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იეჰოვას მოწმეთა კავშირის რეგისტრაციის საქმეზე დაადგინა, რომ რელიგიური გაერთიანება უნდა ფუნქციონირებდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით და დაუშვებლად მიიჩნია რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაცია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირის — კავშირის ფორმით. სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით უფრო გააძნელა რელიგიურ გაერთიანებათა სრულფასოვანი ფუნქციონირება.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით გერმანიაშიც კი, საიდანაც სათავეს იღებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ყველა რელიგიური გაერთიანება არ შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით. თუ რელიგიური გაერთიანება ვერ აკმაყოფილებს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის (რაც თავის მხრივ, სერიოზულ საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებს გულისხმობს) წაყენებულ მოთხოვნებს, მას შეუძლია საქმიანობა განახორციელოს არასამეწარმეო კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, ოღონდ ვერ ისარგებლებს საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის დადგენილი ხელსაყრელი რეჟიმით. თუ კარგად გავეცნობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ორი წლის შემდეგ მიიღეს, ცხადი გახდება, რომ ის შეუძლებელია გამოვიყენოთ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობისათვის. საჯარო სამართლის ყველა იურიდიულ პირს უნდა ჰყავდეს მაკონტროლებელი ორგანო აღმასრულებელ სტრუქტურაში, ძალზე მარტივია საჯარო სამართლის იურიდიული პირის გაუქმება, რასაც, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო ახორციელებს და ა.შ. ცხადია, ამგვარი დებულებები, გამოყენების შემთხვევაში, რელიგიურ გაერთიანებათა დამოუკიდებლობას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. ასე რომ,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის დებულება გერმანული სამართლის არასრულ და არასწორ კომპლაციას წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს რელიგიური ორგანიზაციებისათვის. საქართველოს საგადასახო კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, დღგ-საგან გათავისუფლებულია „საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომელიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღორძინების სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები.“ საქართველოს საპატრიარქოს გარდა, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ რაიმე საგადასახადო შეღავათები გათვალისწინებული არ არის.

„განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად აცხადებს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დანესებულებათა დამოუკიდებლობას პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისაგან. თუმცა, ეს პრინციპი თანმიმდევრულად არ არის გატარებული კანონში და ამავე კანონის მე-13 მუხლში მითითებულია, რომ, ქვეყნის ეროვნულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით, სახელმწიფო ხელს უწყობს საეკლესიო სასწავლო დანესებულებათა ფუნქციონირებას, რაც ფინანსდება სახელმწიფო დაკვეთის შესაბამისად.

განათლების სამინისტრო შესაბამის სამინისტროებთან, საქართველოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებს, სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამებს, საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დანესებულებების სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს.

კანონის აღნიშნული დებულებები, ერთი მხრივ, ზუსტად ვერ განსაზღვრავს, რა ფორმით მონაწილეობს საქართველოს საპატრიარქო საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ სტანდარტების შემუშავებაში, ხოლო, მეორე მხრივ, განათლების საკითხებში არავითარ უფლებამოსილებას არ ანიჭებს სხვა რელიგიურ გაერთიანებებს. ეს კი თანასწორობის პრინციპის დარღვევაა.

„კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კულტურული ფასეულობის საზღვარგარეთ გატანის საკითხზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, ამ დავის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, უნდა შეიქმნას საექსპერტო-საკონსულტაციო კომისია, რომლის მუშაობაში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელიც მონაწილეობს.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2

მუხლის მიხედვით, „სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრეს, შორის ურთიერთობა რეგულირდება ცალკე კანონით.“ ამავე კანონის გარდამავალი დებულებების 78-ე მუხლში მითითებულია, რომ „კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნეს — კანონი „სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკუთრების სფეროში უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ.“ ასეთი კანონი ჯერ არ მიუღიათ.

საქართველოს კანონმდებლობას ასევე არ გადაუწყვეტია ერთი ყველაზე მტკივნეული — რესტიტუციის საკითხი. კომუნისტური რეჟიმის დროს განხორციელებული ნაციონალიზაციის საფუძველზე, რელიგიურ გაერთიანებათა კუთვნილი ქონება, მათ შორის საეკლესიო დანიშნულების საგნები, სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდა. საქართველოში ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა, ამ მხრივ კი რაიმე საკანონმდებლო აქტი მიღებული არ არის. მართალია, საკულტო დანიშნულების მრავალი შენობა სარგებლობის უფლებით გადაეცა შესაბამის ეკლესიებს, მაგრამ ეს პროცესი, ჯერ ერთი, არ დასრულებულა, მეორეც, შენობები რელიგიურ ორგანიზაციებს გადასცეს სარგებლობის და არა საკუთრების უფლებით. ასევე გაურკვეველია რელიგიური ორგანიზაციებისათვის კომუნისტური რეჟიმის მიერ მიყენებული ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდის საკითხიც.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კულტურულ-აღმშრდებლობით ან რელიგიურ ღონისძიებაში, ისარგებლოს შესაბამისი ინვენტარით და ლიტურატურით. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის გამოცემული №36 ბრძანებით დამტკიცებულია საერთო რეჟიმის დაწესებულების შინაგანაწესი, რომლის 28-ე მუხლის შესაბამისად „ადმინისტრაცია მოვალეა, შექმნას პირობები მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხოლო დაწესებულების ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, დაწესებულებაში შეიძლება იმყოფებოდეს ეკლესიის მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახური“. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოქმედებს მართლმადიდებლური სამლოცველო.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №362 ბრძანებით დამტკიცდა დებულება პატიმრობის მოხდის წესის შესახებ. დებულების მე-15 მუხლის მიხედვით:

**„1. პატიმრები რელიგიურ რიტუალებს ასრულებენ საკნებში, ხოლო შესაძლებლობის არსებობისას, ამ მიზნით მოწყობილ შენობებში, იმ რელიგიური კონფესიების ტრადიციების შესაბამისად, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან.**

**2. არ დაიშვება რელიგიური რიტუალის შესრულება, რომელიც არღვევს ამ დებულებას და სხვა პატიმრების უფლებებს.**



3. პატიმრებისათვის ნებადართულია თან იქონიონ და ისარგებლონ რელიგიური ლიტერატურით, ინდივიდუალური რელიგიური კულტის საგნებით, გარდა მწხვლეტავი და ბასრი, ძვირფასი ლითონების და ქვის ნაკეთობისა, ან იმ საგნებისა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და ისტორიულ ფასეულობას.

4. პატიმრისათვის სულიერი დახმარების აღმოსაჩენად, მისი თხოვნით და იმ პირის ან ორგანოს ნებართვით, რომელთა წარმომებაშიც იმყოფება სისხლის სამართლის საქმე, დაიშვება რელიგიური კულტის მსახურების მონვევა. რელიგიური კულტის მომსახურება ანაზღაურდება პატიმრის ანგარიშიდან“.

2001 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რაც ერთადერთი მაგალითია სახელმწიფო ორგანოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა. ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობას სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მიხედვით: „ღვთისმსახურებისათვის ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ან/და თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლის მიხედვით კი: „პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური საზოგადოების შექმნისათვის ან საქმიანობისათვის ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“. ოფიციალური სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ჯერ-ჯერობით, რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისათვის საქართველოში არავინ დასჯილა.

საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ დავასკვნათ: კანონმდებლობა არათანმიმდევრულია და არასაკმარის გარანტიებს ჰქმნის რელიგიის თავისუფლებისათვის; ხოლო თუ არსებულ პრაქტიკასაც გავიხსენებთ, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ძალიან შორს არის საერთაშორისო სტანდარტებისაგან რელიგიის თავისუფლების სფეროში.

# ავსტრია

## ზოგადი ინფორმაცია

რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული დებულებები გაბნეულია როგორც ავსტრიის კონსტიტუციაში, ასევე ავსტრიის მიერ დადებულ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაში. მოცემული მექანიზმები იძლევა იმის საშუალებას, რომ ამა თუ იმ რელიგიურმა დაჯგუფებამ დაუბრკოლებლად განახორციელოს რელიგიური საქმიანობა როგორც საჯაროდ, ისე კერძო ვითარებაში, როგორც კოლექტიურად, ისე ინდივიდუალურად, შეიძინოს მიმდევრები, ასევე, არ უნდა იქნეს დაშვებული რელიგიური ორგანიზაციების მიმართ რაიმე დისკრიმინაცია რწმენის ან აღმსარებლობის ნიადაგზე. უნდა ითქვას, რომ ავსტრიის კონსტიტუცია იძლევა შესაძლებლობას, სახელმწიფოსა და აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებათა ურთიერთობა მონეცრივად მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღიარებული რელიგიური საზოგადოებები სარგებლობენ უპირატესი სტატუსით, რაც გამოიხატება მათთვის გარკვეული სახის შეღავათების მინიჭებაში; ესაა გადასახადებისაგან გათავისუფლება და რელიგიური განათლების მოსახლეობის მიერ დაფინანსება.

ავსტრიაში 1998 წლიდან მოქმედებს კანონი „რელიგიურ საზოგადოებათა იურიდიული სტატუსის შესახებ“. ამ კანონმა შეცვალა რელიგიური საზოგადოების სტატუსის მოპოვების დამკვიდრებული სისტემა სრულიად ახალი, ორსაფეხურიანი პროცედურით, რომლის მიხედვითაც რელიგიურმა დაჯგუფებამ პირველ რიგში უნდა მოიპოვოს მორწმუნეთა საზოგადოების სტატუსი. სრული აღიარებისათვის კი საჭიროა, რომ საზოგადოებამ ეს სტატუსი შეინარჩუნოს ათი წლის განმავლობაში, ჰყავდეს არანაკლებ 16.000 მიმდევარი და მკაცრად იცავდეს კანონის მიერ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

ამ მომენტისათვის ავსტრია აღიარებს 12 რელიგიურ მიმდინარეობას. სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდევრობებთან ერთად მათ შორის არის იუდაიზმი, ბუდიზმი და

ისლამი. დღეისათვის ავსტრიაში სრული სტატუსი არა აქვთ მინიჭებული ისეთ, შედარებით ახალ, რელიგიურ მიმდინარეობებს, როგორცაა საენტოლოგთა ეკლესია და იეჰოვას მოწმეები. ზოგიერთი რელიგიური დაჯგუფება 1998 წლის შემდეგ შეეცადა რელიგიურ გაერთიანებად ჩამოყალიბებას და მოიპოვა კიდევ მორწმუნეთა საზოგადოების პირველადი სტატუსი.

1998 წლიდან ავსტრიამ შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა და ხელისუფლებას გაუჩნდა შესაბამისი ბერკეტები უკანონო საქმიანობაში შემჩნეულ რელიგიურ საზოგადოებათა გასაკონტროლებლად.

## შსსაპალი

კანონმდებლობა რელიგიის შესახებ ჩამოყალიბდა კათოლიკურ ავსტრიაში ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის არსებული დაძაბულობის ფონზე. შუა საუკუნეებში ეკლესია ითვლებოდა ნამყვან ძალად ხალხზე რელიგიური გავლენისა და მის საკუთრებაში არსებული უზარმაზარი მიწების გამო. გრაფები ყველანაირად ცდილობდნენ შეეკვეცათ ფრთები ეკლესიის ძლიერებისათვის, მიმართავდნენ ექსპროპრიაციას, აწესებდნენ მალალ გადასახადებს და იღებდნენ მათ სანინალმდეგო კანონებს. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა განმანათლებელთა ეპოქაში, როდესაც ახლად აღმოცენებულმა ბიუროკრატია ჩამოაშორა კათოლიკურ ეკლესიას მრავალი პრივილეგია და დაუნესა საქმიანობაზე ზედამხედველობა. კულმინაციად უნდა მივიჩნიოთ XVIII საუკუნეში იმპერატორ იოზეფ II-ს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. იმპერატორმა მონასტერთა სეკულარიზაცია მოახდინა, ჩამოართვა ეკლესიას უზარმაზარი საკუთრება და გარკვეულწილად მონანიღობდა კათოლიკური ეკლესიის შიდა საქმეების გადაწყვეტაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იოზეფ II-მ ამავე დროს გააფართოვა პროტესტანტებისა და ებრაელების უფლებები, მიიღო რა 1781 წელს კანონი „ტოლერანტობის შესახებ“. აღნიშნული კანონი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი ნაბიჯი რელიგიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

რელიგიის თავისუფლების თანამედროვე გარანტიები პირველად შემოიღეს 1867 წელს, როდესაც ავსტრია ჩამოყალიბდა კონსტიტუციურ მონარქიად. ეს გარანტიები აისახა ავსტრიის კონსტიტუციასა და სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რითაც აღიარეს რელიგიური საქმიანობის თავისუფლება როგორც საჯაროდ, ისე ინდივიდუალურად, მიმდევართა მოპოვების უფლება და რწმენისა და აღმსარებლობის ნიადაგზე დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

კონსტიტუციური მონარქიის კიდევ ერთ მონაპოვრად შეიძლება მივიჩნიოთ 1874 წელს მიღებული კანონი „რელიგიურ საზოგადოებათა აღიარების შესახებ“, რომელმაც ხელი შეუწყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნას. აღნიშნული კანონით სახელმწიფოს შეეზღუდა ეკლესიის მთელ საქმიანობაზე

ზედამხედველობის უფლება, გარდა ეკლესიის ე.წ. საგარეო ფუნქციებზე ზედამხედველობისა. აქ იგულისხმება ინფორმაცია წევრთა რაოდენობის ან ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ. ამასთან, კანონმა დაუშვებლად მიიჩნია სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმიანობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რელიგიური ქადაგება თუ მოძღვრება ეწინააღმდეგება კანონს ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ეკლესიისა და სახელმწიფოს სრულ იზოლაციას ეს სისტემა არ ითვალისწინებს. კანონი დღესაც მოქმედია და წარმოადგენს სახელმწიფოსა და აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებათა შორის ისეთ საკითხებზე დადებული შეთანხმებების სამართლებრივ საფუძველს, როგორცაა განათლება, ძეგლთა დაცვა და საზოგადოებრივი სამსახური.

ავსტრიაში რელიგიურ მიმდინარეობათა აღიარების პრაქტიკაში რამდენიმე წლის წინ წარმოიშვა დავა. დავის საფუძველი გახდა სახელმწიფოს მიერ იმ რელიგიური დაჯგუფებებისათვის აღიარებაზე უარის თქმა, რომელთაც ავსტრიაში ჰყავდათ მცირე რაოდენობის წევრები ან ქადაგებდნენ საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო დოგმებს. ამ მიდგომის შედეგად იეჰოვას მოწმეების, მეშვიდე დღის ადვენტიტების, საენტოლოგებისა და ბაპტისტების რელიგიურ დაჯგუფებებს უარი ეთქვათ აღიარებაზე, შესაბამისად, ჩამოერთვათ გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსი და რელიგიური განათლების მოსახლეობის მიერ დაფინანსების უფლება. ამ რელიგიური დაჯგუფებების მცდელობას, მიეღწიათ აღიარებისათვის, შედეგად მოჰყვა ავსტრიის მიერ 1998 წელს „რელიგიურ საზოგადოებათა იურიდიული სტატუსის შესახებ“ კანონის მიღება. (შემდგომ: 1998 წლის იურიდიული სტატუსის აქტი). ეს კანონი ცნობს აღიარების ორსაფეხურიან სისტემას — განმცხადებელს თავდაპირველად ენიჭება პირველადი სტატუსი, რომელსაც ის უნდა ფლობდეს ათი წლის მანძილზე სრული აღიარების მოთხოვნამდე, ასევე სავალდებულოა, რომ ასეთი გაერთიანებები სარგებლობდნენ მატერიალური შეღავათით, რაც გამოიხატება გადასახადებისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსში. კანონში მოცემულია კრიტერიუმები, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს რელიგიური დაჯგუფება აღიარების მოთხოვნის მომენტში. კანონის მიხედვით, აღიარების შემზღვეველ ერთ-ერთ მოტივად შეიძლება მიჩნეულ იქნას მოსახლეობის შიში სექტების მიმართ. ამ საშიშროებისაგან დასაცავად ავსტრიამ მიიღო კანონი, რომლითაც შესაძლებელი გახდა პოტენციურად საშიში სექტების მონიტორინგი.

ავსტრია უმთავრესად კათოლიკური ქვეყანაა, რაც კათოლიციზმის კანონმდებლთა ძალისხმევით პირდაპირი შედეგია: მათ აკრძალეს პროტესტანტობა XVII საუკუნეში გატარებული კონტრეფორმაციით. მიუხედავად ამისა, პროტესტანტების ნაწილი ფარულად მაინც ერთგული რჩებოდა საკუთარი რწმენისა, სანამ XVIII საუკუნის ბოლოს ტოლერანტობა საბოლოოდ არ იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ. უკანასკნელი აღრიცხვის თანახმად (1991 წ.) მოსახლეობის 78,14% კათოლიკეა, 2,5% — ლუთერანული ეკლესიის მიმდევარი, 2,4% კი მიეკუთვნება ისლამურ მიმდინარეობას. ავსტრიაში ცნობილი დანარჩენი ცხრა რელიგიური მიმდინარეობის

მიმდევართა საერთო რიცხვი შეადგენს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს, 8,5% კი არცერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ მიეკუთვნება. ბოლო დროს ავსტრიაში ყველა რელიგიურ მიმდინარეობას აკლდება თანდათანობით წევრები. კათოლიკური ეკლესიის შემთხვევაში ეს უნდა მივაწეროთ საეკლესიო გადასახადებისაგან გათავისუფლების ტენდენციას. ბოლო გამოკითხვებით ცნობილი გახდა, რომ მოსახლეობის 2% განეკუთვნება ჯერ კიდევ აღიარებულად გამოუცხადებელ რელიგიურ დაჯგუფებებს.

ავსტრიის მოსახლეობა არც ისე მკაცრად იცავს რელიგიურ წესებს. კათოლიკების უმრავლესობა მხოლოდ საეკლესიო დღესასწაულების დროს დადის ეკლესიაში. რეგულარულად მხოლოდ 17% ესწრება საეკლესიო რიტუალებს. მოსახლეობა კრიტიკულად ეკიდება მიმდინარე საეკლესიო საკითხებს. ავსტრიელები ამაყობენ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობით და აცხადებენ, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ, პროტესტანტულმა ეკლესიამ და ებრაულმა საზოგადოებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს კულტურული მემკვიდრეობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესში. რელიგიების ურთიერთდამოკიდებულება კეთილგანწყობილია და მიუხედავად სახიფათო სექტების მიმართ გაფრცელებული საყოველთაო შიშისა, საზოგადოებრივი უთანხმოება რელიგიურ საკითხებზე თითქმის არ არსებობს.

## I. სამართლებრივი და კონსტიტუციური ექსპურსი

### ა) კონსტიტუციის მიღება

ავსტრიის კონსტიტუციის პროექტი მოამზადა სამართლის ფილოსოფოსმა ჰანს კელზენმა. კონსტიტუცია მიიღეს 1919 წელს, როდესაც ავსტრია გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად. ავსტრიის კონსტიტუციურმა სამართალმა მოქმედება შეწყვიტა 1938 წელს, როდესაც გერმანიის რაიხმა ავსტრიის ანექსია მოახდინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიამ აღადგინა 1919 წლის კონსტიტუცია 1929 წელს მასში შეტანილი ცვლილებებით. ეს კონსტიტუცია დღესაც მოქმედებს, თუმცა მასში უამრავი უმნიშვნელო ცვლილება იქნა შეტანილი.

კონსტიტუცია არ შეიძლება მივიჩნიოთ კონსტიტუციური სამართლის ერთადერთ წყაროდ ავსტრიაში. სამოქალაქო უფლებათა ორი ფუნდამენტური კანონი, რომელიც 1867 წლის კონსტიტუციური მონარქიის პერიოდიდან არსებობს, კვლავ ძალაშია. მათ არ დაუკარგავთ იურიდიული ძალა არც ახალი კონსტიტუციის მიღებისას 1919 წელს, რადგანაც კონსტიტუციის მიღებისას ვერ მოხერხდა შეთანხმება სამოქალაქო უფლებათა თავთან დაკავშირებით. 1960 წლიდან რამდენჯერმე იყო მცდელობა, მოეხდინათ სამოქალაქო უფლებათა გარანტიების რეფორმირება. დღეისათვის ეს მიზანი მხოლოდ ნაწილობრივ არის მიღწეული: შეიქმნა ახალი ფუნდამენტური კანონი პიროვნების თავისუფლების დაცვის შესახებ. ამ ძირითად კანონებთან ერთად კონსტიტუციური დებულებები გაბნეულია ავსტრიის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.

### ბ) ნორმატიული აქტების იერარქია

ავსტრია ფედერალური მონეობის სახელმწიფოა, რომელიც აერთიანებს ფედერაციის ცხრა სუბიექტს — შტატს. თვითოეულ შტატს ჰყავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საკუთარი ორგანოები, გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია, კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც მთლიანობაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ფედერალურ კონსტიტუციას.

ნორმატიული აქტების იერარქიაში პირველ ადგილზე დგას კონსტიტუცია. მისი სრულად გადასინჯვისათვის სავალდებულოა სახალხო რეფერენდუმის ჩატარება. კონკრეტულ შემთხვევებში რეფერენდუმი შეიძლება დაინიშნოს კონსტიტუციის

ნაწილობრივი გადასინჯვისთვისაც. კონსტიტუციურ პრინციპებს შორის უმთავრესია კანონიერების, დემოკრატიის, ფედერალური მოწყობისა და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპები. კონსტიტუციის სხვა მნიშვნელოვანი დებულებები გან-  
ფრცობას ჰპოვებს მიმდინარე კანონმდებლობაში, რაც იერარქულად კონსტიტუციაზე დაბლა დგას და, შესაბამისად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. სხვა ნორმატიული აქტები კი, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს კანონებს. კანონის საფუძველზე გამოცემულ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიულ აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ სხვადასხვა უწყების მიერ გამოცემულ დირექტივის თუ ინსტრუქციის მიმართ.

საერთაშორისო სამართლის კლასიფიკაციისას ავსტრიის კონსტიტუცია ახდენს მრავალ დიფერენციაციას. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები იურიდიული ძალის მიხედვით იმავე საფეხურზე იმყოფება, რა საფეხურზედაც ფედერალური კანონები; ამდენად, ისინი კონსტიტუციაზე დაბლა დგანან. თუმცა, მათი იურიდიული ძალა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა სახისაა კონკრეტული საერთაშორისო ხელშეკრულება და რა გზით მოხდა მისი რატიფიცირება. ხელშეკრულება, რომელიც იწვევს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, იმავე გზით უნდა იქნას რატიფიცირებული, რა გზითაც ხდება კონსტიტუციური ცვლილების მიღება. ისინი იმავე იურიდიული ძალის მქონენი არიან, როგორც ფედერალური კონსტიტუციის ცალკეული დებულებები. პოლიტიკური ან სხვა სახის ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიცირება იწვევს ცვლილებებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში, რატიფიცირებულ უნდა იქნენ იმავე გზით, რა გზითაც მიიღება ფედერალური კანონმდებლობა და, შესაბამისად, იურიდიული ძალითაც მათი მსგავსნი არიან. საერთაშორისო ხელშეკრულების იურიდიული ძალა უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რატიფიცირების წესების შემცველი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება, რომელიც არ ეკუთვნის ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას, განიხილება, როგორც აღმასრულებელი შეთანხმებები და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მიჩნეულ იქნას აღმასრულებელი ხელისუფლების კანონქვემდებარე აქტების ან დირექტივების იურიდიული ძალის ტოლფას აქტად. ხელშეკრულებებად არ განიხილება საერთაშორისო სუბიექტების მიერ ქვეყნისათვის მიცემული რეკომენდაციები. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იგი რაიმე სახის ვალდებულებებს არ წარმოშობს.

### გ) კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების გამოქვეყნება

კანონები ქვეყნდება ავსტრიის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს — გაზეთ „Bundesgesetzblatt“-ის პირველ ნაწილში. ნორმატიული აქტები, რომლებსაც კანონის ძალა გააჩნიათ, ქვეყნდება მის მეორე ნაწილში, საერთაშორისო ხელშეკრულებები კი — მესამე ნაწილში. მინისტრების დირექტივები და სხვა ნორმატიული ადმინისტრაციული აქტები ქვეყნდება ფედერალური სამინისტროების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

### დ) გასაჩივრების მექანიზმები

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში. სამოქალაქო უფლებათა ხელყოფის, არაკონსტიტუციური კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის გამოცემის შემთხვევაში კი პირს უფლება აქვს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მათი სამართლებრივი გადასინჯვის მოთხოვნით. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ვისაც პირდაპირ მიადგა ზიანი სამოქალაქო უფლებების ხელმყოფი ქმედებით. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით და მოსახლეობა პატივისცემით ეკიდება იმ გადაწყვეტილებებსაც კი, რომლებიც საბოლოოა, თუმცა მათ მიმართ შეიძლება უამრავი კრიტიკული შენიშვნაც გამოთქვან.

ბოლო დრომდე არსებობდა კონფლიქტი საკონსტიტუციო და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის, რომელიც საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლოს სასარგებლოდ გადაწყდა. გაუგებრობა ამ ორ ავსტრიულ სასამართლოს შორის წარმოიშვა მაშინ, როცა რამდენიმე რელიგიურმა დაჯგუფებამ მიმართა შესაბამის ორგანოს ალიარებისათვის, პასუხად კი არც თანხმობა და არც უარი არ მიუღიათ. 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სავალდებულო იყო შესაბამის თანამდებობის პირს ფორმალურად გაეცა განცხადებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხი. ადმინისტრაციულ საქმეთა უმაღლესმა სასამართლომ 1993 წლის გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირს, დაადგინა რა, რომ შესაბამისი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა წერილობითი პასუხის მიცემის ვალდებულებას უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში და ამიერიდან ალიარება უნდა მომხდარიყო კანონის ან სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილება 1995 წელს გასაჩივრდა საკონსტიტუციო სასამართლოში. 1997 წელს უმაღლესმა



ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოაცხადა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაშიც საჭირო იყო წერილობითი ფორმის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს გამოეცა ასეთი აქტი იეპოვას მონმეების განცხადების პასუხად, რომლებსაც იმ მომენტისათვის შეტანილი ჰქონდათ განცხადება. ამას, თავის მხრივ, მოჰყვა სამართლებრივი რეფორმა, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

## II. კონსტიტუციური დეზულაზები, რომლებიც ეხება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას

1867 წელს მიღებული კონსტიტუციური მნიშვნელობის მქონე „ძირითად კანონში ფუნდამენტური უფლებების შესახებ“ რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია მე-14 მუხლში. კანონი აღიარებს, რომ:

- გარანტირებულ უნდა იქნას რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია დამოუკიდებელი უნდა იყოს რწმენისაგან, ამავე დროს რწმენის არსებობამ ხელი არ უნდა შეუშალოს სამოქალაქო მოვალეობათა შესრულებას;
- არავინ არ შეიძლება აიძულონ, ჩაებას რელიგიურ საქმიანობაში ან მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში, გარდა კანონით ზუსტად გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო მის მიერ გამოტანილ მთელ რიგ განწყვეტილებებში იძლევა მე-14 მუხლის განმარტებას. მთლიანობაში ის ორიენტირებულია პიროვნების უფლებაზე, არ დაუშვას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა რელიგიასთან დაკავშირებულ შეუზღუდავ თავისუფლებათა განხორციელებისას. რელიგიის თავისუფლება მოიცავს პირის უფლებასაც, იყოს ათეისტი.

ამავე კანონის მე-15 მუხლი იმავე უფლებას ანიჭებს აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებებს:

ნებისმიერ ეკლესიასა თუ რელიგიურ საზოგადოებას, რომელიც კანონის შესაბამისად არის აღიარებული, უნდა მიენიჭოს უფლება საჯაროდ განაჯრცოს საკუთარი რელიგია, ავტონომიურად მოანესრიგოს და მართოს თავისი შიდა საზოგადოებრივი საქმეები, ფლობდეს და სარგებლობდეს ინსტიტუტებით, დაწესებულებებითა და ფონდებით, რომლებიც განკუთვნილია რელიგიური, საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო მიზნებისათვის; ამასთანავე, ვალდებულია, ნებისმიერი საზოგადოების მსგავსად, დაემორჩილოს სახელმწიფოს კანონებს.

სწორედ ეს დებულება იძლევა რელიგიური საზოგადოების საშინაო საქმეებსა (რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფოს ჩარევისაგან) და საგარეო საქმეებს (მათზე სახელმწიფოს გარკვეულწილად შეზღუდული ზედამხედველობისა და ინფორმაციის მიღების უფლებები აქვს) შორის მიჯნის დადგენის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნება გამოცხადებული ნებისმიერი კანონი, რომელიც ჩაერევა რელიგიური საზოგადოების შიდა სფეროში. შიდა და გარე საქმიანობის გამიჯვნას შეეცადა ჩვეულებითი სამართალი. როგორც აღმოჩნდა, ყოველი რელიგიური საზოგადოება თავად განსაზღვრავს, თუ რა იგულისხმება მის შიდა საქმიანობაში.

ავსტრიის ფედერალური კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ამოქმედდა 1920 წელს, ითვალისწინებს ყოველი მოქალაქის თანასწორი უფლებებით სარგებლობას კანონის წინაშე. დაუშვებელია რაიმე სახის პრივილეგიის დანესება დაბადების ადგილის, სქესის, ქონებრივი მდგომარეობის, კლასობრივი ან რელიგიური კუთვნილების ნიადაგზე.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პუნქტის განმარტების თანახმად, რომ შესაძლებელია აღიარებულ და აღიარებულად გამოუცხადებელ რელიგიურ საზოგადოებათა შორის დიფერენციაციის არსებობა, თუკი არსებობს ისეთი გარემოებები, ამ განსხვავებას რომ გამართლებს.

### III. საერთაშორისო ვალდებულებები

**სენ-ჟერმენის ხელშეკრულება**, სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიასა და ალიანსის ძალებს შორის დაიდო, ავსტრიაში კვლავ კონსტიტუციური ძალის მქონე, მოქმედ ნორმატიულ აქტად ითვლება. ის იძლევა რელიგიის თავისუფლების გარანტიას 63-ე, 66-ე და 67-ე მუხლებსა და რელიგიურ უმცირესობათა შესახებ თავში. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტში:

ავსტრიაში მცხოვრებ ნებისმიერ პირს უნდა მიეცეს საკუთარი რწმენის, აღმსარებლობისა და რელიგიის საჯაროდ თუ კერძოდ გამოვლინების უფლება, თუ არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგსა და საზოგადოებრივ მორალს.

ეს დებულება ავსტრიაში ისეა გაგებული, რომ აღიარებულად გამოუცხადებელი რელიგიური გაერთიანებები სარგებლობენ საჯარო ღვთისმსახურების უფლებით. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ეს დებულება არ კრძალავს აღიარებულ და აღიარებულად გამოუცხადებელ რელიგიურ საზოგადოებათა შორის სხვა განმასხვავებელი ნიშნებისა და წესების დადგენის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა 63-ე მუხლი პროზელიტიზმის გამო წარმოშობილი დავის გადაწყვეტისას, როდესაც დაადგინა, რომ ამგვარი მოქმედების ნება თანაბრად ეძლევათ აღიარებულ და აღიარებულად გამოუცხადებელ რელიგიურ გაერთიანებებს.

**სენ-ჟერმენის ხელშეკრულების 66-ე მუხლი** აცხადებს ავსტრიის მოქალაქეთა სრულ თანასწორობას, მიუხედავად მათი რელიგიური შეხედულებებისა და იცავს მათ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან რელიგიის ნიადაგზე. 67-ე მუხლი დამატებით იძლევა სპეციალური დაცვის საშუალებებს რელიგიური უმცირესობისათვის, როცა ადგენს:

ავსტრიის თვითოეული მოქალაქე, რომელიც განეკუთვნება ეთნიკურ, რელიგიურ თუ ლინგვისტურ (ენობრივ) უმცირესობას, უფლებამოსილია მოითხოვოს იგივე უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები, როგორც გააჩნიათ ავსტრიის მოქალაქეებს. კერძოდ, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება საკუთარი ხარჯებით დააფუძნონ, მართონ და გააკონტროლონ საქველმოქმედო, რელიგიური და სოციალური ინსტიტუტები, სკოლები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები საკუთარი ენის გამოყენებისა და საკუთარი რელიგიის თავისუფლად განვრცობის უფლებით.

ავსტრიის სასამართლოებს მიაჩნიათ, რომ აღიარებულ და აღიარებულად გამოუცხადებელ რელიგიურ საზოგადოებებს შორის განსხვავების არსებობა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ნორმას.

ავსტრიაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კონსტიტუციის დონის სამართლებრივ აქტად არის მიჩნეული, 1964 წელს მიღებულ კონსტიტუციური აქტის შესაბამისად. კონვენციის მე-9 მუხლი ეხება რელიგიის თავისუფლების საკითხს:

1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ასევე პირის უფლებას, საკუთარი სურვილისამებრ შეიცვალოს რწმენა ან რელიგია; ინდივიდუალურად ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, საჯაროდ ან დამოუკიდებლად, გამოავლინოს საკუთარი რელიგიური შეხედულებები ქადაგების, ან რელიგიური რიტუალების შესრულების გზით.
2. რელიგიის ან რწმენის თავისუფალი გამოვლენის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის და განპირობებულია საჯარო უსაფრთხოების ინტერესით, რაც უნდა ემსახურებოდეს საჯარო წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ნორმა განმარტა **სენ-ჟერმენის** ხელშეკრულების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნულ მუხლშიც გარანტირებულია აღიარებულად გამოუცხადებელი რელიგიური საზოგადოების მიერ რელიგიური საქმიანობის საჯაროდ განხორციელების უფლება; ამავ დროს, არ უნდა შეიზღუდოს მათი სათანადო წესით აღიარების შესაძლებლობაც. ასევე აკრძალულია ამ უკანასკნელსა და აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებებს შორის სტატუსის გამო რაიმე სახის დისკრიმინაციის დაწესება.

ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიასა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დღემდე არ გამოუტანია არც ერთი გადაწყვეტილება ავსტრიის მიერ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის გამო. თუმცა, კომისია და სასამართლო აცხადებენ, რომ ავსტრიაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 (სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა) და მე-14 (დისკრიმინაცია რელიგიის ნიადაგზე) მუხლების დარღვევის ფაქტს ჰოფმანის საქმეში, როდესაც ქმარს გაცილებულმა დედამ სარჩელით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს: ავსტრიის სასამართლოებმა აუკრძალეს მას საკუთარ შვილებზე მეურვეობის უფლება იმ მოტივით, რომ ქალი იეპოვას მონმე იყო.

რელიგიის თავისუფლება ასევე გარანტირებულია **1955 წლის ვენის სახელმწიფო ხელშეკრულების** მე-6 მუხლით. ამ ხელშეკრულებით ავსტრიამ დაიბრუნა სუვერენიტეტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამორთმეული ჰქონდა ალიანსის ძალების მიერ. მე-6 მუხლი არ შეიძლება გავუთანაბროთ კონსტიტუციის დებულებებს, იგი ფედერალური კანონის დონეზე დგას. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიები არ სცილდება სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით უკვე გარანტირებული რელიგიური უფლებების ფარგლებს.

**ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ გაეროს პაქტისა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ გაეროს პაქტების** რატიფიცირება ავსტრიამ 1978 წელს მოახდინა მიმდინარე კანონების სტატუსით. ორივე შეთანხმების რატიფიცირება მოხდა ისეთი დათქმით, რომ ამ პაქტების იმპლემენტაციისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი ცვლილებები შიდა კანონმდებლობაში, მაგრამ ასე არ მოხდა. ავსტრიამ შიდა კანონმდებლობის მცირე რევიზია განახორციელა პაქტების დანერგვის უზრუნველსაყოფად. ავსტრიის კანონმდებლები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ პაქტებით დადგენილი გარანტიები ავსტრიაში უკვე არსებობდა სხვადასხვა კანონებისა და კონსტიტუციური დებულებების სახით. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ავსტრია ასევე არის ეუთოს წევრი სახელმწიფო.

## IV. კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ

რელიგიის თავისუფლების გარანტიები მოცემულია კონსტიტუციისა და ხელშეკრულებების ზემოთ უკვე განხილულ მუხლებში. რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი დაცვის ზოგიერთ საშუალებას ქვემოთ, V თავში განვიხილავთ, რომელიც ეხება რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისა და საქმიანობის განხორციელების თავისებურებებს. ამ დებულებათა ზოგიერთი ნორმა არასრულწლოვანებს ანიჭებს უფლებას, აირჩიონ საკუთარი რელიგია, რელიგიურ საზოგადოებათა წევრებს კი — უფლებას, უარი თქვან საზოგადოების წევრობაზე.

## V. კანონები რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ

### ა) რეგისტრაცია

#### 1. რელიგიური საზოგადოების იურიდიული სტატუსი

იურიდიული პირის სტატუსის შესახებ 1998 წლის კანონის მიღების შემდეგ, რელიგიურ საზოგადოებებს ორსაფეხურიანი პროცედურის გავლა უწევთ, რათა მოიპოვონ აღიარებული რელიგიური ორგანიზაციის სტატუსი. პირველი საფეხური გულისხმობს განათლებისა და კულტურის სამინისტროში შესაბამისი განცხადების წარდგენას რელიგიური საზოგადოების პირველადი სტატუსის მოსაპოვებლად. თუ სამინისტრო ექვსი თვის განმავლობაში უარს არ განუცხადებს განმცხადებელს რეგისტრაციაზე, რელიგიური ორგანიზაციის სტატუსი ავტომატურად მინიჭებულად ჩაითვლება. რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მძიებელ საზოგადოებას უფლება აქვს, სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, სამინისტროში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება ან გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში. რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, საზოგადოება შეაქვთ სამინისტროში არსებულ საჯარო რეესტრში, რის შემდეგაც ის მოექცევა სამინისტროს მონიტორინგის ქვეშ; განსაკუთრებით, ეს ეხება რეგისტრაციის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვასა და საზოგადოების ქვედანაყოფებისათვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებას.

იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებლად საჭიროა, რომ რელიგიური

საზოგადოება შედგებოდეს ავსტრიის არანაკლებ სამასი რეზიდენტისაგან, რომლებიც, ამასთან, არ არიან სხვა რელიგიური საზოგადოების წევრები. ამავე დროს, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებით განსაზღვრული უნდა იქნას საზოგადოების სახელი და მოძღვრების საგანი, რაც არ უნდა ემთხვეოდეს სხვა რელიგიური საზოგადოების სახელსა და მოძღვრების საგანს, რათა თავიდან იქნას აცილებული საზოგადოებათა ერთმანეთში აღრევის შესაძლებლობა. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებით ასევე უნდა განისაზღვროს საზოგადოების მიზნები, წევრთა უფლებები და მოვალეობები, განეწიანებისა და წევრობიდან გასვლის პირობები. ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებითვე უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის სტრუქტურა, ფუნქციები და აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების, ასევე, ლიკვიდაციის წესი და პირობები. ასევე უნდა განისაზღვროს მათი ფინანსებისა და შემოწირულობათა მოზიდვის წესი.

იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი დასაშვებია, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი აქტები არასრულყოფილია ან ეწინააღმდეგება კანონის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ საზოგადოებრივ ინტერესს; სტატუსის მინიჭებაზე უარი შეიძლება ეთქვას იმ შემთხვევაში:

...თუ მოძღვრება ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული მორალის, ასევე სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესს, ან გამოიყენება უკანონო მოქმედების სტიმულირებისათვის, ან იწვევს ახალგაზრდობის ფიზიკური განვითარებისათვის ხელის შეშლას, ფიზიკური ტკივილის მიყენებასა და ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენებას.

მორწმუნეთა საზოგადოებამ არსებულ კრიტერიუმებს რეგისტრაციის შემდეგაც უნდა უპასუხო: თუ შემდგომი საქმიანობისას რელიგიური ორგანიზაცია ამ კრიტერიუმებს აღარ აკმაყოფილებს, სამინისტროს აქვს ამ ორგანიზაციისათვის იურიდიული პირის სტატუსის გაუქმების უფლება.

## 2. ეკლესიად ან რელიგიურ საზოგადოებად აღიარება

ეკლესიად ან რელიგიურ საზოგადოებად აღიარების კრიტერიუმები მოცემულია 1874 წელს მიღებულ აღიარების აქტში. ეს კრიტერიუმებია სწავლებაში, სახელში, ღვთისმსახურებაში ან რელიგიის მრწამსში კანონთან ან მორალის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობა. დამატებით საჭიროა წევრთა შესაბამისი რაოდენობის ყოლა, რათა გარანტირებულ იქნას ამ საზოგადოების საქმიანობა. კანონის ეს მოთხოვნები კვლავ ძალაშია, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად გაიზარდა 1998 წელს განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე. ამ ცვლილებების მიხედვით, დამატებით აუცილებელია, რომ:

- რელიგიური გაერთიანება არსებობდეს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მაინც, აქედან 10 წელი — იურიდიული პირის სტატუსით, მორწმუნეთა საზოგადოების ფორმით;



- რელიგიურ გაერთიანებას უნდა ჰყავდეს მრევლი (წევრები), რომელიც შეადგენს მთელი მოსახლეობის არანაკლებ 2 პროცენტს. გამოთვლა უნდა მოხდეს უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე (დღეისათვის დაახლოებით 16.000 წევრის არსებობაა სავალდებულო);
- რელიგიური გაერთიანების სახსრები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ რელიგიური მიზნებისათვის (აქ იგულისხმება ქველმოქმედებაც, თუ ის გამართლებულია საერთო რელიგიური მიზნებით);
- რელიგიური გაერთიანების ფუნდამენტური კონცეფცია უნდა იყოს დადებითი.

უკვე აღიარებულ რელიგიებს მოპოვებული აქვთ აღიარება სხვადასხვა საშუალებებით. კათოლიკური ეკლესიის აღიარება, მაგალითად, მოხდა ვატიკანთან 1933 წელს დადებული კონკორდატის (ხელშეკრულების) საფუძველზე, ლუთერანული პროტესტანტული ეკლესიისა — 1961 წლის პროტესტანტული ეკლესიის შესახებ კანონით, ხოლო ებრაელთა კონგრეგაციისა — 1890 წლის კანონის საფუძველზე. ისლამი აღიარეს 1912 წელს, ძირითადად ჰანაფის ცერემონიალზე, რომელიც გაიმართა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ 1987 წლის ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა ყველა ისლამური რელიგიური რიტუალი, რამაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ავსტრიაში მცხოვრებ ათასობით უცხოელ მუშა-მოსამსახურესა და ლტოლვილს ისლამური ქვეყნებიდან. სხვა რელიგიური გაერთიანებები აღიარეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

### 3. რელიგიური ორგანიზაციების სტატუსების სხვა სახეები

კავშირებისა და ასოციაციების შესახებ კანონის მიხედვით, რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ზემოხსენებული სტატუსის ორი ფორმიდან ერთ-ერთი მაინც, შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ მხოლოდ არასამეწარმეო, კერძო სამართლის იურიდიული პირის — ასოციაციის სახით. ასოციაციის შექმნა შესაძლებელია შესაბამის თანამდებობის პირთან რეგისტრაციის შემდეგ. ასოციაციის გაუქმება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა ან მიზანი აშკარად უკანონო ხასიათს შეიძენს. ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ შექმნან ასოციაციები, რომლებიც განახორციელებენ არაკომერციულ საქმიანობას.

## ბ) საქმიანობა

### 1. ზოგადი დებულებები

ხშირ შემთხვევაში, ზემოთ ნახსენები 1874 წლის კანონი „აღიარების შესახებ“

და 1998 წლის კანონი „იურიდიული პირის სტატუსის შესახებ“ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იურიდიული პირის სტატუსის მოპოვებისას, არამედ რელიგიურ საზოგადოებათა შემდგომი საქმიანობის მოსაწესრიგებლადაც. გარდა ამ კანონებისა, ავსტრიაში არსებობს დაახლოებით 50-მდე სხვა საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ შორისაა ავსტრიის ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულება, ასევე არაერთი კანონი თუ სხვა სახის ნორმატიული აქტი, რომელთა მეშვეობითაც ხდება რელიგიური საზოგადოებებისა თუ ეკლესიების აღიარება. ზოგიერთ შემთხვევაში სამართლებრივ აქტს ნორმატიული ბუნება გააჩნია და დამატებით მოთხოვნებს აწესებს იურიდიული პირის სტატუსის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, სამართლებრივ სისტემაში გაბნეულია მრავალი ნორმა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის და განსაზღვრავს მათი ურთიერთობის ფორმებს, რელიგიური საზოგადოებების პრივილეგიებსა და უფლებამოსილებებს.

## 2. რელიგიურ საზოგადოებათა მოვალეობები

1874 წლის კანონი „აღიარების შესახებ“ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ანიჭებს აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებებზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებას. ეს კანონი ძირითადად აწესებს მოთხოვნებს გაერთიანების დამადასტურებელი დოკუმენტებისა თუ რელიგიურ ორგანიზაციათა აქტივისათვის. მასში მითითებული უნდა იყოს საზოგადოების ადგილსამყოფელი, სასულიერო პირთა დანიშვნის პროცედურა, რელიგიური საზოგადოების წევრების ადმინისტრაციული უფლებები (ხმის მიცემის უფლება და ა.შ.), რელიგიურ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები, შესაბამისი ფონდების დაარსების წესი და პირობები და რელიგიურ ორგანოთა აქტებში ცვლილებათა განხორციელების წესი. ამ ინფორმაციის წარდგენა ასევე მოეთხოვება უკვე აღიარებული რელიგიური საზოგადოების შიგნით აღიარების მსურველ საეკლესიო მრევლსა და სხვა ფილიალს.

1874 წლის კანონი „აღიარების შესახებ“ რელიგიური საზოგადოებისაგან მოითხოვს, შეატყობინოს სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოებს მნიშვნელოვანი სასულიერო თანამდებობის პირების დანიშვნის შესახებ. დანიშვნის პროცედურა შეიძლება შეჩერდეს, თუ დასანიშნ პირს ჩადენილი აქვს სისხლის სამართლებრივი ან ფინანსური სახის მძიმე დანაშაული. ამ მიზეზით სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს უკვე დანიშნული სასულიერო პირის თანამდებობიდან გათავისუფლებაც.

რელიგიური საზოგადოება ასევე ვალდებულია აცნობოს შესაბამის სამინისტროს მასში განწევრიანების წესი და პირობები. საზოგადოება ამას თავად განსაზღვრავს, რადგანაც იგი განეკუთვნება მისი შიდა ფუნქციების სფეროს მანამ, სანამ იგი წინააღმდეგობაში არ მოვა კანონთან. საზოგადოების ქვედანაყოფებმა უნდა იქონიონ მისი წევრების წერილობითი ნუსხა.

### **3. მორწმუნეთა საზოგადოების მოვალეობები**

1998 წლის კანონი „იურიდიული პირის სტატუსის შესახებ“ ადგენს მოთხოვნებს მორწმუნეთა საზოგადოებისათვის, რომელსაც მიენიჭება იურიდიული პირის სტატუსი. ეს მოთხოვნები ისეთივეა, როგორსაც ადგენს 1874 წლის აღიარების შესახებ კანონი აღიარებული რელიგიური საზოგადოებებისათვის.

### **4. აღიარებული ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებების იურიდიული სტატუსი**

რელიგიური საზოგადოება, რომელიც სრულად მოიპოვებს აღიარებას, იძენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. ეს უფლებას ანიჭებს თავად მოაწესრიგოს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები და სახელმწიფოს მხრიდან დაუშვას ჩარევა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი ადმინისტრაციული ხასიათის ურთიერთობებში. თუმცა, ავსტრიელ კანონმდებლებს მიაჩნიათ, რომ ეს ნორმა ვერ უზრუნველყოფს რელიგიური საზოგადოების სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად მიჩნევას და მის შიდა ფუნქციებზე სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას. მათი უკეთ დაცვის მიზნით გადაწყდა, რომ აღიარებული რელიგიური საზოგადოებები ურთიერთობებში გამოდიან, როგორც კერძო პირები. ერთადერთი ინფორმაცია, რისი მოპოვებაც, კერძო პირებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებებს, მოცემულია საგადასახადო კოდექსში, სადაც მითითებულია, რომ აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებას უფლება აქვს, გამოითხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დაცული ინფორმაცია კერძო პირთა შესახებ მათთვის საეკლესიო გადასახადების განსაზღვრის მიზნით (იხ. ქვემოთ). ეს ინფორმაცია შედგება მხოლოდ პირის სახელის, დაბადების თარიღის, ოჯახური მდგომარეობის, რელიგიური შეხედულებებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობებისაგან. დაუშვებელია პირის შემოსავლების ოდენობის შესახებ მონაცემების გამჟღავნება, ვინაიდან ეს განეკუთვნება ფისკალურ საიდუმლოებას. სასამართლოები ზოგადად მხარს უჭერენ აღიარებული რელიგიური ორგანიზაციების უფლებას, გამოითხოვონ ინფორმაცია, თუმცა, მცირეოდენი შეზღუდვები მაინც დაწესებულია. მაგალითად, ინფორმაცია კონკრეტული პირის შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი საჯაროდ აცხადებს ინფორმაციის მაძიებელი ეკლესიისადმი მიკუთვნების სურვილს ან თუ უცნობია პირის რელიგიური მრწამსი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისიც გასათვალისწინებელია, რომ, შესაძლოა, პირმა არ გაამჟღავნა საკუთარი რელიგიური მრწამსი საეკლესიო გადასახადების თავიდან ასაცილებლად. მეორე მხრივ, ინფორმაციის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ პირი განეკუთვნება არა ინფორმაციის მაძიებელ, არამედ სხვა რელიგიურ საზოგადოებას. ამ შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს, თუ ინფორმაციის მაძიებელ რელიგიურ გაერთიანებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი.

### 5. მორწმუნეთა საზოგადოების იურიდიული პირის სტატუსი

1998 წლის კანონმა „იურიდიული პირის სტატუსის შესახებ“ მორწმუნეთა საზოგადოებები აღიარა იურიდიულ პირებად. ეს სტატუსი ანიჭებთ მათ უფლებას, ჰქონდეთ საკუთარი ქონება და მოანესრიგონ სამართლებრივი ურთიერთობები დამოუკიდებლად. აღნიშნული კანონის უმთავრესი მიზანი იყო მცირე და ახლად-ჩამოყალიბებული რელიგიური დაჯგუფებებისათვის ამ პრივილეგიის მინიჭება, ვინაიდან „კავშირებისა და ასოციაციების შესახებ“ კანონში და სამოქალაქო კოდექსში შედარებით ბუნდოვანი იყო რელიგიურ გაერთიანებათა იურიდიულ პირად ჩამოყალიბების საკითხი.

### 6. ფისკალური ურთიერთობები

საგადასახადო კოდექსი აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებებსა და ეკლესიებს ანიჭებს რამდენიმე გადასახადის გადახდისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსს. კოდექსი მათ ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადის, ქონების გადასახადის, ვაჭრობის გადასახადის (გარდა რელიგიური საზოგადოებების წმინდა კომერციული და სამენარმეო ოპერაციებისა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას) გადახდის ვალდებულებისაგან. მორწმუნეთა საზოგადოებებს კანონი გადასახადებისაგან არ ათავისუფლებს. თუმცა, მათი საქველმოქმედო ინსტიტუტები შეიძლება გათავისუფლებულ იქნას გადასახადებისაგან. ეს შეღავათები დანესებულია იმ ინსტიტუტებისათვის, რომელთა უმთავრეს მიზანს შეადგენს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობა. საქმიანობა გულისხმობს კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოს დაცვით და ეთიკურ მიზნებსაც.

დამატებითი ფისკალური ურთიერთობები შეიძლება წარმოიშვას ავსტრიის ადგილობრივ-ტერიტორიულ ერთეულსა და კათოლიკურ ან პროტესტანტულ ეკლესიას, ავსტრიის ებრაელთა საზოგადოებას ან ძველ კათოლიკურ ეკლესიას შორის. ეს ურთიერთობები მოიცავს სახელმწიფოს მიერ სანეჯრო შენატანების გადასახადების გზით მოკრებასა და გარკვეული სახის რესტიტუციის გადახდაში. ამგვარი ფისკალური ურთიერთობები ისტორიული გადმონაშთია.

1939 წელს ნაცისტურმა მთავრობამ მოახდინა იმ დროისათვის არსებული უმთავრესი რელიგიური მიმდინარეობების — კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების, ებრაელთა საზოგადოებისა და ძველი კათოლიკეების კუთვნილი ქონების ექსპროპრიაცია. 1955 წლის სახელმწიფო ხელშეკრულებამ მოსთხოვა ავსტრიას, აღედგინა ჩამორთმეული ქონებრივი უფლებები. ეს განხორციელდა კათოლიკურ ეკლესიასთან დადებული ხელშეკრულებისა და ცალკეული კანონების საფუძველზე, რომელიც მიიღეს სპეციალურად პროტესტანტული ეკლესიის, ძველი კათოლიკური ეკლესიისა და ებრაელთა საზოგადოებისათვის. საკომპენსაციო შინაარსის ეს კანონები იძლევა რესტიტუციის უფლებას (კათოლიკეებისათვის), განსაზღვრულია ერთჯერადი თანხის გადახდა (ებრაელებისათვის) და ყოველწლიური ფიქსირებული საკომპენსაციო თანხის, ასევე ეკლესიის პერსონალის განსაზღვრული

რაოდენობისათვის, ყოველწლიური ხელფასების გადახდა ოთხვე რელიგიისათვის. ყოველწლიური საკომპენსაციო თანხის ოდენობა პერიოდულად იზრდებოდა ინფლაციის შესაბამისად.

კათოლიკეებს, პროტესტანტებსა და ძველ კათოლიკეებს ნაციისტურმა კანონმდებლობამ 1939 წელს დაუნესა საეკლესიო გადასახადები, რომლის აკრეფაც ეკლესიებს ევალებოდათ საკუთარი წევრებისაგან. ამ გადასახადის იძულებით გადახდის უზრუნველყოფა შეიძლებოდა სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელის წარდგენის გზით, მაგრამ პირს შეეძლო, ეკლესიის დატოვების შემთხვევაში გათავისუფლებულიყო ამ გადასახადისაგან. კათოლიკური ეკლესიისათვის ამ გადასახადის დაწესებით სახელმწიფომ უარი თქვა საეკლესიო ხარჯების დაფარვის ვალდებულებისაგან, რომელიც მას იმპერატორ იოზეფ II-ის დროიდან ეკისრებოდა.

ებრაელთა საზოგადოებას რელიგიური გადასახადი დაუნესდა 1890 წელს მიღებული კანონით აღიარების შესახებ. ებრაელთა საზოგადოების გადასახადების მოკრეფის რეჟიმს, სხვა ეკლესიებთან შედარებით, ის უპირატესობა გააჩნია, რომ გადასახადების მოკრეფა ნებადართულია ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ფორმით. საკუთარი წევრებისათვის გადასახადების დაწესების უფლება აღიარებულ რელიგიურ საზოგადოებას მინიჭებული აქვს 1874 წელს მიღებული აღიარების შესახებ კანონის საფუძველზე, თუმცა დღემდე არც ერთ შედარებით მცირე აღიარებულ რელიგიურ მიმდინარეობას არ გამოუყენებია ეს უფლება.

### 7. საჯარო რეესტრი და ბავშვთა რელიგია

საჯარო რეესტრის შესახებ კანონის თანახმად, პირის რელიგიური კუთვნილება უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში იმ შემთხვევაში, როდესაც მისი პირადი სტატუსი იცვლება (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება). ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც განეკუთვნებიან აღიარებულ ეკლესიასა თუ რელიგიულ საზოგადოებას. პირები, რომლებიც არ თვლიან საჭიროდ საკუთარი რელიგიური მრწამსის საჯაროდ გამოვლენას, უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ის ფორმა, სადაც მითითება რელიგიაზე არ არის.

ბავშვის რელიგიური კუთვნილების საკითხს წყვეტენ მისი მშობლები. მშობლებსა და შვილებს შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს 1985 წელს მიღებული „ბავშვთა რელიგიური განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დაუშვებელია 12 წელს გადაცილებული ბავშვის იმ რელიგიაზე აღზრდა, რომელიც არ შეესაბამება მის სურვილს, ხოლო 14 წლის მოზარდებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ საკუთარი რელიგია.

### 8. განათლება

რელიგიის საგნის სწავლება სავალდებულოა საჯარო სკოლებში როგორც დაწყებით, ასევე საშუალო დონეზე. სახელმწიფო თავად ფარავს სასწავლო

პროგრამის შედგენის ხარჯებს, თავის თავზე იღებს მასწავლებელთა ხელფასების ანაზღაურებას. სასწავლო პროგრამის შინაარსის შედგენაში მონაწილეობას იღებს თვითეული რელიგიური საზოგადოება, რომელიც ასევე ნიშნავს ინსტრუქტორებს. აღიარებული რელიგიის მიმდევარი სტუდენტისთვის რელიგიური განათლების მიღება სავალდებულოა, თუმცა სწავლების პროგრამა ითვალისწინებს არჩევანის შესაძლებლობასაც. თოთხმეტ წელს მიულწეველი ბავშვებისათვის მშობლები იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რომელი რელიგიური მიმდინარეობა უნდა შეესწავლონ მათ, თოთხმეტ წელს მიღწეულები კი, წერილობითი განცხადების საფუძველზე, თავად აკეთებენ არჩევანს. ამჟამად ამ სისტემის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია 1949 წელს მიღებულ კანონში რელიგიური განათლების შესახებ.

სახელმწიფო სუბსიდიებს აძლევს აღიარებული ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებების მიერ დაარსებულ კერძო სკოლებს, თუ ისინი მიჩნეულია საჯარო სკოლების მსგავს სკოლებად. სუბსიდია გამოიხატება ამ სკოლების სასწავლო პერსონალის დაფინანსებაში, რაც ნიშნავს სკოლის უზრუნველყოფას მასწავლებლებით და სკოლაში მომუშავე მასწავლებლების ხელფასებით უზრუნველყოფას. ამგვარი შეღავათით მორწმუნეთა საზოგადოებები არ სარგებლობენ, რადგან სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მათი სკოლები სპეციალური საჭიროებითაა განპირობებული.

ავსტრიის უნივერსიტეტებში არსებობს არაერთი თეოლოგიური ფაკულტეტი. მათ, ისევე როგორც ყველა სხვა ინსტიტუტს სახელმწიფო აფინანსებს. ავსტრიის უნივერსიტეტებში სწავლება უფასოა. ერთ ფაკულტეტზე ისწავლება პროტესტანტული თეოლოგია, რამდენიმე სხვა ფაკულტეტზე კი — კათოლიკური თეოლოგია. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მიმართულებას განსაზღვრავს თავად ეკლესია სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე და ლექტორების დანიშვნაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მათ კანდიდატურას ეკლესია ეთანხმება. პროტესტანტებისათვის ეს უფლება გარანტირებულია პროტესტანტების აღიარების შესახებ კანონში, რომელიც მიიღეს 1961 წელს, ასევე 1981 წელს მიღებულ კანონში პროტესტანტული თეოლოგიის სწავლების შესახებ, კათოლიკებისათვის კი — 1934 წლის კონკორდატსა და 1969 წელს მიღებულ კანონში კათოლიკური თეოლოგიის სწავლების შესახებ.

## VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები

კულტურის, მეცნიერებისა და განათლების ფედერალური სამინისტრო ადმინისტრირებას უწევს აღიარებულ რელიგიათა რეჟიმს. კვაზი-დამოუკიდებელი უწყება ახორციელებს დაკვირვებებს იმ რელიგიურ დაჯგუფებაზე, რომელიც შემწეულია, როგორც სახიფათო სექტა. გარდა ამისა, შესაძლებელია რელიგიურ საკითხებში ჩაებას სხვადასხვა უწყება მისი კომპეტენციის შესაბამისად.

სექტების მონიტორინგი დაიწყო 1994 წლიდან, როდესაც პარლამენტის რეზოლუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა სპეციალური კაბინეტი. კაბინეტს დაევალა მოსახლეობისათვის „სექტებზე, ფსევდო-რელიგიურ დაჯგუფებებსა და დესტრუქციულ კულტებზე“ ცნობების მიწოდება და კონსულტაციების მიცემა ამგვარი დაჯგუფების იმ წევრთათვის, რომლებიც თავს თვლიან სექტების მსხვერპლად ან სურთ ასეთი დაჯგუფების წევრობიდან გამოსვლა. ეს განხორციელდა გარემოს დაცვის, ახალგაზრდულ და საოჯახო საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიერ, რომელმაც 1996 წელს გამოაქვეყნა ბროშურა სახიფათო სექტების შესახებ.

1998 წლიდან, მას შემდეგ, რაც მიიღეს აქტი „სექტებთან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირებისა და ინფორმირების სააგენტოს შექმნის შესახებ“, სექტებზე დაკვირვებებმა კანონსმიერი საფუძველი შეიძინა. შედარებით ახლად შექმნილ სექტებთან დაკავშირებული საკითხების ფედერალური სააგენტო სარგებლობს დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, ამიტომ კულტურის, მეცნიერებისა და განათლების ფედერალურ სამინისტროს მასზე ზედამხედველობის განხორციელების უფლება გარკვეულწილად შეზღუდული აქვს (იხ. ქვემოთ). სააგენტო უფლებამოსილია შეკრიბოს და გაავრცელოს ცნობები იმ საფრთხის შესახებ, რაც შეიძლება დაემუქროს საზოგადოებას სახიფათო სექტების ან მსგავსი ორგანიზაციებისაგან, ასევე დროულად მიანოდოს საზოგადოებას ინფორმაცია. სააგენტო უფლებამოსილია ითანამშრომლოს უცხოურ და ქვეყნის შიგნით მოქმედ სააგენტოებთან, კოორდინირება გაუწიოს კვლევით სამუშაოებს და უზრუნველყოს კონსულტაციების გაცემა.

სააგენტო უფლებამოსილია მოახდინოს ზემოაღნიშნული უფლებების რეალიზაცია, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ესა თუ ის სექტა ან მსგავსი ორგანიზაცია საფრთხეს უქმნის სხვა პირის:

- სიცოცხლეს ან ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობას;
- პროვნების თავისუფალ განვითარებას, რომელიც ასევე გულისხმობს დაჯგუფებაში განწევრიანებისა და მის წევრობაზე უარის თქმის თავისუფლებას;

- ოჯახურ ცხოვრებას;
- საკუთრებას ან ფინანსურ დამოუკიდებლობას;
- ან არასრულწლოვანთა ან მოზარდთა თავისუფალ გონებრივ თუ ფიზიკურ განვითარებას.

საკუთარი საქმიანობის განხორციელების პროცესში სააგენტო უნდა იყოს მაქსიმალურად შემწყნარებელი ყველა რელიგიური თუ ფილოსოფიური საზოგადოების აზრის მიმართ, ასევე პატივი უნდა სცეს სამოქალაქო თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებებს. სააგენტოს საქმიანობა უნდა იყოს ობიექტური. ამავე დროს დაცულ უნდა იქნას პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც განმტკიცებულია 1978 წლის ავსტრიის კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის აქტში. დაცვის ამ საშუალებებს შორის არის შეზღუდვებიც, თუ რა გზით შეიძლება მოხდეს პერსონალური მონაცემების შეგროვება და გარემოებები, რომლის დროსაც უნდა მოხდეს მათი გადაცემა. სააგენტო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმ მონაცემების შეგროვებას, რაც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის ან პირის მიერ ნებაყოფლობით გამჟღავნდება. იძულებითი მეთოდების გამოყენება ყველა შემთხვევაში აკრძალულია. პერსონალური მონაცემები, რომლებიც საზოგადოებისათვის მიუწვდომელია, შეიძლება შეგროვდეს მხოლოდ კონფლიქტური ინტერესების დაბალანსების გზით. დაუშვებელია შეკრებილი მონაცემების სხვაგვარად გამოყენება გარდა იმ მიზნებისა, რისთვისაც მოხდა მათი შეგროვება. შეკრებილი მონაცემების შენახვა დასაშვებია ორი წლის განმავლობაში და უნდა განადგურდეს, თუ აღარ არის მათი შენახვის საჭიროება.

სააგენტოს უფროსი ინიშნება გარემოს დაცვის, საოჯახო და ახალგაზრდულ საკითხთა ფედერალური მინისტრის მიერ. იგი ვალდებულია პერიოდულად აცნობოს სამინისტროს სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესახებ. მინისტრს უფლება აქვს გადააყენოს სააგენტოს უფროსი თანამდებობიდან კანონის დარღვევის შემთხვევაში. მინისტრს შეზღუდული აქვს სააგენტოს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების უფლება. სააგენტოს მიერ განხორციელებული ქმედება შეიძლება გამოიხმონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს კანონს, ან არაა გათვალისწინებული ბიუჯეტით.



## VII. მნიშვნელოვანი საკითხები

როგორც აღმოჩნდა, ავსტრიაში რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტების პრაქტიკა არსებობს მხოლოდ იმ პოლიტიკასთან და კანონებთან დაკავშირებით, რაზეც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც ეხება ახლად და არასრულად აღიარებულ რელიგიებს. 1998 წლის აქტი იურიდიული სტატუსის შესახებ არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული იმის გამო, რომ იგი ემსახურება აღიარების შეფერხებას და არა ხელის შეწყობას. მის მიმართ გაისმა ბრალდებები იმის გამო, რომ იგი არ ცნობს ახლად აღმოცენებული რელიგიების თანასწორობის საკითხს. ავსტრიის პოლიტიკა პოტენციურად საშიში სექტების მონიტორინგთან დაკავშირებით გაგებული იქნა როგორც ამა თუ იმ რელიგიის დისკრიმინაცია. ამგვარად ამერიკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიამ აიძულა ავსტრია მიეხედა თავისი საერთაშორისო ვალდებულებებისათვის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა კი განაცხადა, რომ ავსტრია ხელს უწყობს სოციალური დისკრიმინაციის განვითარებას რელიგიების აღიარებასთან დაკავშირებული კანონების მიღებისა და სექტებზე დაწესებული კონტროლის გზით.

ავსტრიის ხელისუფლება კი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ 1998 წლის აქტი იურიდიული სტატუსის შესახებ არ ხელყოფს ავსტრიის კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებულ რელიგიის თავისუფლებას. ავსტრიის ხელისუფლების განცხადებით, ახლადშემოდებული აღიარების ორსაფეხუროვანი სისტემა ყველაზე შესაფერისი გზაა, რათა მცირე და ახლად აღმოცენებული რელიგიური გაერთიანებები მოერგოს იმ ტრადიციულ სისტემას, რომელიც ემსახურება სახელმწიფოსა და რელიგიურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების მონესრიგებას. უფრო მეტიც, გადაწყდა, რომ ავსტრიის კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაჩივრება მოხდება ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოში და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში.

ავსტრიაში არაერთხელ გაისმა კრიტიკა 1998 წლის იურიდიული პირის სტატუსის შესახებ კანონის ირგვლივ, რომელიც მომდინარეობდა პროტესტანტი პოლიტიკოსებისაგან, მცირე პოლიტიკური პარტიისაგან და კონსტიტუციის ექსპერტებისაგან. კანონის ეს ოპონენტები აცხადებდნენ, რომ რელიგიური დაჯგუფების აღიარების ორსაფეხუროვანი სისტემის შემოღება (და მთელი რიგი მოთხოვნები, რაც საჭიროა სრული აღიარებისათვის) არღვევს თანასწორობის პრინციპს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ იურიდიული სტატუსი მიენიჭებოდა არანაკლებ 100 და არა 300 კაცისაგან შემდგარ რელიგიურ გაერთიანებას. უნდა ითქვას, რომ ავსტრიის მმართველი პარტიები და ავსტრიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რელიგიის აღიარების სწორედ ახალი სისტემის მომხრეა. ეს უმრავლესობა აღნიშნულ კანონმდებლობას მიიჩნევს ახალი რელიგიების ფონზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო საშუალებად.

ავსტრია ცდილობს, გაამართლოს პოტენციურად სახიფათო რელიგიური დაჯგუფებების შემცირების ავსტრიაში არსებული პრაქტიკა, მიუთითებს რა, რომ ეს მისაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების თვალსაზრისით. საკუთარი სიმართლის დასადასტურებლად ავსტრია იშველიებს მრავალ ფაქტს, როდესაც ადგილი ჰქონდა მასობრივ მკვლევლობებს, რომელთა ორგანიზატორები იყვნენ „ჯიმ ჯოუნსის“ სექტა — გაიანაში, „მზის ტაძრის“ სექტა — შვეიცარიასა და კვებეკში, „სამოთხის კარების“ დაჯგუფება — კალიფორნიაში და „დავითიანელების“ სექტა — ტეხასში.

# აშშ

რელიგიის თავისუფლება აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა იყო ჯერ კიდევ ევროპული კოლონიზაციის პერიოდში, თუმცა დღესაც ის ფართო საჯარო განხილვის საგანია. დროთა განმავლობაში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობამ გარკვეული სახეცვლილება განიცადა. თუ თავდაპირველად კანონით მხოლოდ პროტესტანტობა იყო აღიარებული, შემდეგ სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებებს მიენიჭათ უფლება, განვითარებულიყვნენ „საკუთარი შეხედულებებისა და საკუთარი დოგმა-პრინციპების გამოყენების გზით“. აშშ-ში რელიგიის თავისუფლება დაცულია აშშ-ს კონსტიტუციის პირველ შესწორებაში, რომელიც შეიცავს ნორმებს არატრადიციული ეკლესიებისა და რწმენის თავისუფალი გამოვლინების შესახებ. გარდა ამისა, არსებობს მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რელიგიის თავისუფლებას, როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე. ამას ემატება მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთაც მიერთებულია ამერიკა.

ამ ნაშრომში მოცემულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ისტორიული და სამართლებრივი ექსკურსი, განხილულია ძირითადი კანონები და ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიის საქმიანობას, ასევე ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები და ვალდებულებები, რომელთაც ამერიკა მიერთებულია და ეხება რელიგიის თავისუფლების საკითხს. განხილულია, როგორ ენიჭებათ იურიდიული პირის სტატუსი რელიგიურ ორგანიზაციებს. მიმოვიხილავთ დღეს არსებულ პოლიტიკურ დაპირისპირებებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: რელიგიური შეღავათები, განათლება, სახელმწიფოს დახმარება რწმენასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პროგრამებისთვის, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ საქველმოქმედო საქმიანობებისა და რელიგიის სიმბოლოების დაფინანსება.

## შესავალი

ჯერ კიდევ ევროპელთა მიერ XV-XVI საუკუნეებში ახალი სამყაროს აღმოჩენის დროიდან რელიგია ამერიკის განვითარების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. კოლუმბი და მისი საქმის გამგრძელებელი მივიდნენ ახალ მინაზე სიმდიდრისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის საკუთარ მხარეზე გადმოხიზების მისიით. XVIII ს-ში ინგლისისა და ჰოლანდიის მიერ მუდმივი კოლონიების დაარსება ემსახურებოდა მთელ რიგ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ემიგრანტების დიდი რაოდენობა ჩადიოდა ამერიკაში თავშესაფრის მოსაპოვებლად იმ რელიგიური დისკრიმინაციისა და დევნის გამო, რასაც ისინი განიცდიდნენ ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ისინი ასევე ეძებდნენ რელიგიის თავისუფლებას და სასურველი რწმენის თავისუფლად გამოსატყვის შესაძლებლობას.

ამერიკაში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობები მეტად საინტერესოდ განვითარდა. ჯერ ერთი, ეს ურთიერთობები ერთმანეთისაგან ფორმალურად გაიმიჯნა და ყველა რელიგიურ დაჯგუფებას მიენიჭა უფლება, განვითარებულიყო და გაფართოებულიყო „შინაგანი რწმენისა და საკუთარი დოგმა-პრინციპების გამოყენებით“, თუმცა, ეს ურთიერთგამიჯვნა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა და საბოლოოდ, რა სახით უნდა ჩამოყალიბდეს, ჯერაც არ გადანყვეტილა.

ზოგიერთი კოლონია ინგლისის ანგლიკანური ეკლესიის მიმდევრებმა დაარსეს, ზოგი კი — განსხვავებულ სარწმუნოებათა აღმსარებლებმა. **თუმცა, ამ კოლონიებშიც ზუსტად იმავე სახის სახელმწიფო-საეკლესიო კავშირები არსებობდა**, როგორც კოლონიისტების ყოფილ ქვეყნებში. განსხვავება ის გახლდათ, რომ, თუ ისინი სარწმუნოების გამო თავიანთ ყოფილ სამშობლოში იდევნებოდნენ, ახალ კოლონიებში მათ რელიგიას პრივილეგიებული სტატუსი მიენიჭა. ამგვარად, არა მხოლოდ სამხრეთ კოლონიების, სადაც ანგლიკანური ეკლესია აგრძელებდა დამკვიდრებას, არამედ ახალ ინგლისურ კოლონიებში, სადაც პურიტანიზმმა გაიდგა ფესვები, კოლონიისტები ხელისუფლების ძალაუფლებას იყენებდნენ საიმისოდ, რომ უზრუნველყოთ საკუთარი რელიგიის უპირატესი სტატუსი და პრობლემები შეექმნათ სხვა რელიგიის წარმომადგენლებისათვის. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მდებარე კოლონიები, ნიუ-იორკი და პენსილვანია, რელიგიური შემწყნარებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის რევოლუციამდე არც ერთ შტატში არ არსებობდა რწმენის თავისუფლების რეალური დაცვის გარანტიები.

მზარდმა იმიგრაციამ და ლიბერალურმა გარემომ, რაც ამ ახალი სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი, გამოიწვია სახელმწიფოსა და ეკლესიის მჭიდრო კავშირის თანდათანობითი ეროზია. 1787 წელს ამერიკის კონსტიტუციის პროექტის მომზადებისას, ასევე 1789 წელს ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების რელიგიასთან დაკავშირებული დებულებების შემუშავებისას, უმეტეს შტატებში

ეკლესიებს უკვე დაკარგული ჰქონდათ უპირატესი სტატუსი. 1833 წლისათვის არც ერთ შტატში აღარ შემორჩა სახელმწიფო სტრუქტურათა მჭიდრო კავშირის მქონე ტრადიციული ეკლესიები.

რელიგიებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში აღზევება განიცადეს. 1830 წელს ალექს დე ტოკვილმა განაცხადა: „**არ არსებობს დედამიწაზე სახელმწიფო, სადაც ადამიანის სულზე ქრისტიანობას იმოდენა გავლენა ჰქონდეს, რამდენიც ამერიკაში**“. სარწმუნო სტატისტიკის თანახმად, ეს ცნობები სიმართლეს მთლად არ შეესაბამება, თუმცა ხელთარსებული ინფორმაცია მოწმობს ამერიკაში რელიგიური რწმენის მზარდ გავლენასა და რელიგიურ გაერთიანებათა ძალაუფლებას. ამას წინათ განხორციელებულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ამერიკის მკვიდრთა რელიგიური ორგანიზაციებისადმი კუთვნილების პროცენტული შეფარდება 1990 წელს იგივე იყო, რაც 1650 წელს. „ნიუ-იორკ თაიმსისა“ და სი-ბი-ეს-ის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამერიკის მოსახლეობის 80-90% ამჟღავნებს თავის კუთვნილებას პროტესტანტული, კათოლიკური, თუ სხვა რელიგიებისადმი. ხოლო ჯორჯ გელაპის გამოკითხვათა თანახმად, ამერიკელთა 90% რელიგიას ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. 1997 წელს გამოცემულ ამერიკული და კანადური ეკლესიების წლიურ ნიგში აღნიშნულია, რომ ამერიკაში დღეისათვის 213 რეგისტრირებული რელიგიური წარმონაქმნია, ხოლო ნევრთა რაოდენობა 157 503 033-ს შეადგენს (მთელი მოსახლეობის რაოდენობა დღეისათვის 267 368 000 კაცია). ამასთან, ეს მონაცემები არ ფრცვლდება ამერიკაში მოქმედ ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე. მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის აშშ უნიკალურია რელიგიური რწმენის სიძლიერის თვალსაზრისით.

„ნიუ-იორკ თაიმსისა“ და სი-ბი-ეს-ის მიერ ბოლო ორ ათწლეულში განხორციელებული დაკვირვებებით გამოვლინდა, რომ ამერიკელთა 55-60% პროტესტანტია, 22-25% კათოლიკე, 2-4% ებრაელი, ხოლო 2-6% არაქრისტიანი ან სხვა რელიგიის მიმდევარი. ეროვნული რელიგიების განსაზღვრის მიზნით, 1990 წელს ჩატარებულმა გამოკვლევებმა ოდნავ განსხვავებული მონაცემები დააფიქსირა — 60% პროტესტანტი, 26% კათოლიკე, 2% ებრაელი, 1,5 % არაქრისტიანი. რელიგიათა პლურალიზმის მიუხედავად, ეს ციფრები ცხადყოფენ აშშ-ს პროტესტანტული ეკლესიის ისტორიულ დომინირებას, ასევე რელიგიურ უმცირესობათა ტენდენციას, შეუერთდნენ უმრავლესობაში მყოფი პროტესტანტების კულტურას.

აშშ-ში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნა არ უნდა გავიგოთ, როგორც სახელმწიფოს უარი რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერაზე ან ისე, თითქოს რელიგია გარკვეულწილად არ ზემოქმედებს სახელმწიფოზე. მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, რომ აშშ-ში არსებობს ენ „სამოქალაქო რელიგია“, რელიგიური წესი, რომელსაც აღიარებს თვითეული ამერიკელი, რელიგიებს შორის განსხვავებათა მიუხედავად. ბევრი აღნიშნავს, რომ რელიგიის არსი ამერიკელთა განსაკუთრებული ფესვებში უნდა მოიძებნოს, ანუ რელიგია განავითარა ჯერ კიდევ კოლონიების ჩასახვის მომენტში არსებულმა რწმენამ, რომ ამერიკა არის „ზესა-

ხელმწიფო“, ახალი იერუსალიმი და ამერიკას აკისრია ყველაზე დიდი მისია დედამიწის მთელ ერებს შორის. დღეისათვის პროტესტანტიზმი — სამოქალაქო რელიგია, როგორც მას ხშირად უწოდებენ, განამტკიცებს ამერიკულ დემოკრატიას, ხელს უწყობს ამერიკაში ახლადჩამოსახლებულთა აბსორბაციას და ემსახურება ერის გამთლიანების მიზნებს.

აშშ-ში რელიგიისა და კულტურის მაკონსოლიდირებელი ბუნების გამო, სა-ხელმწიფოსაგან ეკლესიის ფორმალური დამოუკიდებლობის მიუხედავად, ხელისუფლება სხვადასხვა გზით გამოხატავს მისდამი პატივისცემას. რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში სახელმწიფომ გამოყო დასავლეთ ტერიტორიების მიწები ეკლესიების ასაგებად. XIX საუკუნეში კი ფედერალურმა მთავრობამ გასცა დიდი ოდენობით გრანტები მთელ რიგ რელიგიურ დაჯგუფებებზე, მკვიდრ ამერიკელთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოსაქცევად. რელიგიის გაკვეთილები ათწლეულთა მანძილზე საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამების შემადგენელი ნაწილი იყო. ფრაზა „ჩვენ გვწამს ღმერთი“ არის როგორც ეროვნული ლოზუნგი, ასევე აშშ-ს მონეტებისა და ქალაქის ფულის ნიშანი. კონგრესის დირექტივით, ყოველწლიურად აშშ-ს პრეზიდენტი აცხადებს ლოცვის ეროვნულ დღესასწაულს, ასევე გამოსცემს საშობაო და thanksgiving მიმართვებს, რასაც ხშირად რელიგიური დატვირთვა გააჩნია. რელიგიური დაწესებულებები გათავისუფლებულნი არიან ქონებისა და საშემოსავლო გადასახადებისაგან. ინაუგურაციის დროს პრეზიდენტები, როგორც წესი, ბიბლიაზე დებენ ფიცს და მას ამთავრებენ სიტყვებით — შეგვენიე უფალო, თუმცა ეს ბოლო ფრაზა კონსტიტუციით სავალდებულო არ არის. კონგრესისა და შტატების საკანონმდებლო ორგანოების სხდომებს ლოცვით ხსნიან. ხელისუფლება მრავლად აგზავნის სასულიერო პირებს ციხეებში, ჰოსპიტალებსა და სამხედრო შენაერთებში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიამ ისტორიულად უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ამერიკის საზოგადოებისა და კულტურის ფორმირების პროცესში და ეს დღესაც ასეა. აშშ-ში შეიმუშავეს კანონის პროექტი, რომელიც ანესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის და ხელისუფლებას უკრძალავს ერთი რომელიმე რელიგიის აღიარებას. კანონი უფლებას ანიჭებს ნებისმიერ პიროვნებას, სურვილისამებრ აირჩიოს რელიგია და გამოხატოს ეს ყველა დაშვებული ფორმით. კანონპროექტით, ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. მიუხედავად ამ ფორმალური დამოუკიდებლობისა, რელიგია გარკვეულად აწვდის თავის გავლენას სახელმწიფოზე და ხელისუფლებაც ნაწილობრივ ადასტურებს და აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ რელიგიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საზოგადოების, ისე კულტურისათვის. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ დასახელებულ კანონპროექტს დეტალურად და მიმოვიხილავთ მის ირგვლივ მიმდინარე დებატების ყველაზე აქტუალურ ასპექტებს.

## I. საპარტლუზრივი დუ კონსტიტუციური სისტემა

### ა) კონსტიტუციის მიღება

1790 წლის პარიზის ხელშეკრულების რატიფიცირებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის რევოლუცია არ იყო დასრულებული, 1781 წლის 1 მარტს აშშ ფორმალურად სახელმწიფოდ იქნა აღიარებული: ამ დღეს კონგრესმა მოახდინა შტატების კონფედერაციის კონსტიტუციის რატიფიცირება. ამ კონსტიტუციით შეიქმნა ხელისუფლების ფედერალური მონყობის სისტემა, სადაც გაიმიჯნა უფლებამოსილება, ერთი მხრივ, ცენტრალურ ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, თვითოეულ შტატს შორის. რევოლუციამ, გაითვალისწინა რა ინგლისის მონარქიის უარყოფითი მხარეები, რაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას უწყობდა ხელს, შექმნა საკმაოდ სუსტი ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო შტატებს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები მიენიჭა.

ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნდა გადასახადების მოკრების უფლებამოსილება, ვაჭრობის უფლება, არ იყო უფლებამოსილი, ეიძულებინა შტატები, შეესრულებინათ მისი გადაწყვეტილებები. ეს შეიძლებოდა მხოლოდ შეთანხმებისა და თანამშრომლობის გზით.

მალე ცხადი გახდა, რომ ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში არსებული სტრუქტურა არც ისე ეფექტური იყო. 1787 წელს ამას მოჰყვა კონსტიტუციის მიღება, რომელიც ძალაში 1788 წელს შევიდა. ამ დოკუმენტით შეიქმნა მმართველობის ფედერალური სისტემა, რამაც ცენტრალურ ხელისუფლებას მცირე უფლებამოსილებები დაუტოვა. ამავე დროს შემოიღეს დღეისათვის უკვე კარგად ცნობილი ხელისუფლებათა დანაწილების სისტემა, რომლითაც საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა ორპალატიან კონგრესს, აღმასრულებელი ხელისუფლება — პრეზიდენტს, სასამართლო ხელისუფლება კი — უზენაეს სასამართლოსა და ქვემდგომ სასამართლოებს, რომლებიც შეიძლება შეიქმნას კონგრესის მიერ. შტატებს — მათი რაოდენობა თავდაპირველად 13 იყო, ხოლო დღეს ორმოცდაათია — მიენიჭათ სრული სახელისუფლებო უფლებამოსილება იმ სფეროებში, რომელიც, კონსტიტუციით ცენტრალური ხელისუფლებისათვის არ იყო დელეგირებული.

### ბ) ნორმატიული აქტების იერარქია

თავად კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია ფედერალურ კანონებთან, შტატების კონსტიტუციებთან და კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ხელშეკ-

რულებებთან და ადმინისტრაციულ ნორმატიულ აქტებთან შედარებით. კომპეტენციის შესაბამისად გამოცემული ფედერალური კანონები შტატების კონსტიტუციებთან, კანონებთან და ნორმატიულ აქტებთან შედარებით უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ. საერთაშორისო ხელშეკრულებები და ფედერალური კანონები, კონსტიტუციის თანახმად, ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტები არიან და თუ ერთი მათგანი უფრო გვიანაა მიღებული, შესაბამისად, მისი ნორმები უნდა გამოიყენონ. კონსტიტუციის, ხელშეკრულებებისა და ფედერალური კანონების განმარტების საბოლოო არბიტრი უზენაესი სასამართლოა. შტატების კონსტიტუციებისა და კანონების განმარტებას ახდენენ შესაბამისი შტატების უმაღლესი სასამართლოები.

### გ) კანონებისა და ნორმატიული აქტების გამოქვეყნება

ფედერალური კანონის გამოქვეყნება ხდება გაზეთში - „*Statutes at Large*“, იმ კანონების ყოველწლიურ კრებულში, რომელთაც კონგრესი იღებს თვითუღეს სესიაზე და აქვეყნებს დადგენილი წესით. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა წელიწადში ერთხელ გამოსცემს ყველა ამოქმედებული კანონის სისტემატიზებულ ვერსიას — აშშ-ის კოდექსს, ხოლო 6 წელიწადში ერთხელ ხდება ბოლო 6 წლის გამოცემების შემაჯამებელი გამოცემა. *West Publishing Company* ბეჭდავს აშშ-ის კოდექსს, რომელსაც ერთვის კომენტარები, ხოლო *Awyers Cooperative Publishing Company* ბეჭდავს აშშ-ის კოდექსს. აშშ მთავრობის მიღებული ადმინისტრაციული ნორმატიული აქტების გამოქვეყნება ხდება ფედერალურ რეესტრში, რაც ყოველდღიური გამოცემაა, ხოლო დროთა განმავლობაში ისინი თავს იყრიან ფედერალური ნორმატიული აქტების კოდექსში. ყოველი შტატი, თავის მხრივ, აქვეყნებს ყოველი სესიის დროს მიღებულ კანონებსა და ძალაში მყოფი კანონების ერთიან კოდიფიცირებულ ვერსიას. ამასთან, ყველა შტატი აქვეყნებს ადმინისტრაციულ ნორმატიულ აქტებს, ასევე ქვეყნდება ფედერალური და შტატების სასამართლოთა მიღებული გადაწყვეტილებები. ზემოაღნიშნული კანონებისა და ნორმატიული აქტების ნახვა ასევე შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით საიტებზე *Westlaw* და *Lexis-Nexis*.

### დ) მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვა

პიროვნება, რომელიც თვლის, რომ ირღვევა მისი რელიგიური უფლებები და თავისუფლებები, უფლებამოსილია გაასაჩივროს კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, ასევე ყველა ის ქმედება, რომლებიც აშკარად ლახავს მის რელიგიურ თავისუფლებას.



რაც შეეხება ნორმატიულ აქტებს, ადმინისტრაციული საპროცესო აქტის მოთხოვნის თანახმად, ფედერალური უწყებები ვალდებული არიან, „ფედერალურ რეესტრში“ გამოაქვეყნონ მათ მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, რაც დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნდება შესაძლებლობას, გადანყვეტილებათა საბოლოო ფორმით ჩამოყალიბებამდე გამოთქვან მათზე საკუთარი შეხედულებები. დაინტერესებულ მხარეებს ასევე შეუძლიათ, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ნორმატიული აქტების გამოცემასთან, ძალაში შესვლას ან გაუქმებასთან. მეტიც, პირი, რომელიც თვლის, რომ უკანონოა ამა თუ იმ უწყების ქმედებამ გამოიწვია, უფლებამოსილია, შეიტანოს სარჩელი ფედერალურ რაიონულ სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

იმ შემთხვევაში, თუ პირს მიაჩნია, რომ ხელისუფლების მიერ კონსტიტუციის ან სხვა ფედერალური კანონის დარღვევით განხორციელებულმა ქმედებამ შელახა მისი უფლებები, უფლებამოსილია, გაასაჩივროს ხელისუფლების ქმედება ფედერალურ სასამართლოში ან შტატის საერთო იურისდიქციის სასამართლოში. ზემოაღნიშნული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოებში, ეს უკანასკნელი კი შეიძლება გასაჩივრდეს აშშ-ის უზენაეს სასამართლოში.

#### ე) სასამართლოს პატივისცემა

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის მოსახლეობას ისეთი ნდობა არ გააჩნია სასამართლოებისადმი, როგორც ამერიკის მოსახლეობას. შესაბამისად, პატივისცემით ეკიდებიან სასამართლოს გამოტანილ გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა უზენაესი სასამართლოს, სამტატო და უფრო დაბალი ინსტანციის ფედერალური სასამართლოების მიერ კონსტიტუციის ან თუ იმ მუხლზე მიცემული განმარტებები მეტად საეჭვოა და იწვევს მკვეთრ პოლიტიკურ დაპირისპირებებს. დაპირისპირებები უფრო იმ გადაწყვეტილების აღსრულებას მოჰყვება ხოლმე, რომელიც ცვლის რომელიმე სოციალურ ინსტიტუტს, ან ეხება კულტურულ მემკვიდრეობას, რასობრივი სეგრეგაციასა თუ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საღვთო საქმიანობას. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების მორჩილება, იმის მიუხედავად, იზიარებენ თუ არა მას, საზოგადოებაში უკვე მყარად არის ფეხმოკიდებული.

## II. რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებები

დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და კონფედერაციის მუხლებისაგან განსხვავებით, აშშ-ის კონსტიტუცია რაიმე მითითებას რელიგიაზე ან ღმერთზე არ აკეთებს. კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი შეიცავდა მხოლოდ ერთ მუხლს, რომელიც ეხებოდა რელიგიას. VI მუხლის თანახმად:

**აშშ-ში დაუშვებელია, საჯარო მოხელეთა თანამდებობის დასაკავებლად, რაიმე სახის რელიგიური მოთხოვნის დანერგვა.**

მაღე ცხადი გახდა, რომ კონსტიტუცია სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა პროცენტის უფლებათა დაცვას, რასაც მოჰყვა ადამიანის უფლებათა შესახებ ბილის პროექტის მომზადება პირველი კონგრესის პირველივე სესიაზე და 1791 წელს პირველი ათი კონსტიტუციური შესწორების რატიფიცირება. ამ ათმა შესწორებამ განამტკიცა არა მხოლოდ რელიგიის, არამედ სიტყვის, პრესის, გაერთიანებების თავისუფლება შემდეგი ფორმით:

**„კონგრესი არ არის უფლებამოსილი მიიღოს კანონი, რომელიც ემსახურება რელიგიის დამკვიდრებას ან რწმენის თავისუფლად გამოვლენის აკრძალვას, სიტყვის ან პრესის თავისუფლების, ან ადამიანთა მშვიდობიანი შეკრების უფლების აკრძალვას.“**

ამასთან, XIV შესწორებაში ნათქვამია: დაუშვებელია, სახელმწიფომ შეუზღუდოს პირს სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონებრივი უფლებები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მართალია, სამართლიანი სასამართლოს დებულება არ მიუთითებს, რომ პირველი შესწორება იცავს რელიგიურ ან სხვა სახის უფლებებს, მაგრამ სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილებებით ეს უფლებები აღიარებულია. შტატებიც იმავე კონსტიტუციურ სტანდარტებს ექვემდებარებიან, როგორსაც ფედერალური ხელისუფლება.

პირველი კონსტიტუციური შესწორების რელიგიის საკითხთან დაკავშირებული დებულების სასამართლო განმარტებები დღესაც წინააღმდეგობრივია, რადგან, ერთი მხრივ, ზოგი გადაწყვეტილება **ხაზს უსვამს და ადასტურებს ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ხოლო მეორე მხრივ, ამართლებს რელიგიური გაერთიანებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერას. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი რელიგიურ საკითხებში, მაგრამ, ამავე დროს, პატივი უნდა სცეს რელიგიას. პეპერსონ ვ. რკანსას საქმეში უზენაესმა სასამართლომ მიუთითა:**

დღევანდელი დემოკრატიის პრობებში ხელისუფლება ნეიტრალური უნდა იყოს რელიგიის თეორიის, დოქტრინისა და საქმიანობის საკითხებში. ეს ხელს

შეუშლის რელიგიის მიმართ მტრული დამოკიდებულების არსებობას ან ანტირელიგიურ პროპაგანდას, არ წამოაყენებს ერთ რელიგიურ თეორიას მეორის სანი-ნაალმდეგოდ. პირველი შესწორება ავალებს ხელისუფლებას შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი სხვადასხვა რელიგიებს, ასევე რელიგიასა და ათეიზმს შორის.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ორმოცდაათივე შტატის კონსტიტუცია შეიცავს რელიგიასთან დაკავშირებულ მუხლებს. ამ მუხლთა უმრავლესობა პირველი შესწორების გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა, ხშირად შტატების კონსტიტუციური დებულებები უფრო მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან სახელმწიფოსა და ეკლესიას, ვიდრე ფედერალური კონსტიტუცია.

### III. საერთაშორისო ვალდებულებები

#### ა) სახელმწიფოებო ვალდებულებები

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ აშშ იცავს რელიგიის თავისუფლებას საერთაშორისო დონეზე და ამიტომ აღიარებს მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებითაც გარანტირებულია რელიგიის თავისუფლება. აშშ სახელმწიფოებო ვალდებულებები შეიძლება ასე განვიხილოთ:

#### 1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია

გაეროს ქარტიის ერთ-ერთი მიზანია „საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვას მიუხედავად რასის, სქესის, ენის ან რელიგიისა“... ეს მიზანი მეორდება ქარტიის სხვა მუხლებშიც, რომლებიც ეხება გენერალური ასამბლეისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ფუნქციონირებას. აშშ არაფერს იშურებდა გაეროს შესაქმნელად და ამიტომ მოახდინა ამ ქარტიის რატიფიცირება 1945 წელს.

#### 2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

პაქტის მე-18 მუხლის თანახმად:

- 1) ყველას აქვს აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. ამ უფლებაში მოიაზრება საკუთარი შეხედულებისამებრ რელიგიის ან რწმენის მიღების უფლება, ასევე დამოუკიდებლად ან, საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, საკუთარი რელიგიის ან რწმენის გამოვლენის თავისუფლება ღვთისმსახურების, რიტუალების, მოძღვრებისა თუ სხვა რელიგიური საქმიანობის გზით.
- 2) დაუშვებელია ვინმეს იძულება, აირჩიოს ესა თუ ის რელიგია, ან სარწმუნოება საკუთარი სურვილის წინააღმდეგ.
- 3) რელიგიის ან სარწმუნოების გამოვლენის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც საჭიროა საჯარო უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

- 4) შეთანხმების ნეკრი სახელმწიფოები ვალდებული არიან პატივი სცენ მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების თავისუფლებას, უზრუნველყონ საკუთარი შვილების რელიგიური და მორალური აღზრდა თავიანთი შეხედულებისამებრ.

პატი ავალდებულებს მხარეებს **„მიიღონ ისეთი კანონები ან ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს შეთანხმებაში მოცემული უფლებების ამოქმედებას.“** აშშ-მა მხარი დაუჭირა პატის 1966 წელს, როცა ის გენერალურმა ასამბლეამ წამოაყენა და 1992 წელს, ხანგრძლივი დაყოვნების შემდეგ, რაც არ იყო დაკავშირებული რელიგიასთან დაკავშირებულ დებულებებთან, მოახდინა მისი რატიფიცირება.

### 3. ჰააგის 1899 წლის კონვენცია

ჰააგის კონვენცია შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უპირველეს საერთაშორისო აქტად, რომელიც შეეცადა, ჰუმანური ელემენტები შეეტანა ომის ტყვეებისადმი დამოკიდებულებაში. კონვენცია შეიცავს რელიგიასთან დაკავშირებულ მთელ რიგ დებულებებს. ომის ტყვეთა მოპყრობასთან დაკავშირებით მე-18 მუხლში წერია:

ომის ტყვეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, აღასრულონ საკუთარი რელიგიური წესები, მათ შორის, დაესწრონ ეკლესიებში წირვა-ლოცვას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამხედრო ხელმძღვანელის მიერ დადგენილ წესს.

27-ე მუხლის თანახმად კი:

საიერიშო ალყებისა და დაბომბვების დროს საჭიროა ყველა სათანადო ზომის მიღება, რათა უვნებლად გადარჩეს ყველა შენობა-ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია რელიგიური, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისათვის, ასევე ისტორიული ძეგლები, ჰოსპიტალები და ადგილები, სადაც თავმოყრილი არიან დაჭრილები ან ავადმყოფები, თუ იმ მომენტისათვის მათი გამოყენება არ ხდებოდა საბრძოლო დანიშნულებით.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო პირების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 46-ე მუხლის თანახმად:

უზრუნველყოფილ უნდა იქნას ოჯახური ღირსებისა და პატივის, პიროვნების სიცოცხლისა და კერძო საკუთრების, ისევე როგორც სარწმუნოებისა და რელიგიური საქმიანობის პატივისცემა და დაცვა.

აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება აშშ-მა 1902 წელს მოახდინა და ის დღესაც მოქმედებს. კონვენციის რამდენიმე დებულება აღარ მოქმედებს ჰააგის 1907 წლის კონვენციისა და ჟენევის 1949 წლის კონვენციის მიღების შედეგად.

#### 4. ჰააგის 1907 კონვენცია სახმელეთო საომარი მოქმედებების კანონებისა და ჩვეულების შესახებ

ამ კონვენციამ წინა პლანზე წამოსწია 1899 წლის კონვენციის ის დებულებები, რელიგიას რომ ეხებოდა. საომარ მოქმედებებში ტყვედ ჩავარდნილ პირებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის მე-18 მუხლში აღნიშნულია:

საომარ მოქმედებებში ტყვედ ჩავარდნილ პირებს უნდა მიეცეთ საკუთარი რელიგიის გამოვლენის უფლება. ეს მოიცავს, აღმსარებლობის მიუხედავად, საკუთარი რელიგიური წესების აღსრულების შესაძლებლობასაც, იმ პირობით, თუ ეს შეესაბამება წესრიგის დაცვის სამხედრო ხელმძღვანელის მიერ დადგენილი ნორმებს.

აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება აშშ-მა 1910 წელს მოახდინა და იგი კვლავ მოქმედ კონვენციად ითვლება, რომლის შევსებაც, და არა შეცვლა, მოხდა 1949 წლის ჟენევის 4 კონვენციით.

#### 5. 1949 წლის ჟენევის კონვენციები

ჟენევის ოთხივე კონვენცია აწესებს ჰუმანიტარულ ნორმებს ომის ან სხვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს ავადმყოფებისა და დაჭრილების, საომარ მოქმედებებში მძევლად აყვანილი და დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები სამოქალაქო პირების მიმართ. აღნიშნული კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის თანახმად, საჭიროა, ასეთ პირებს **„მოექცნენ ჰუმანურად, მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, რწმენისა ან რელიგიისა, სქესისა, დაბადების ადგილისა ან ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა კრიტერიუმებისა“**.

სახმელეთო საომარი მოქმედებების დროს დაჭრილ ან დაავადმყოფებულ პირთა პირობების ძირეული გაუმჯობესების შესახებ საერთაშორისო კონვენციის (I) მე-17 მუხლის შესაბამისად:

დაუშვებელია გვამების კრემაცია გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ან თუ ამას ითვალისწინებს

გარდაცვლილის რელიგია... (კონფლიქტის მხარეები) ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ გვამების სათანადო წესით დაკრძალვა (თუ შესაძლებელია, იმავე წესით, რასაც ითვისსწინებს გარდაცვლილის სარწმუნოება), ასევე უზრუნველყონ საფლავების დაცვა (თუ შესაძლებელია, ერთი ეროვნების გარდაცვლილი პირების საფლავების ერთად თავმოყრა და ისეთ ადგილას განთავსება და იმგვარად აღნიშვნა, რაც შესაძლებელს გახდის მათ ადვილად მოძიებას).

საომარ მოქმედებებში ტყვედ ჩავარდნილ პირთა მოპყრობის შესახებ კონვენციის (III) შესაბამისად, **„სასულიერო პირებს უნდა მიეცეთ საომარ მოქმედებებში ტყვედ ჩავარდნილ პირებთან ღვთისმსახურების აღსრულების შესაძლებლობა“**, ხოლო 34-ე მუხლის თანახმად:

საომარ მოქმედებებში ტყვედ ჩავარდნილი პირები სარგებლობენ საკუთარი რელიგიური ვალდებულებების აღსრულების სრული თავისუფლებით, რაც გულისხმობს საკუთარი სარწმუნოების რიტუალებზე დასწრებასაც იმ პირობით, თუ ის არ ეწინააღმდეგება სამხედრო ხელმძღვანელის მიერ დადგენილ დისციპლინურ ნორმებს. რელიგიური ღვთისმსახურების ადგილზე უნდა გამოიყოს სათანადო შენობა.

საომარი მოქმედებების წარმოებისას სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ კონვენციის (IV) 27-ე მუხლის შესაბამისად: **„დაცულ პირებს ნებისმიერ სიტუაციაში უფლება აქვთ მოითხოვონ საკუთარი პატივის, ღირსების, საოჯახო უფლებების, საკუთარი რელიგიური შეხედულებებისა და რწმენის, ადათებისა და ჩვეულებების პატივისცემა“**. 38-ე მუხლის თანახმად კი, საომარი მოქმედებების ადგილიდან უცხო ტერიტორიაზე ლტოლვილ პირებს **„უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, აღასრულონ რელიგიური რიტუალები, ასევე მიიღონ სულიერი თანადგომა საკუთარი რელიგიის სასულიერო პირებისაგან.“** დაპყრობილ ტერიტორიებზე სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ კონვენციის 58-ე მუხლი ავალდებულებს დამპყრობლებს, **„ნება დართონ სასულიერო პირებს სულიერად გაამხნეონ საკუთარი მრევლი, მიანოდონ შესაბამისი რელიგიური ლიტურატურა და დაეხმარონ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილებაში.“** 86-ე მუხლი ავალდებულებს ტერიტორიის დამკავებლებს, **„უზრუნველყონ ინტერნირებული პირები, მიუხედავად მათი სარწმუნოებისა, შესაბამისი ნაგებობით, სადაც შესაძლებელი იქნება ღვთისმსახურების ჩატარება“**. და ბოლოს, 93-ე მუხლის თანახმად, **„მედდები უნდა სარგებლობდნენ საკუთარი რელიგიური ვალდებულებების შესრულების სრული თავისუფლებით, რაც გულისხმობს შესაბამის რიტუალებზე დასწრებას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამხედრო ხელმძღვანელის მიერ დადგენილ დისციპლინურ განრიგს“** და **„ინტერნირებულ სასულიერო პირებს უნდა მიეცეთ სრული თავისუფლება, აღასრულონ რელიგიური ღვთისმსახურება საკუთარ მრევლთან.“**

აშშ-მა ოთხივე კონვენციის რატიფიცირება 1956 წელს მოახდინა. ჩამოთვლილ ხელშეკრულებათა დებულებების შესრულება აშშ-ში სავალდებულოა, გარდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის 1-27 მუხლებისა. ამ მუხლებთან დაკავშირებით სენატმა სასამართლოებს მიუთითა, რომ ისინი არ ითვლებიან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონედ, ვიდრე არ შეიმუშავებენ შესაბამის შიდა საკანონმდებლო ბაზას. თუმცა, აღნიშნულ მუხლებში მოცემული უფლებების დიდი ნაწილი დაცულია უფლებათა შესახებ ბილით და აშშ-ის კანონებით. დამატებით უნდა ითქვას, რომ აშშ-ში მიიღეს კანონი, რომელიც აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირისათვის, როგორცაა საფლავების შებილწვა ან ჰააგის 1907 წლის კონვენციით განსაზღვრული სამხედრო დანაშაული.

## **ბ) არასახელმწიფო ვალდებულებები**

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული უმთავრესი არასახელმწიფო ვალდებულებები, რომლებიც აშშ-ს საერთაშორისო არენაზე წარმოეშვა, ეფუძნება შემდეგ საერთაშორისო დოკუმენტებს:

### **1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღეს ჟენევის ასამბლეის სხდომაზე 1948 წელს არა როგორც ხელშეკრულება, არამედ როგორც განაცხადი მსოფლიოს საზოგადოების საერთო მისწრაფებაზე „მიღწეული ყოფილიყო შეთანხმება ყველა ერებისა და ხალხებისათვის საერთო სტანდარტებზე“. ამ დეკლარაციის მე-18 მუხლის თანახმად:

ნებისმიერ პირს აქვს აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება გულისხმობს ასევე პირის მიერ სარწმუნოების შეცვლის თავისუფლებას დამოუკიდებლად თუ საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, რელიგიის ან რწმენის თავისუფლად გამოვლენის უფლებას მოძღვრების, რელიგიური საქმიანობის, ღვთისმსახურებისა თუ რიტუალების ჩატარების გზით.

აშშ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მხარდამჭერად გვევლინებოდა.



## 2. ეუთოს კონფერენციის საბოლოო აქტი

ამ დოკუმენტს 1975 წელს ხელი მოაწერა 35 სახელმწიფოს უმაღლესმა წარმომადგენელმა. მათ შორის იყო აშშ-ის პრეზიდენტიც. აღნიშნული აქტი წარმოადგენს არა ხელშეკრულებას, არამედ იმის დამამტკიცებელ დოკუმენტს, რომ საჭირო იყო წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული დაძაბულობების აღმოფხვრა. აღნიშნულ აქტში განმტკიცებულია ასეთი დებულება:

ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის, აზრის, რწმენის, რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, მიუხედავად პირის რასისა, სქესისა, ენისა ან რელიგიური შეხედულებებისა . . . წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ და პატივი სცენ პირის თავისუფლებას გამოხატოს ან გამოავლინოს, დამოუკიდებლად ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, საკუთარი რწმენა ან რელიგია საკუთარი შეხედულებისამებრ.

წევრი სახელმწიფოები . . . აღიარებენ რელიგიურ რწმენას, რელიგიურ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს თვითთავი სახელმწიფოს კონსტიტუციის ფარგლებში და უფლებას ანიჭებენ ამ ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებს, საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, იქონიონ შეხება და მოაწყონ შეხვედრები წევრ სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან, აგრეთვე გაცვალონ ინფორმაცია.

საბოლოო აქტის მიზნების შესრულების მდგომარეობაზე ეუთოს მხრიდან არაერთი კრიტიკული შენიშვნა გაისმა. რელიგიასთან დაკავშირებული პრინციპები ხელახლა განმტკიცდა ეუთოს გამოცემულ ახალ დოკუმენტებში. ესენია: 1983 წლის მადრიდის დასკვნითი დოკუმენტი, 1989 წლის ვენის დასკვნითი დოკუმენტი და 1990 წლის კოპენჰაგენის დასკვნითი დოკუმენტი. 1976 წელს აშშ-მა თავის მხრივ შექმნა ეუთოს საკუთარი კომისია, რომელსაც უნდა განეხორციელებინა მონიტორინგი საბოლოო აქტისა და ეუთოს შესაბამისი შეთანხმებების შესრულებაზე.

## 3. გაეროს დეკლარაცია რელიგიური შეუწყნარებლობის შესახებ

1981 წელს გაერომ მიიღო დეკლარაცია „რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით გამოვლენის დაუშვებლობის შესახებ“. ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული სხვა კონვენციებისა და ხელშეკრულებების მსგავსად, დეკლარაცია აღიარებს პირის „აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლების“ უფლებას, აღიარებს მშობელთა უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართონ შვილის რელიგიური აღზრდა, კრძალავს

რელიგიის ან რწმენის ნიადაგზე დისკრიმინაციას, როგორც „ადამიანის ღირსების შემლახავ“ და „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ხელმყოფ“ ქმედებას; ამასთან, მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, „მიიღონ ეფექტური ზომები, რათა აღკვეთონ და აღმოფხვრან ამგვარი დისკრიმინაცია“. აშშ აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული დეკლარაციის პროექტის როგორც მომზადებაში, ისე მიღებაში.

**გ) კანონები, რომლებიც ხელს უწყობენ რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო არენაზე დაცვას.**

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ აშშ კონგრესის მიღებული ნორმატიული აქტები, რომლებიც ხელს უწყობენ აშშ-ის მიერ რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო არენაზე დაცვას.

**1. მოხსენებები ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ**

1970 წლებში კონგრესმა უცხოელთა დახმარების შესახებ 1961 წლის აქტს დაუმატა შემდეგი შინაარსის დებულება:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიით წარმოშობილი საერთაშორისო ვალდებულებების, ასევე კონსტიტუციური მემკვიდრეობისა და ტრადიციების გათვალისწინებით, აშშ-მა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა მსოფლიოს მასშტაბით დაცვას, მიუხედავად რასისა, სქესისა, ენისა ან რელიგიისა. აშშ-ის საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა გახდეს სახელმწიფოთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა.

ამ მიზნის მისაღწევად კონგრესმა შეიტანა შესაბამისი ცვლილებები უცხოელთა დახმარების აქტში, რითაც აშშ-ს აეკრძალა ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენა „იმ ქვეყნებისათვის, რომლის ხელისუფლებაც მნიშვნელოვნად არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს“. ამასთან, კონგრესმა დაავალა სახელმწიფო მდივანს, წარმოედგინა ყოველწლიური ანგარიში შეერთებული შტატებისგან დახმარების მიმღებ და გაეროს ყველა წევრ ქვეყანაში „საყოველთაოდ აღიარებული უფლებების მდგომარეობის შესახებ“. სულ მალე ეს მოხსენება მსოფლიოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ამსახველ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად იქცა, რომელიც ასევე შეიცავდა ინფორმაციას რელიგიის თავისუფლების შესახებ. საბოლოოდ, ამ კანონით შემოიღეს აშშ-ის სახელმწიფო

დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა კოორდინატორის თანამდებობა, რომელიც შემდეგ გადაკეთდა დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის სფეროში მინისტრის თანაშემწის თანამდებობად; ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა აშშ-ის ყურადღების ფოკუსირება საზღვარგარეთ ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე, მათ შორის, რელიგიის თავისუფლებაზე.

## 2. რელიგიის თავისუფლების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

1998 წელს კონგრესმა კანონის სახე მისცა „საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების აქტს“, რომელიც

- პროორიტეტულ საკითხად მიიჩნევს რელიგიის თავისუფლების წინა პლანზე წამოწევას და რელიგიურ ნიადაგზე დევნისათვის ხელის შეშლას, რაც აშშ-ის საერთაშორისო პოლიტიკის ერთი უმთავრესი მიზანია.
- სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში ქმნის საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების სამსახურს, რომელსაც ხელმძღვანელობს ელჩი რელიგიის თავისუფლების საკითხებში. ელჩის ფუნქციაა „რელიგიის თავისუფლების უფლების წინა პლანზე წამოწევა, ამ უფლებათა დამრღვევ ქმედებათა აღკვეთა და ამ უფლების დარღვევის ფაქტის არსებობისას, აშშ-ის ხელისუფლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა მოახდინოს აშშ მთავრობამ მასზე რეაგირება.“
- ავალდებულებს სახელმწიფო მდივანს რელიგიის თავისუფლების საკითხებში ელჩთან ერთად წარუდგინოს კონგრესს „ყოველწლიური მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში“, რამაც უნდა შეავსოს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ წარმოდგენილი ყოველწლიური ანგარიში.
- ავალდებულებს აშშ-ს პრეზიდენტს, დაუწესოს რელიგიის თავისუფლების დამრღვევ სახელმწიფოს რაიმე სახის სანქცია, დანყებული დემარშიდან დამთავრებული ეკონომიკური სანქციით;
- ავალდებულებს აშშ-ს პრეზიდენტს, დაუწესოს, სულ მცირე, ერთი ეკონომიკური სანქცია იმ სახელმწიფოს, რომელშიც „განსაკუთრებული სისასტიკით ირღვევა რელიგიის თავისუფლება“, ან მიმართოს სხვა შესაბამის ღონისძიებებს, ანდა მიაღწიოს სავალდებულო შეთანხმებას, რომელიც გამოორიცხავს მსგავს ქმედებებს მომავალში.

#### **IV. ძირითადი კანონები, რომლებიც ეხება რელიგიის თავისუფლებას**

ამერიკაში მოქმედი უმთავრესი დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიურ საქმიანობას, მოცემულია აშშ-ის კონსტიტუციის პირველ და მეოთხე მუხვებში. ეს დებულებები არაერთხელ განიმარტა მოსამართლეთა გამოცხადებით დადგენილებებში. მართალია, ზოგიერთი მათგანის გამო დღესაც დავა მიმდინარეობს, მაგრამ ზოგადად სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად შეზღუდულია, ჩაერიოს რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებში; კერძო პირებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი რელიგიური ინტერესები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად.

აშშ-ის კონსტიტუციაში ვერ ვხვდებით მოთხოვნას, რომ რელიგიური ორგანიზაციების მიმართ არ გაფრცხვლდეს არადისკრიმინაციული ხასიათის სამთავრობო ნორმატიული აქტები. ამერიკაში დღესაც მოქმედებს სამართლიანი შრომის სტანდარტების აქტი, რომელიც ადგენს ხელფასის მინიმალურ ოდენობასა და სამუშაო საათების მაქსიმალური ოდენობის დასაშვებ ნორმას. ეს დებულებებიც ისეა გაგებული, რომ სახელმწიფო შეზღუდულია, აღმოუჩინოს პირდაპირი ფინანსური დახმარება რელიგიურ ორგანიზაციებს. თუმცა, ფედერალურ კანონებში მოცემულია მთელი რიგი გამონაკლისები, რაც ემსახურება რელიგიური პირებისა და წარმონაქმნების წახალისებას.

მაგალითად, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებასა და საქველმოქმედო შემოწირულობებთან დაკავშირებული, უკვე განხილული დებულებები, მნიშვნელოვან ფინანსურ სტიმულს ანიჭებენ რელიგიურ საზოგადოებებს. საგადასახადო კოდექსი სასულიერო პირებს უფლებას აძლევს, გააკეთონ არჩევანი — მიიღონ სპეციალურად სასულიერო პირებისათვის გამოყოფილი ბინები თუ ფულადი თანხა ბინის დასაქირავებლად, რომელიც არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. საგადასახადო კოდექსი ასევე ათავისუფლებს სოციალური გადასახადისაგან რელიგიური გაერთიანების წევრებს და სასულიერო პირებს, რომლებიც დაასაბუთებენ, რომ მათი სარწმუნოებიდან გამომდინარე, დაუშვებელია მონაწილეობა მიიღონ სოციალურ სადაზღვევო პროგრამებში. რაც შეეხება რელიგიის თავისუფლების აღდგენის აქტს, ის ხელისუფლებას უწესებს მოთხოვნას, არ გამოიყენოს რელიგიური საქმიანობის მიმართ სამთავრობო სტრუქტურების დაწესებული ამკრძალავი ნორმები ან მოქმედებები გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნორმები თუ მოქმედებები ემსახურება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს.

რელიგიის თავისუფლების დამცავ ნორმებს შეხვდებით სამოქალაქო უფლებათა სხვადასხვა ფედერალურ კანონში, რომელიც, გარდა იმისა, რომ დაუშვებლად

აცხადებს პიროვნების დისკრიმინაციას რელიგიის ნიადაგზე, იცავს რელიგიური ინსტიტუტების ავტონომიასაც, კრძალავს რა მათ მიმართ რაიმე სახის რელიგიური დისკრიმინაციის განხორციელებას. ამგვარი კანონებია:

#### **ა) სამოქალაქო უფლებათა შესახებ 1964 წლის აქტის VII თავი**

აღნიშნული აქტის VII თავის შესაბამისად, დაუშვებელია პირისათვის სამუშაოს შესრულების უფლების შეზღუდვა რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესისა და ეროვნული წარმომავლობის ნიადაგზე. VII თავი განმარტავს არადისკრიმინაციას, რაც გულისხმობს, რომ დამტრავებელმა „ხელი უნდა შეუწყოს დაქირავებულის მიერ რელიგიური საქმიანობის განხორციელებას“, თუ ამით ზიანი არ ადგება სამუშაოს, რომელსაც დაქირავებული ასრულებს. VII თავით ასევე დაცულია რელიგიური ორგანიზაციების ავტონომია.

შეიძლება ითქვას, რელიგიური გაერთიანებები დაცული არიან მე-7 თავით, რათა არ იქნენ დისკრიმინირებული რასის, კანის ფერის, სქესის, ეროვნების ან რელიგიის გამო, მაგრამ, ამავე დროს, თვითონ აქვთ უფლება, სამსახურში მიღებისას, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული ზომები განახორციელონ (მაგალითად, სამსახურში მხოლოდ შესაბამისი რელიგიის პირები მიიღონ).

მე-7 თავის აღსრულებას ზედამხედველობას უწევს თანასწორი სამუშაო შესაძლებლობების კომისია და ნებისმიერ მოქალაქეს, რომლის უფლებებიც დაირღვევა, შეუძლია, ამ კომისიას მიმართოს საჩივრით.

#### **ბ) 1968 წლის აქტი ბინების სამართლიანი განაწილების შესახებ**

აღნიშნული აქტი უკანონოდ აცხადებს პირის ან ორგანიზაციისათვის ბინის ყიდვა-გაყიდვაში ან დაქირავებაში, ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებში რამენაირად ხელის შეშლას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის ან ეროვნული წარმოშობის მოტივით. ამავე დროს, კანონი უშვებს გამონაკლისს საცხოვრებელი ფართის მფლობელი იმ რელიგიური გაერთიანების მიმართ, რომელიც არ არის ვალდებული, დაიცვას რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის აკრძალვა. კანონი ადგენს, რომ:

არ შეიძლება ამ კანონის შესაბამისად რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციას, ან იურიდიულ პირს, რომელსაც რელიგიური გაერთიანება აკონტროლებს, აეკრძალოს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გამორიცხავს ამ რელიგიური გაერთიანების მფლობელობაში მყოფი საცხოვრებელი სადგომის გაყიდვას, გაქირავებას ან სხვა ფორმით სხვა პირისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემა მხოლოდ ერთმორწმუნეზე.

აქტის ნორმების აღსრულებას უზრუნველყოფს სამოსახლო და ურბანული განვითარების საკითხთა სამინისტრო, სადაც მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი.

### **გ) კანონი ინვალიდ ამერიკელთა შესახებ**

ეს კანონი ძალაში შევიდა 1990 წელს და კრძალავს სამსახურში მიღებისას, ან საჯარო ადმინისტრაციის სფეროში იმ პირთა დისკრიმინაციას, რომელთაც გარკვეული ნაკლი გააჩნიათ. მე-7 თავის მსგავსად, ეს კანონიც ნებას რთავს რელიგიურ ორგანიზაციებს, პრიორიტეტი მიანიჭონ რელიგიურ მოსაზრებებს ამ კანონში არადისკრიმინაციის შესახებ არსებული დებულებების მიუხედავად.

კანონის შესაბამისად, რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, მათი რელიგიური მიზნების შესასრულებლად სამსახურში მიღებისას უპირატესობა მიანიჭონ იმავე რელიგიის მქონე პირებს. რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ მოსთხოვონ საკუთარ თანამშრომლებს პატივი სცენ და დაიცვან ამ რელიგიურ ორგანიზაციაში არსებული რელიგიური წესები.

კანონი ასევე მოითხოვს, რომ საჯარო დაწესებულებებმა მიიღონ სათანადო ზომები, რათა მათი შენობები ხელმისაწვდომი იყოს ინვალიდებისათვის. რელიგიურ ორგანიზაციათა მიმართ კანონის ეს დებულება არ ვრცელდება.

## V. კანონები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობას

აშშ-ში რელიგიურ ორგანიზაციებს კანონიერი არსებობისათვის რაიმე სპეციალური პროცედურის დაცვა არ ესაჭიროებათ. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ, უბრალოდ შეიკრიბონ და ჩამოაყალიბონ გაერთიანება. რელიგიური გაერთიანებები არჩევენ, მიიღონ იურიდიული პირისა და გადასახადებისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსი, რაც მათ გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას ანიჭებს. ამისთვის კი უკვე საჭიროა შესაბამის სახელმწიფო უწყებაში განცხადების წარდგენა. იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მოიპოვება შტატების და არა ფედერალური კანონების შესაბამისად, უფლებას ანიჭებს ორგანიზაციას, იარსებოს მუდმივად ხელმძღვანელთა და წევრთა შემადგენლობაში, ასევე მათ უფლება-მოვალეობებში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად. ზოგიერთ შტატში რელიგიური ორგანიზაციები იურიდიული პირის სტატუსს იძენენ იურიდიული პირების შესახებ ზოგადი კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა შტატებში კი არაკომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის დადგენილია განსხვავებული პროცედურები. საერთოდ, იურიდიული პირის სტატუსის მიღება ორივე შემთხვევაში მეტად მარტივი და იაფია.

გადასახადებისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსი ათავისუფლებს რელიგიურ ორგანიზაციებს სხვადასხვა სახის გადასახადისაგან, ამავე დროს უფლებას ანიჭებს საშემოსავლო გადასახადებით დასაბეგრ პირს, მის მიერ რელიგიური გაერთიანების ანგარიშზე გადარიცხული თანხა არ უანგარიშონ გადასახადით დაბეგრილ საერთო თანხაში. ფედერალურ დონეზე საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლება ხდება საგადასახადო კოდექსის 501-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც:

- ა) **გადასახადებისაგან გათავისუფლება** — ამ მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებში ან 401-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ორგანიზაციები თავისუფლდებიან გადასახადების გადახდის ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევისა, თუ მათ ასეთი სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ 502-ე ან 503-ე მუხლების შესაბამისად.
- ბ) **ორგანიზაციათა ჩამონათვალი, რომლებიც თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისაგან**  
კავშირები და საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც შექმნილია რელიგიური, საქველმოქმედო, სამეცნიერო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან განათლებისათვის ხელის

შენწყობის მიზნით; უზრუნველყოფს ეროვნული ან საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების ჩატარებას; მიზნად ისახავს ბავშვების ან ცხოველების მიმართ ძალადობისთვის ხელის შეშლას; საზოგადოება მიზნად არ უნდა ისახავდეს საკუთარი წევრებისათვის ფინანსური მოგების მიღებას ან პოლიტიკური კამპანიის მხარდაჭერას კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ.

501-ე მუხლის თანახმად, გადასახადებისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსის მოსაპოვებლად რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა წარადგინოს განცხადება აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის სისტემაში შემავალ შიდა შემოსავლების სამსახურში. ეს სამსახური განიხილავს საშემოსავლო გადასახადების ოდენობის შემცირების საკითხს იმ ორგანიზაციებისა თუ კერძო პირებისათვის, რომელთაც თანხა გაიღეს რელიგიური ორგანიზაციის სასარგებლოდ ან საქველმოქმედო მიზნით. დეპარტამენტი განიხილავს განცხადებაში წარმოდგენილ პირობებს, რათა დაადგინოს, შეუძლია თუ არა ორგანიზაციას, ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით, თუმცა, არა აქვს უფლება, დაანესოს რაიმე სახის შეზღუდვა, რაც შეეხება ორგანიზაციის სარწმუნოებრივ ასპექტებს ან რელიგიური საქმიანობის შინაარსს.

რელიგიური ორგანიზაციები ძალიან ხშირად გათავისუფლებული არიან არა მხოლოდ საშემოსავლო, არამედ ქონებისა და ვაჭრობის გადასახადისაგან. გადასახადებისაგან გათავისუფლების საკითხს, როგორც წესი, არ არეგულირებს კონსტიტუცია. მისი გადანყვეტა ხელისუფლების დისკრეციულ უფლებამოსილებას შეადგენს. ყველა რელიგიურ გაერთიანებას უფლება აქვს, ისარგებლოს ნებისმიერი კანონიერი შეღავათით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.



## VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური ორგანოები

აშშ-ში, არც ფედერალურ და არც შტატების დონეზე, არ არსებობს რელიგიურ საკითხებზე რაიმე ზოგადი ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე უწყება ან დაწესებულება. თუმცა, არის რამდენიმე უწყება, რომელსაც რელიგიის ცალკეული ასპექტები ეხება. სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენლობაში შექმნილი, საერთაშორისო რელიგიურ საკითხების სამსახურის ძირითადი მიზანია რელიგიის თავისუფლების დაცვა და წახალისება საერთაშორისო მასშტაბით. თანაბარი სამუშაო შესაძლებლობების კომისია განიხილავს რელიგიის ნიადაგზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ საჩივრებს, რომლებიც შრომით ურთიერთობებს ეხება. არც ერთი უწყება არ განიხილავს რწმენასთან და რელიგიის არსთან დაკავშირებულ საკითხებს. კონსტიტუციის პირველი შესწორების თანახმად, ასეთი უწყების არსებობა არც შეიძლება.

## VII. სსპა მნიშვნელოვანი საკითხები

აშშ-ში რელიგიური საკითხები ხშირად მკვეთრი დაპირისპირებებისა და დავის საგანი ხდება. დღეს განხილვაში მყოფ საკითხთაგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი პრობლემა: უნდა გათავისუფლდნენ თუ არა რელიგიური ორგანიზაციები მთავრობის გამოცემული ნორმატიული აქტების შესრულების ვალდებულებისაგან, უნდა გადაეცეს თუ არა კერძო სკოლებს საჯარო დაფინანსება ვაუჩერის ფორმით, უნდა შეეძლოს თუ არა რელიგიურ ორგანიზაციებს სამთავრობო გრანტების მიღება, დააფინანსოს თუ არა მთავრობამ საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლება და ა.შ.

### ა) გამონაკლისები რელიგიური ორგანიზაციებისათვის

რელიგიური ორგანიზაციებისათვის საგამონაკლისო სტატუსის მინიჭების საკითხი ერთდროულად რთული და მნიშვნელოვანია. პოლიტიკური თვალსაზრისით საკითხი ასე დგას — უნდა სარგებლობდნენ თუ არა რელიგიური ორგანიზაციები განსაკუთრებული სტატუსით, თუ მათ ზუსტად ისევე უნდა მოეპყრან, როგორც საერო დაწესებულებებს. აქ ძალზე მნიშვნელოვანია, როგორ იქნება ინტერპრეტირებული კონსტიტუციის ესა თუ ის დებულება.

ძირითადი დებულები ამ საკითხზე კონგრესსა და უზენაეს სასამართლოს შორის წარმართა. 1990 წელს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე *Smith v. Employment Division, Oregon Department of Human Resource* დაადგინა, რომ რელიგიური ორგანიზაციები არ უნდა სარგებლობდნენ საგამონაკლისო სტატუსით ნეიტრალური და ზოგადი ხასიათის კანონთა საფუძველზე და ეს კანონები აუცილებლად უნდა გაფრცხლდეს მათზეც. ამ გადაწყვეტილებით შეიცვალა საუკუნის მანძილზე დამკვიდრებული სტანდარტი, რომელიც ცნობილია, როგორც „თავისუფალი გამოყენების“ დებულება. უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, არ მიიღოს დისკრიმინაციული ზომები რელიგიათა მიმართ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ ნეიტრალური და ზოგადი გამოყენების კანონთა შესრულებაზე. ზოგადი გამოყენების კანონთა იგნორირების კერძო უფლების მინიჭებით ჩვენ მივიღებთ ანარქიას — აღნიშნავს უზენაესი სასამართლო.

კონგრესმა ამ გადაწყვეტილებას უპასუხა რელიგიური თავისუფლების აღდგენის აქტის მიღებით 1993 წელს, რომელშიც აღიარებული იყო თავისუფალი გამოყენების პრინციპი. ეს კანონი უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო შტატებთან

მიმართებაში, რადგან, მისი აზრით, დაირღვა ფედერალიზმის პრინციპი მე-14 შესწორების შესაბამისად. თუმცა, ფედერალური სტრუქტურების მიმართ ამ კანონის კონსტიტუციურობის საკითხი უზენაეს სასამართლოს ჯერ არ განუხილავს.

### გ) საგანმანათლებლო ვაუჩერები

უკანასკნელი ორი დეკადის მანძილზე ფართოდ განიხილავენ საკითხს, შეიძლება თუ არა სახელმწიფოს დაფინანსებული ვაუჩერები გადაეცეთ მშობლებს, რათა აირჩიონ, რომელ კერძო თუ საჯარო სკოლაში მიიღებს განათლებას მათი შვილი. ყველაზე ცხარე დებატები გამოიწვია საკითხმა, რამდენად უნდა იყოს შესაძლებელი ვაუჩერების კერძო სკოლებში გამოყენება. ამ იდეის მომხრეები აცხადებენ, რომ ვაუჩერების უნივერსალური სისტემა ხელს შეუწყობს მთლიანად საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებას, რადგან ეს აიძულებს სკოლებს, იბრძოლონ სტუდენტების მოსაზიდად, ხოლო საერო და კერძო სკოლების კონკურენცია ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. არც ერთ შტატს ან სასკოლო ოლქს არ მიუღია გადანაცვტილება უნივერსალური სავაუჩერო სისტემის შემოღების თაობაზე. ამის ნაცვლად რამდენიმე შტატმა განახორციელა პილოტური სავაუჩერო პროგრამა ერთი ქალაქის მასშტაბით.

ოჰაიოში, ვისკონსინსა და ფლორიდაში დაიწეს ვაუჩერული სისტემის დანერგვა (კერძოდ, მილუოკისა და კლივლენდში), რაც მოსწავლეებს საჯარო და კერძო სკოლებს შორის არჩევანის შესაძლებლობას აძლევდა. მილუოკისა და კლივლენდის პროგრამები სასამართლომ კონსტიტუციურად სცნო, თუმცა კლივლენდის მეორე განახლებული სავაუჩერო პროგრამა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია. ამ პროგრამის მოწინააღმდეგეები თვლიან, რომ სავაუჩერო სისტემა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველი შესწორების ენ. establishment clause-ს.

კონგრესი ასევე შეეცადა, მხარი დაეჭირა მშობლებისათვის, რათა მათ შვილებს შესაძლებლობა ჰქონოდათ, სახელმწიფოს ხარჯზე მიეღოთ განათლება კერძო სკოლებში. 105-ე კონგრესმა მოინდონა სავაუჩერო პროგრამა კოლუმბიის ოლქისათვის და მშობლებს უფლება მიანიჭა გაეხსნათ შეღავათიანი საგანმანათლებლო ანგარიშები; მაგრამ პრეზიდენტმა კლინტონმა ამ კანონპროექტს ვეტო დაადო. ასეთივე ბედი ეწია კონგრესის მიღებულ ორ სხვა კანონპროექტსაც.

### გ) რელიგიურ ორგანიზაციათა სახელმწიფო დაფინანსება

კიდევ ერთი საკითხი, ბოლო პერიოდში ცხარე დებატებს რომ იწვევს, ესაა: რამდენად უნდა შეეძლოს რელიგიურ ორგანიზაციებს ფედერალური თუ შტატების

მთავრობისაგან სოციალურ პროგრამათა განსახორციელებლად დაფინანსების მიღება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რელიგიურმა ორგანიზაციებმა შეიძლება მიიღონ ფინანსური დახმარება მთავრობისაგან, თუ ეს დახმარება სეკულარული, არაიდეოლოგიური და ნეიტრალურია თავისი ბუნებით. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული ინტერპრეტაცია ნიშნავს, რომ შეიძლება დაფინანსდეს რელიგიურ ორგანიზაციათა მიერ განხორციელებული მხოლოდ სეკულარული ხასიათის ღონისძიებები. ამ გადაწყვეტილების კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რელიგიურ ორგანიზაციას არ შეიძლება მოსთხოვო მისი საქმიანობის რელიგიურ ბუნებაზე უარის თქმა სამთავრობო გრანტის მისაღებად, რადგან ხშირად, რელიგიური ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამები უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვა ორგანიზაციებისა. შესაბამისად, დიდი ძალისხმევაა მიმართული საიმისოდ, რომ შეიცვალოს უზენაესი სასამართლოს ინტერპრეტაცია და გაიზარდოს რელიგიურ ორგანიზაციათა პროგრამების სახელმწიფო დაფინანსება.

ეს მიდგომა აისახა სოციალური დახმარების რეფორმის 1996 წლის კანონში, რომელიც ცნობილია საქველმოქმედო არჩევანის სახელით; კანონი საშუალებას აძლევს რელიგიურ ორგანიზაციებს, მიიღონ და ადმინისტრირება გაუწიონ ფედერალურ გრანტებს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ შტატების მიერ გამოცხადებულ სოციალური სერვისის ვაუჩერულ პროგრამაში. ეს კანონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ რელიგიურ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, შეინარჩუნონ რელიგიური ხასიათი, თუმცა უკრძალავს მათ სამთავრობო დაფინანსების რელიგიური მიზნებით (რელიგიური რიტუალების შესრულება, პროზელიტიზმი) გამოყენებას. კანონი ითვლება მოდელად ანალოგიური ტიპის კანონპროექტებისათვის, რომლებსაც კონგრესი განიხილავს.

რესპუბლიკელებისა და დემოკრატების მხრიდან მზარდი პოლიტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, ამ კანონის კონსტიტუციურობის საკითხი კვლავ საეჭვოა. უზენაესი სასამართლოში რეიგანისა და ბუშის მიერ განხორციელებული დანიშვნების შედეგად უზენაესი სასამართლო ცდილობს, უარი თქვას ზემოაღნიშნულ ინტერპრეტაციაზე.

#### **დ) საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების და საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსება**

მწვავე დავას იწვევს საკითხი, რამდენად უნდა წაახალისოს სახელმწიფომ რელიგია საჯარო სკოლებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში. ცხარე პოლიტიკური დებატები ამ პრობლემაზე იწყება მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან და ბოლო ათწლეულებშიც არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური ბატალიების მიზეზი კონგრესში, შტატების საკანონმდებლო ორგანოში, სასამართლოებსა თუ სამეცნიერო წრეებში.

დღეს არსებული წინააღმდეგობა მომდინარეობს 1962-1963 წლებიდან, როცა უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია რელიგიური ხასიათის საქმიანობის დაფინანსება საჯარო სკოლებში. შემდგომ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ათი მცნების გამოკვრა საჯარო სკოლის კედლებზე, საჯარო ადგილებში რელიგიური ხასიათის სიმბოლოების მოთავსება, საჯარო სკოლების დამამთავრებელ ცერემონიაზე რელიგიური ხასიათის რიტუალის გამოყენება. ამ და სასამართლოების სხვა მსგავსმა გადაწყვეტილებებმა საჯარო პროტესტის ფართო ტალღა გამოიწვია, რასაც ზოგიერთი ექსპერტი კულტურულ ომს უწოდებს. საჯარო პროტესტი აისახა ბევრი კონსერვატული მიმართულების პოლიტიკოსის წინასაარჩევნო კამპანიაში. სამაგალითოდ შეიძლება მოვიხმოთ პრეზიდენტ რეიგანის წინასაარჩევნო რიტორიკა 1980 წელს. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლას არაერთხელ შეეცადნენ კონგრესის ორივე პალატაში. რამდენჯერმე წარუმატებლად ჩატარდა პირველი შესწორების შესაცვლელად კონსტიტუციური კანონპროექტის კენჭისყრა; უკანასკნელად ეს 1998 წელს მოხდა. წარმომადგენელთა პალატის დღევანდელმა შემადგენლობამ სულ ახლახანს მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აკანონებს რელიგიური სიმბოლოების საჯარო ადგილებში გამოფენას. როგორც ჩანს, ბრძოლა ოპონენტებს შორის ახლო მომავალშიც გაგრძელდება.

# გაერთიანებული სამეფო

## ზოგადი ინფორმაცია

რელიგიისა და ღვთისმსახურების თავისუფლება ბრიტანეთის კონსტიტუციური ტრადიციების დამახასიათებელი თავისებურებაა. უნდა ითქვას, რომ, თუკი ბრიტანული დემოკრატიის ხანგრძლივ არსებობას გავითვალისწინებთ, რელიგიის თავისუფლება საკმაოდ გვიან აღიარეს. ამას ემატება დღემდე შემორჩენილი ის კანონებიც, რომლებიც რელიგიური უმცირესობის დისკრიმინაციას იწვევს. ბრიტანეთის „ტრადიციული“ (ანუ სახელმწიფო) ეკლესიების როლი კვლავ უმნიშვნელოა. შედარებით ახალი, 1998 წლის „ადამიანის უფლებათა“ აქტი, რომელიც „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ ნორმების შიდა კანონმდებლობაში ინკორპორაციას ახდენს, იძლევა პიროვნების უფლებათა დაცვის გარანტიებს, რომელთა შორის აღსანიშნავია აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის, ასევე სარწმუნოებისა და რელიგიის სურვილისამებრ მიღებისა და შენარჩუნების უფლება. რელიგიური საზოგადოებები სარგებლობენ გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის სტატუსით. რელიგიური სწავლების განხორციელების უფლება მანდატირებული აქვთ სახელმწიფო სკოლებს, რომლებიც სწავლებისას სარგებლობენ სპეციალური სასწავლო პროგრამით, რომელშიც ძირითადად ქრისტიანული ტრადიციები აისახება, თუმცა, მასში გათვალისწინებულია სხვა ძირითადი რელიგიებიც. მშობელთა მოთხოვნით, შესაძლებელია, მოსწავლის გათავისუფლება რელიგიურ ღვთისმსახურების, ან გაკვეთილებზე დასწრების ვალდებულებისაგან. დღეს არსებული კანონები სხვა რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ ერთგვარ ლოიალობას ამჟღავნებენ. რელიგიური თავისუფლების დაცვის საკითხში უდიდესი როლი შეასრულა 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტმა.

## შისავალი

ბრიტანეთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც აქვს ორი „ტრადიციული“ ანუ სახელმწიფო ეკლესია — ინგლისის ეკლესია, რომელიც ითვლება ანგლიკანური საზოგადოების „დედა ეკლესიად“ და შოტლანდიის პრესვიტერიანული ეკლესია. რომის კათოლიკეები, ბაპტისტები, ლუთერანები, მეთოდისტები და მართლმადიდებლები ასევე წარმოადგენენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ბრიტანეთში წარმოდგენილია მსოფლიო რელიგიების უმრავლესობა. მათ შორის არიან მუსულმანები (1 მლნ.), სიქები (400.000), ინდუსები (400.000) და ებრაელები (285.000). არსებობს ასევე მცირე რელიგიური საზოგადოებებიც, როგორცაა მაგალითად, ბაჰა (6.000), ბუდისტები (500-ზე მეტი დაჯგუფება და რელიგიური ცენტრი), იანები (25.000) ზოროასტრისტები (5000) და ახალი რელიგიური მიმდინარეობებისა და ათეიზმის მიმდევრები. მრავალი ბრიტანელი მიიჩნევს საკუთარ თავს აგნოსტიკოსად.

## II. სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება

როგორც ვიცით, ბრიტანეთში დანერგილი კონსტიტუცია არ არსებობს. ამ ბოლო დრომდე არც კანონი არსებობდა, რომელიც განამტკიცებდა რწმენის თავისუფალი გამოვლენის ძირითად უფლებას. ითვლება, რომ სამოქალაქო თავისუფლებები ბრიტანეთში ნორმის სახით არსებობენ, ყოველგვარი სამართლებრივი ინსტრუმენტის დახმარების გარეშე და ამ თავისუფლებათა ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ კანონით ან კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით. ასე რომ, რელიგიური თავისუფლების ხელყოფა ის საკითხია, რომლის განსჯაც ხდება მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გათვალისწინებით.

იმ ქვეყანაში, რომელიც დემოკრატიის შედარებით მდგრადი სტაბილურობით სარგებლობს, რელიგიის თავისუფლებას არც თუ ისე დიდი წარსული გააჩნია. აღმსარებლობის თავისუფლება XVII საუკუნეში აღიარეს და რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობამაც განვითარება შემდგომ პერიოდში დაიწყო. ყველა რელიგიისა და სარწმუნოებისათვის ღვთისმსახურების უფლება ნებადართული მხოლოდ XIX საუკუნის შუა პერიოდში გახდა.

სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ფორმალური ზღვარი დადგენილი არ არის, თუმცა, ყველას შეგნებული აქვს ის ფაქტი, რომ ინგლისის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი უკავია კონსტიტუციაში. ამას მიაღწიეს პარლამენტსა და მონარქს შორის არსებული ხანგრძლივი დაპირისპირების ფონზე, რომელიც ატარებდა როგორც პოლიტიკურ, ისე რელიგიურ ხასიათს. XVII საუკუნეში პარლამენტის გამარჯვებამ და უილიამისა და მერის ტახტზე ასვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, თუ რაოდენ დიდი იყო რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენა სამეფო ტახტზე. გადანყდა, რომ სუვერენის ძალაუფლება ეკლესიაზე უნდა გავრცელებულიყო მხოლოდ პარლამენტის მეშვეობით. 1689 წლის „უფლებათა შესახებ“ ბილმა დაადგინა, რომ მონარქი ეროვნული ეკლესიის მრევლია და ვალდებულია, ტახტზე ასვლისთანავე საჯაროდ გამოაცხადოს პროტესტანტული ეკლესიისადმი საკუთარი კუთვნილება. ტრადიციული ეკლესიების როლის შესახებ საუბარი ქვემოთაც გვექნება.

### ტრადიციული ეკლესიები

ბრიტანეთის მონარქი ითვლება ინგლისის ეკლესიისა და შოტლანდიის ეკლესიის „უმაღლეს პირად“. ეს ეკლესიები სარგებლობენ იურიდიული პირის სტატუსით,



რაც მათ გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის უფლებას აძლევს. ეს პრივილეგია თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ანგლიკანური ეკლესიის არქივისკოპოსები წარმოდგენილი არიან ლორდთა პალატაში — პარლამენტის ზედა პალატაში, რომლის ფორმირება არჩევნების გზით არ ხდება. ეს სტატუსი აქცევს მათ პარლამენტის გარე კონტროლის ქვეშ. ამ ორი ეკლესიის გარდა სხვა არც ერთი ეკლესია არ სარგებლობს იურიდიული პირის სტატუსით და მხოლოდ რამოდენიმე მათგანია აღიარებული კანონით.

აღნიშნული ეკლესიებისათვის ტრადიციული ეკლესიის სტატუსის მინიჭება მას შემდეგ მოხდა, რაც რეფორმაციამ ინგლისში ცხადყო, რომ რომის პაპის უზენაესობა წარსულს ჩაბარდა და ინგლისის ეკლესიამ ღვთის სახელით პენრი VIII გამოაცხადა უზენაეს მმართველად. ამ ფაქტმა კი ის გამოიწვია, რომ ინგლისის საეკლესიო კანონმდებლობა სახელმწიფო სამართლის შემადგენელი ნაწილი გახდა და დაექვემდებარა სახელმწიფო კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება ბრიტანეთის პარლამენტის პრეროგატივას შეადგენდა, რომელმაც ამ უფლების დელეგირება ინგლისის ეკლესიაზე მხოლოდ მე-20 საუკუნეში მოახდინა. „ინგლისის ეკლესიის უფლებამოსილებათა შესახებ“ 1919 წლის აქტი აყალიბებს მოთხოვნას, რომ ინგლისის ეკლესიის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა დამტკიცდეს პარლამენტის ორივე პალატაში, ხოლო საბოლოოდ საჭიროა მონარქის თანხმობა. უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის მანძილზე არაერთხელ ყოფილა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის შიდა საქმიანობაში ჩარევის ფაქტები. 1928 წელს თემთა პალატამ უარყო ინგლისის ეკლესიის საკანონმდებლო წინადადება მლოცველთა წიგნში სათანადო ცვლილებათა განხორციელების შესახებ. ამას გარდა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინგლისის ეკლესიის არქივისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს პრემიერმინისტრის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს მონარქი. აქ საგულისხმო ის ფაქტია, რომ პრემიერმინისტრი შეიძლება არც კი იყოს ქრისტიანი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინგლისის ეკლესია, როგორც ტრადიციული ეკლესია, განსხვავებით სხვა საწმინდოებებისაგან, ერთგვარი გავლენით სარგებლობს, რასაც ის, ფაქტიურად, კანონის საფუძველზე იძენს. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ ლორდთა პალატაში ინგლისის ეკლესიის 26 არქივისკოპოსია წარმოდგენილი, რომლებიც ცნობილი არიან როგორც სასულიერო ლორდები.

ინგლისის ეკლესია დაცულია ასევე ჩვეულებითი სამართლის ნორმებითაც, რომელიც დასჯადად აცხადებს იმგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რომლებშიც დაგმობილია ღმერთი და რაც გამოიხატება ქრისტეს, ღმერთის ან ბიბლიის აბუჩად აგდებაში, დაცინვაში, ან სხვაგვარი ფორმით შეურაცხყოფაში. 1979 წლამდე ეს ნორმა ფაქტიურად „მკვდარ ნორმად“ იყო მიჩნეული. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ნორმა შეიძლებოდა გამოყენებულიყო მხოლოდ ქრისტიანულ რელიგიასთან მიმართებაში. ამ რამოდენიმე წლის წინ აღნიშნული ნორმა გამოიყენეს სალმან რუშდის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად

ედებოდა სატანური ლექსების გამოქვეყნება, თუმცა, ბრალდება უარყოფილ იქნა. სასამართლომ ზემოთ ნახსენები ნორმის აღნიშნული სახით არსებობა უდიდეს ანომალიად მიიჩნია და მიუთითა პარლამენტს შეეცვალა იგი. გაიმართა დებატები იმის თაობაზე, საერთოდ უნდა გაეუქმებინათ ეს ნორმა, თუ იგი უნდა გაეზრცელე-ბინათ სხვა სარწმუნოებებზეც, თუმცა, დღემდე პარლამენტს გადაწყვეტილება არ მიუღია.

ზემოაღნიშნულმა საკანონმდებლო ხარვეზმა კვლავ აქტუალური გახადა საკითხი იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ინგლისის ეკლესიისათვის ტრადიციული ეკლესიის სტატუსის ჩამორთმევა. სახელმწიფოს ამგვარი ღია მხარდაჭერა ერთი სარწმუნოებისათვის და სხვა რელიგიათა მიმართ ნაკლები შემწყნარებლობის გამოჩენა სხვადასხვა რელიგიათა ზრდისა და განვითარების ფონზე საკმაოდ ანაქრონისტულად იქნა მიჩნეული. ეს არგუმენტი ეკუთვნის ანტონი ბენს, პარლამენტის მემარცხენეთა ვეტერან წევრს და ინგლისის ეკლესიის წევრობის მსურველს, თუმცა არა წევრს, რომელმაც პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით წარადგინა აქტი ეკლესიის არატრადიციულად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ ინგლისის ეკლესიის სტატუსი „შეუმჩნევლად ხრწნიდა საეკლესიო მორალს“, თუმცა, ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ბენი მიუთითებდა ასევე ინგლისის ეკლესიის ნორმატიული აქტების პოლიტიკურ კონტროლზე და ეპისკოპოსთა დანიშვნაზე, რაც, მისი თქმით, ეკლესიის მხრიდან სახელმწიფოს მუდმივ კრიტიკას იწვევდა. იგი ასევე ამბობდა, რომ ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს ინგლისის ეკლესიას, შედგება არჩეული პირებისაგან, რომლებიც შეიძლება აბსოლუტურად სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ, რაც ერთგვარ აბსურდს იწვევს. ასევე აბსურდია ის ფაქტიც, რომ მონარქს შეუძლია შეიცვალოს თავისი სარწმუნოება შოტლანდიაში ყოფნის დროს.

შოტლანდიის ეკლესია ტრადიციულად ითვლება იმის გამო, რომ მისი საეკლესიო სასამართლოების სისტემა პარლამენტის მიერ იქნა შემოღებული, თუმცა საუკუნეების განმავლობაში იგი წინააღმდეგობას უწევდა სახელმწიფო მოხელეთა ჩარევას საეკლესიო საქმეებში. 1921 წლის აქტი „შოტლანდიის ეკლესიის შესახებ“ აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულ უფლებას მოაწესრიგოს საეკლესიო საკითხები. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის თანახმად ეკლესიის დეკლარაციული ხასიათის ნორმები კანონის ძალის მქონეა. არც ერთი ინგლისის ეკლესიის მღვდლად თუ დიაკვნად კურთხეული პირი, ან შოტლანდიის ეკლესიის სასულიერო პირი, არაა უფლებამოსილი არჩეულ იქნას თემთა პალატაში. ამგვარი პირის არჩევა დაუშვებელია და თუ პირს აკურთხებენ მღვდლად, დიაკვნად ან ა.შ. თემთა პალატაში არჩევის შემდეგ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადადგეს დეპუტატის თანამდებობიდან. 1801 წლის „რომის კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“ კანონმა ანალოგიური აკრძალვები გააფრცვლა რომის ეკლესიის მიერ წმინდანად კურთხეულ პირებზეც. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ეკლესიების მსახურებს არ ეკრძალებათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წევრობა.

### III. საერთაშორისო ვალდებულებები

ბრიტანეთს ხელი აქვს მოწერილი მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, რომლებიც შეიცავენ რელიგიის თავისუფლების გარანტიებს. ასეთებს განეკუთვნება საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ და ევროპული კონვენცია „ადამიანის უფლებების შესახებ“. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დრომდე არც ერთი ხელშეკრულება არ ყოფილა შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტირებული. ხანგრძლივი დებატების შემდეგ მოხერხდა ევროპული კონვენციის 1998 წლის ადამიანის უფლებათა აქტში ინკორპორირება. საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტები დაუყოვნებლივ აიტაცეს იმ პირებმა, რომლებიც თავიდანვე აცხადებდნენ, რომ ბრიტანული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა რელიგიური საკითხების სათანადოდ რეგულირებას. ადამიანის უფლებათა 1998 წლის აქტის ძალაში შესვლის შემდეგ რელიგიური თავისუფლების ხელყოფასთან დაკავშირებულ საჩივართა უმეტესობა სწორედ ეროვნულ სასამართლოებში წარიმართა და არა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, როგორც ეს ადრე ხშირად ხდებოდა. ბრიტანეთში თვლიან, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრება ძალზე ნაყოფიერია. ეფექტურად ითვლება ასევე სახალხო დამცველის საქმიანობაც, რომელთანაც მრავლად შედის საჩივრები საჯარო მოხელეთა საქმიანობასთან დაკავშირებით.

როგორც „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით პიტერ ქამფერმა აღნიშნა, „გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება მე-18 მუხლის შინაარსს“, მიუთითა რა ზოგიერთ პოტენციურ დარღვევაზე, მაგალითად, მუსულმან ბავშვებთან დაკავშირებით. ოფიციალური მოხსენება აღიარებს, რომ გაერთიანებულ სამეფოში ირღვევა სახელმწიფოსაგან რელიგიის დამოუკიდებლობის პრინციპი, მიუთითებენ რა, რომ ინგლისის ეკლესია კვლავ ინარჩუნებს „განსაკუთრებულ ადგილს კონსტიტუციაში“.

ეუთოს 1975 წლის პელსინკის კონფერენციის საბოლოო აქტის ხელმოწერით გაერთიანებული სამეფო ცნობს VII პრინციპში მოცემულ გარანტიას რელიგიის თავისუფლების შესახებ.

#### IV. კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ

კონსტიტუციური გარანტიების ნაკლებობისა და სახელმწიფო ეკლესიების არსებობის მიუხედავად, რელიგიის თავისუფლება ბრიტანული დემოკრატიის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა. რელიგიის თავისუფლება აღიარეს მე-17 საუკუნეში, როდესაც რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციის ხელისშემწყობმა კანონებმა თანდათანობით დაკარგეს ძალა და საბოლოოდ გაუქმდნენ კიდეც. სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ახორციელებდა კონტროლს როგორც საეკლესიო, ისე საჯარო საქმიანობაზე, თანდათანობით ჩამოშორდა სასულიერო საქმეებს. ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის აღიარებდნენ, რომ თუ პოზიტიური სამართალი სხვას არ ითვალისწინებდა, ყველას შეეძლო თავისუფლად მიეღო სასურველი სარწმუნოება და თავისუფლად გამოეხატა საკუთარი რელიგიური ინტერესები. 1767 წელს, ერთ-ერთ სასამართლო საქმეში უზენაესმა მოსამართლემ, ლორდ მანსფილდმა განაცხადა, რომ თუკი არ მივიღებთ მხედველობაში პოზიტიურ სამართალს, საქსონთა პერიოდიდან მოყოლებული არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ადამიანი დაესაჯათ ღვთისმსახურების ცერემონიებთან ან მეთოდებთან დაკავშირებით გამოთქმული არასწორი აზრისათვის.

რელიგიურმა ტოლერანტობამ დღეისათვის ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ არც ერთი სექტანტი აღარ დგას დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე, რაც წარსულში მუდამ მათი თანამდევი იყო. კანონი ცნობს ათეიზმსაც. რელიგიური მრწამსის არმქონე პირიც იმავე უფლებებით სარგებლობს რა უფლებებითაც-მორწმუნე. 1978 წლის „ფიცის შესახებ“ კანონი ფიცის დადების ვალდებულების მქონე პირს ანიჭებს უფლებას ფიცის დადების ნაცვლად მხოლოდ ხელის მოწერით დაეთანხმოს ტექსტს მისი რწმენის, ასევე რწმენის არქონიდან გამომდინარე.

## V. კანონები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობას

რელიგიური საქმიანობის მარეგულირებელი კანონები და ნორმები მიიღება მხოლოდ საპარლამენტო აქტების სახით, რომელთა მიღებაც იმავე წესით წარმოებს, რა წესითაც ჩვეულებრივი კანონები. ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც გამოიცემიან საკანონმდებლო ინსტრუმენტების სახით, ასევე მტკიცდება პარლამენტის მიერ.

გადავხედოთ ადრეულ პერიოდში მოქმედ რელიგიური საქმიანობის მარეგულირებელ კანონებსაც. 1677 წლის კანონით, მწვალებლობა, როგორც დანაშაულის სახე, გაუქმდა. 1688 წლის „ტოლერანტობის შესახებ“ აქტმა კი ღვთისმსახურების უფლება მიანიჭა სხვა რელიგიურ დაჯგუფებებს და არაკონფორმისტებს (პირებს, რომლებიც არ ცნობდნენ ანგლიკანური ეკლესიის ავტორიტეტს). 1791 წლის „რომის კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესების აქტმა გამოაცხადა ღვთისმსახურების თავისუფლება, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა რელიგიურ ორგანიზაციათა თავისუფალი საქმიანობის შესაძლებლობა. რომანული კათოლიკებისა და ებრაელების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა მოხდა 1829 და 1858 წლის კანონებით. 1846 წლის კანონის შესაბამისად ებრაელებს იმავე კანონებით გათვალისწინებული უფლებებით უნდა ესარგებლათ, რითაც — პროტესტანტული ეკლესიის მიმდევრებს, როდესაც საქმე ეხებოდა სკოლებს, ღვთისმსახურების ადგილებს, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მიზნებს. 1855 წლის რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების აქტის თანახმად, იმდროისათვის არსებული კანონის მოთხოვნა, რომ 20-ზე მეტი ადამიანის, შეკრებისათვის წინასწარი ნებართვა იყო საჭირო, არ ვრცელდებოდა ღვთისმსახურთა შეკრებებზე, თუ იგი განხორციელდებოდა კერძო სახლებში ან შენობებში, რომლებიც, როგორც წესი, არ გამოიყენებოდა ღვთისმსახურებისათვის. 1829 წლის რომის კათოლიკური რწმენის შესახებ აქტით იეზუიტები და სხვა რელიგიურ-სასულიერო პირთა დაჯგუფებები გაერთიანდნენ რომის ეკლესიაში (გარდა მონაზვნებისა), თუკი ისინი სამუდამოდ განკვეთილნი არ იყვნენ. ყველა ზემოაღნიშნული აქტი გაუქმდა 1926 წელს. 1871 წლის კანონმა კი გააუქმა რელიგიური ტესტები, რომლებიც დაწესებული იყო წამყვანი უნივერსიტეტების თანამშრომელთა და სტუდენტებისათვის.

1855 წლის „ღვთისმსახურების ადგილების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის თანახმად, ინგლისის ეკლესიისაგან განსხვავებულ ნებისმიერ პირს თუ რელიგიურ მიმდინარეობას უფლება აქვს ღვთისმსახურების მიზნით რეგისტრაციაში გაატაროს ნებისმიერი შეკრების ადგილი. რეგისტრაცია სავალდებულო არ არის, თუმცა, ამას გარკვეული უპირატესობა გააჩნია — შენობა-ნაგებობა ამ შემთხვევაში არ დაიბეგრება ადგილობრივი ქონების გადასახადით. ისინი შეიძლება დარეგის-

ტრიბუნალს საქონინო-სარიტუალო სახლებად, რის შემდეგაც ორგანიზაცია აღარ საჭიროებს რეგისტრაციას 1960 წლის „ქველმოქმედების შესახებ“ აქტის შესაბამისად.

რელიგიური ორგანიზაციები სარგებლობენ საქველმოქმედო ორგანიზაციების სტატუსით. ჯერ კიდევ ელიზაბედ I-ის დროინდელი კანონმდებლობის მიხედვით, რელიგიის განვითარებისათვის ხელის შეწყობა ითვლებოდა ქველმოქმედების ოთხიდან ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის უპირატესობა ძირითადად გადასახადებისაგან გათავისუფლებაში მდგომარეობს. აღნიშნული სტატუსის მოსაპოვებლად საჭიროა განცხადების წარდგენა საქველმოქმედო საკითხთა კომისიასა და შესაბამის საგადასახადო ორგანოებში, როგორც ინგლისში, ასევე შოტლანდიაში.

უნდა ითქვას, რომ რელიგიების რეგისტრაციის ან ლიცენზირების რაიმე ფორმალური სისტემა ჯერ კიდევ არ არსებობს. რელიგიის განსაზღვრების საკითხი მრავალჯერ იქნა წამოყენებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა საქველმოქმედო ორგანიზაციათა რეგისტრაციას. საქმეში *Re South Place Ethical Society: arralet v. Att.Gen* საზოგადოებამ, რომელმაც **თავი დაანება** ღვთისმსახურებას, რომლის რწმენაც პლატონის ტრადიციისამებრ ემყარებოდა ჰუმანიზმს, არ იქნა მიჩნეული ქველმოქმედებად სწორედ რელიგიიდან გამომდინარე, ვინაიდან სასამართლომ განმარტა, რომ რელიგია წარმოადგენდა ადამიანის ურთიერთობას ღმერთთან, ხოლო ეთიკა — ადამიანის ურთიერთობას ადამიანთან.

საქმეში *R. v. Registrar General ex parte Segerdal* საინტოლოგთა ეკლესიას უარი ეთქვა სამლოცველოს, როგორც ღვთისმსახურების განხორციელებისათვის შეკრების ადგილის, რეგისტრაციაზე, „ღვთისმსახურების ადგილის რეგისტრაციის შესახებ“ 1855 წლის აქტის შესაბამისად. სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიური ღვთისმსახურების ადგილად გამოცხადებულ სამლოცველოში არ იგრძნობოდა ღვთისადმი მონივნება და იგი ფილოსოფიური მიმდინარეობა უფრო იყო, ვიდრე — რელიგიური. ამ და სხვა საქმეებში, რომლებიც დაკავშირებული იყო საინტოლოგთა ეკლესიასთან, ბრიტანეთის სასამართლო გამართლებას პოულობდა ტრადიციულ ნეიტრალიტეტში, რაც უკავშირდებოდა ცალკეული რელიგიის არსს.

სხვა საქმეში რელიგიურ სექტას, რომელსაც ეწოდებოდა „განსაკუთრებული შეკრება“, უარი ეთქვა საქველმოქმედო ორგანიზაციად რეგისტრაციაზე, რის მიზეზადაც დასახელდა აღნიშნული სექტის ძირითადი დოქტრინა „ბოროტისაგან გამიჯვნა“ (რომელშიც წევრებს უქადაგებდნენ შორს დაეჭირათ თავი ყველა ბოროტი ადამიანისაგან, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი), რაც მიჩნეულ იქნა საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ, რომელიც არ ემსახურებოდა რელიგიის წინა პლანზე წამოწევის მიზანს. საქმეში *Holmes v.* — სასამართლომ დაადგინა, რომ *შეკრება* წმინდა რელიგიური იყო, ხოლო ეჭვი მათი საქველმოქმედო სტატუსის შესახებ უკუაგდეს მას შემდეგ, რაც საკითხი შემდგენიერად დაისვა: იყო თუ არა ეს დოქტრინა საზოგადოების ინტერესების საზიანო?

### რელიგიური განათლება

1996 წლის „განათლების შესახებ“ აქტის მეხუთე ნაწილის მესამე თავში — „რელიგიური განათლება და ღვთისმსახურება“ აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სკოლების სასწავლო განრიგში აუცილებლად უნდა შედიოდეს რელიგიური განათლებაც, რომლის სწავლებაც უნდა მოხდეს წინასწარ შეთანხმებული სასწავლო პროგრამით, რომელშიც, სხვა პრინციპული რელიგიური მიმდინარეობების მოძღვრებათა და გამოცდილებათა გათვალისწინებამდე, უნდა აისახებოდეს, რომ ბრიტანეთის რელიგიური ტრადიციების უმრავლესობა სწორედ ქრისტიანობასთანაა დაკავშირებული. ბრიტანეთში ასევე მოქმედებს ნორმა, რომელიც იძლევა მოსწავლის რელიგიურ გაკვეთილებზე დასწრების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, თუ ამას მოითხოვენ მშობლები. ამასთანავე, დასაშვებია სპეციალური დამატებითი რელიგიური გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობაც ცალკეული სტუდენტებისათვის. გაერთიანებული ღვთისმსახურება სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის, განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო სკოლებს და ამასთანავე ღვთისმსახურება უნდა იყოს მთლიანად ან ძირითადად ქრისტიანული ბუნების გამომხატველი.

განათლების ქრისტიანული ბუნება შეიძლება შეიცვალოს, თუ რელიგიურ საკითხთა მრჩეველთა საბჭო დაადგენს, რომ კონკრეტულ სკოლასა თუ კონკრეტულ კლასში იგი სრულიად შეუსაბამოა. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ როგორც ქრისტიანული სარწმუნოების, ასევე სკოლის მიდამოებში არსებული რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები. საბჭომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული კლასის ცალკეული მოსწავლის ოჯახური წარმომავლობა და სტუდენტთა დახასიათება. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული პირი მიიჩნევს, რომ საბჭომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, ან ვერ ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობებს, შეუძლია, შეიტანოს საჩივარი სახელმწიფო განათლების სამინისტროში. მრჩეველთა საბჭოს შეხვედრები ღია უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

1998 წელს ლეიბორისტული ხელისუფლების მიერ ინგლისსა და უელსში განათლების სფეროში გამოცემული უმთავრესი საკანონმდებლო აქტით — **სკოლის სტანდარტებისა და ფარგლების** შესახებ კანონით გარკვეული ცვლილებები შევიდა 1996 წლის „განათლების შესახებ“ აქტით განსაზღვრულ ღვთისმსახურებასთან და განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, თუმცა, ამ ახალი კანონის 69-ე და 70-ე მუხლები და მე-20 სქემა ჯერ არ ამოქმედებულა. ახალ მუხლებში კვლავ დარჩება მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ რელიგიური განათლება გათვალისწინებულ უნდა იქნას სკოლების ძირითად სასწავლო გეგმებში და რომ სტუდენტთა ძირითადი ვალდებულებაა, მონაწილეობა მიიღონ სკოლებში გამართულ კოლექტიურ ღვთისმსახურებებში. ასევე იარსებებს მრჩეველთა კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ, რომ იმ დებულებებიდან, რომლებიც ღვთისმსახურების ქრისტიანულ ბუნებაზე მიუთითებენ, შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი კონკრეტული სკოლისა თუ კლასისათვის.

ბრიტანეთში სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ბევრი რელიგიური სკოლაა, რომლებზეც კონტროლს უმთავრესად რომის კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიები ახორციელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში არსებობს რამოდენიმე ებრაული და მეთოდისტური სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სკოლა, სახელმწიფო თავს იკავებს სხვა არაქრისტიანული რელიგიური სკოლების დაფინანსებისაგან. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც სახელმწიფოს უარი დაფინანსებინა 28 თვითდაფინანსებაზე მყოფი მუსულმანური სკოლიდან 2 სკოლა. საქმეში *Choudhry v. Governors of Bishop Challoner Roman Catholic Comprehensive School* გამოიტანეს გადანყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ კათოლიკურ სკოლებს შეეძლოთ კათოლიკების სასარგებლოდ დისკრიმინაცია და უარი ეთქვათ არაკათოლიკე ან არაქრისტიანი ბავშვებისათვის სკოლაში მიღებაზე, ადგილების არქონის მომიზეზებით.



## VI. რელიგიურ დაკითხვაზე პასუხისმგებელი ოფიციალური, ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები

მე-2 თავში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი „ტრადიციული ეკლესიების“ როლზე. ეკლესიის კომისიონერებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ანგლიკანური ეკლესიების საქმეთა მართვაზე, პარლამენტში წარმოადგენს პარლამენტის წევრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერმინისტრი ეკლესიის ქონების მე-2 კომისიის უხელფასო თანამდებობაზე. კომისიონერები ასევე ასრულებენ ადმინისტრაციულ ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია პასტორალურ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფო, როგორც წესი, არ მონაწილეობს ეკლესიის ხარჯების ანაზღაურებაში, თუმცა, სახელმწიფო ხშირად გამოყოფს სახსრებს, როცა საქმე ეხება ისტორიული ეკლესიების აღდგენას. სახელმწიფოს, როგორც წესი, თავისი წვლილი ასევე შეაქვს ხოლმე საკათედრო ტაძრების აგებაში. ანგლიკანური ეკლესიების ნაგებობათა დაფინანსება აკრძალული არ არის. სახელმწიფო ასევე ეხმარება ანგლიკანურ ეკლესიას 300-მდე ტაძრის აღდგენაში, რომელთაც განსაკუთრებული არქიტექტურული ან ისტორიული მნიშვნელობა გააჩნიათ, თუმცა, აღარ გამოიყენება სამრევლო ეკლესიებად და რომელთა გამოყენების ალტერნატიული გზა ფაქტიურად არ არსებობს. ისტორიული ღირებულების მქონე სამლოცველოებს გამოეყოფათ კრედიტები, რათა შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა სარწმუნოებების სალოცავებისა და ღვთისმსახურების ადგილების, მათ შორის, სინაგოგებისა და ტაძრების დაცვა. ეს ძირითადად ეხება იმ ტაძრებს, რომლებსაც განსაკუთრებული არქიტექტურული ან ისტორიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

1997 წელს მსოფლიო კეთილდღეობის ფონდის სპონსორობით დაიწყო **წმინდა მიწის** პროექტის განხორციელება, რომლის დანიშნულებაც იყო გაერთიანებულ სამეფოში 2000-მდე **წმინდა** სამშენებლო ადგილის უზრუნველყოფა. ადგილობრივ და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით პროექტი მიზნად ისახავს ანტიკურ პოლიგრიმთა მარშრუტების აღდგენას, ახალი გზების გახსნას, ძველი აკლდამების აღდგენას და წმინდა ბაღების გაშენებას.

ტრადიციული ეკლესიების სასულიერო პირები, ისევე როგორც სხვა რელიგიების წარმომადგენლები, სახელმწიფოს მიერ დასაქმებულნი არიან შეიარაღებულ ძალებში, პოსპიტალებსა და სასჯელალსრულებით დაწესებულებებში.

ჩრდილოეთ ირლანდიის დამოუკიდებელი ადამიანის უფლებების მრჩეველთა კომისია, რომელიც ფუნქციონირებს 1973 წლიდან, ხელისუფლებას აძლევს რჩევებს კანონის ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით, ასევე ხშირად შეახსენებს რელიგიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. 1999 წელს კომისია შეცვალა ახალმა ჩრდილო ირლანდიის ადამიანის უფლებათა კომისიამ.

## VII. მნიშვნელოვანი საკითხები

მთელი რიგი კანონები აღიარებენ და იცავენ სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებების ტრადიციულ საქმიანობას, მაგალითად, ცხოველთა დამცავი ნორმები (დასახიჩრება, ან მოკვლა) არ ფრცვლდება ცხოველის ან ფრინველის მოკვლაზე, თუ ეს არ ხორციელდება ცხოველის წამების მიზნით და თუ მას ტრადიციული მეთოდით განახორციელებენ მუსულმანები.

ამა თუ იმ რელიგიური სარწმუნოებისადმი კუთვნილება არ ათავისუფლებს პირს კანონის ჩვეულებრივი მოთხოვნისაგან, მაგალითად, თუ მშობლები რელიგიური მიზეზებით არ აღმოუჩინებენ შვილს სათანადო სამედიცინო დახმარებას, ეს ჩაითვლება გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლევლობად, თუ ბავშვი გარდაიცვლება. საქმეში *R. v. Adesanya* ორი შვილის დედას ბრალი დაედო საკუთარი შვილების დასახიჩრებაში, თუმცა, საბოლოოდ მას მოუხსნეს ბრალდება. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ქალმა, იორუბას ტომის ჩვეულების თანახმად, სპეციალური სარიტუალო ჰიმნისა და ღვთის სახელის დიდების ფონზე სქესობრივი სიმნიფის ასაკს მიღწეულ შვილებს ღანკებზე ჭრილობები მიაყენა. 1986 წელს აზიურ ინდურ საზოგადოებას უარი ეთქვა გაეზნიათ გარდაცვლილი ადამიანების ფერფლი მდინარეში და მიეცათ გაფრთხილება, რომ მდინარის დაბინძურების გამო მათ მიმართ შეიძლებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა განხორციელებულიყო. ფერფლის გაბნევის უფლება მათ მხოლოდ მდინარის ერთ-ერთ შენაკადში მიეცათ.

საგულისხმოა კიდევ ერთი საქმე *Ahmad v. Inner London Education Authority*. მუსულმანური სკოლის მასწავლებელი დადიოდა მეჩეთში ყოველ პარასკევს, რათა შეეცდებინა თავისი რელიგიური მოვალეობა და დასწრებოდა ლოცვას. იმის გამო, რომ არ გაცდენილიყო გაკვეთილები მისი 45 წუთიანი არყოფნის პერიოდში, კლასში სხვადასხვა მასწავლებლები შედიოდნენ, ეს კი იწვევდა სკოლის მუშაობის შეფერხებას, რაზეც მის კოლეგებს პრეტენზიები გაუჩნდათ. მასწავლებლებმა წაუყენეს მას მოთხოვნა, გადასულიყო ნახევარგანაკვეთიან სამუშაოზე, ან ალექვეთა პარასკევობით ლოცვაზე სიარული. ამ განცხადებით აღშფოთებულმა **გადანწყვიტა წასულიყო სკოლიდან**. სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ პირი უკანონოდ იქნა თანამდებობიდან გათავისუფლებული, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: იმდროისათვის მოქმედი 1944 წლის განათლების შესახებ აქტით დადგენილი იყო, რომ არ შეიძლებოდა პირისათვის მიეცათ ნაკლები ანაზღაურება იმ მოტივით, რომ იგი ესწრებოდა რელიგიურ ღვთისმსახურებას, რაც იმგვარად უნდა ყოფილიყო გაგებული, რომ ღვთისმსახურების უფლება არ შეიძლებოდა წინააღმდეგობაში მოსულიყო სამუშაოს სრულგანაკვეთიან განრიგთან.

საინტერესოა, რომ 1988 წლის საგზაო ტრანსპორტის აქტის მე-16 მუხლი სპეციალურად სიქების რელიგიის მიმდევრებისათვის აწესებს გამონაკლისს,

კერძოდ, მათ შეუძლიათ მართონ მოტოციკლეტები სპეციალური დამცავი თავსაბურავის გარეშე. ეს გამონაკლისი გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ სიქსიზმი ავალებს მამაკაცებს იქონიონ გრძელი თმა, წვერი, ატარონ ჩალმა და სხვა დეტალები. ანალოგიური გამონაკლისია დაშვებული კონსტრუქციულ მრეწველობაშიც, თუმცა საქმეში *Panesar v. Nestle Co. Ltd.* დაკმაყოფილდა წესი, რომელიც კრძალავდა გრძელი წვერის ტარებას, იმ მოტივით, რომ აღნიშნული წესი ჰიგიენის დაცვას ემსახურებოდა. მსგავსი წესები ხშირად გამოიყენება სხვადასხვა კვების დანესებულებებში.

### სასამართლო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის საშუალებები

ზოგადად თუ ვიტყვით, ბრიტანეთის სასამართლოები იძულების განხორციელების ფართო უფლებამოსილებას ფლობენ და სთავაზობენ სამართლებრივ დაცვას ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც თვლის, რომ კანონისა თუ ხელისუფლების გადაწყვეტილებების საფუძველზე ირღვევა მისი რაიმე უფლება. ტრადიციის თანახმად, ბრიტანულ სასამართლოებს არ გააჩნიათ ზოგადი უფლებამოსილება, გადასინჯონ საპარლამენტო აქტები მისი კანონიერებისა თუ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის დასადგენად. ისინი განმარტავენ კანონებს და გადასინჯავენ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობას, მიუხედავად იმისა, საერთო ეროვნულ დონეს განეკუთვნება ეს ადმინისტრაციული ორგანო, თუ ადგილობრივს.

1998 წლის ახალი ადამიანის უფლებათა აქტი უფლებას ანიჭებს პიროვნებას, რომელიც თვლის, რომ დაირღვა მისი პირადი უფლებები, წარმართოს საქმე ქვეყნის შიდა სასამართლოებში. აქტი ასევე გვთავაზობს მეთოდს, თუ როგორ შეიძლება გამოცხადდეს შიდა კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამოდ, ისე რომ არ მოხდეს მისი ავტომატურად გაუქმება, აძლევს რა ხელისუფლებას შესაძლებლობას თავად გამოასწოროს კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი ნორმა.

# გერმანია

გერმანიაში რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია კონსტიტუციით და გერმანიის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ძირითადი ტრადიციული რელიგიები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და სახელმწიფოსთან თანამშრომლობენ განათლებისა და სოციალურ საკითხებში. უფრო მცირე და ახალი რელიგიური გაერთიანებების სტატუსი განსხვავებულია. ასეთ გაერთიანებათა უმეტესობა ფუნქციონირებს როგორც საზოგადოებრივი (არამომგებიანი) ორგანიზაციები, თუმცა ზოგიერთ მათგანს რიგ მიწებში (ფედერაციის სუბიექტებში) მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატურია ისლამის სტატუსის განსაზღვრა. დებატები მიმდინარეობს, აგრეთვე, ისეთი რელიგიური ორგანიზაციების შედამხედველობის პრაქტიკის ირგვლივ, რომლებსაც საზოგადოებისათვის საშიში სწავლების მიმდევრებად მიიჩნევენ.

## შესავალი

### რელიგიური თავისუფლების ისტორია გერმანიაში

შუა საუკუნეების გერმანიაში კათოლიკურ ეკლესიასა და სეკულარისტურ მიმდინარეობებს შორის ხანგრძლივი დაპირისპირება არსებობდა. ამავე ეპოქას ახასიათებდა მზარდი უკმაყოფილება დომინანტი კათოლიკური ეკლესიის მიმართ. რეფორმაციამ კულმინაციას მიაღწია მეთექვსმეტე საუკუნეში ლუთერანული პროტესტანტული ეკლესიის შექმნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ტოლერანტობა ამ ეპოქას არ ახასიათებდა. ცალკეული ტერიტორიების მფლობელი ფეოდალები არჩევანს აკეთებდნენ კათოლიციზმსა და პროტესტანტობას შორის და ერთ-ერთ მათგანს აცხადებდნენ სახელმწიფო რელიგიად. სეკულარისტური მოძრაობის ლიდერები ახლადდაარსებული ეკლესიების ხელმძღვანელები ხდებოდნენ.

რელიგიის თავისუფლება აღიარებული იქნა 1648 წლის ვესტფალიის ზავით, რომლითაც დასრულდა ოცდაათწლიანი ომი და ყოველ გერმანელს მიანიჭა ძირითად აღიარებულ რელიგიებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება. ამის შემდეგ რელიგიის თავისუფლების იდეა თანდათან იკრებს ძალას განმანათლებელთა ეპოქის გავლენით. 1870 წელს, გერმანიის იმპერიის დაარსებისას, პრუსიის კანონმდებლობით, მთელ გერმანიაში აღიარებული იქნა თვითეული გერმანელის აღმსარებლობის თავისუფლება. ეს რელიგიური უფლებები კიდევ უფრო გაფართოვდა 1919 და 1949 წლების კონსტიტუციებით, რომლებმაც აღიარეს გაერთიანების თავისუფლება და რელიგიური რიტუალების საჯაროდ შესრულების უფლება. ამ დროისათვის ძირითად რელიგიურ მიმდინარეობებს მიენიჭათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მათ მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს უწესებდა და განიხილავდა სახელმწიფოს პარტნიორებად საქველმოქმედო და კულტურულ საკითხებში.

თანამედროვე გერმანია 1871 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც მრავალი მცირე სამთავრო ერთიანი გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იმპერია შეიცვალა ვაიმარის რესპუბლიკით. ამ წარმონაქმნის მმართველობითი ფორმის სისუსტეებმა, 1933 წელს, ხელი შეუწყო ნაცისტური დიქტატურის ხელისუფლებაში მოსვლას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა დასავლეთის საოკუპაციო ხელისუფლების გავლენით, ხოლო აღმოსავლეთი გერმანია კომუნისტური ბლოკის ნაწილი გახდა. კომუნისტური რეჟიმის კოლაფსის შედეგად, აღმოსავლეთი და დასავლეთი გერმანია გაერთიანდა გდრ-ის მიერთების გზით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციურ და სამართლებრივ სისტემასთან.

**ა) გერმანიის რელიგიური შემადგენლობა**

გერმანელთა უმეტესობა ან პროტესტანტია (ლუთერანი) ან კათოლიკე. პროტესტანტები ჭარბობენ ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი გერმანიის მიწებში, მაშინ როდესაც ბავარიაში, ძირითადად, კათოლიკეები ცხოვრობენ. ყოფილი აღმოსავლეთი გერმანიის ძალიან ბევრი მკვიდრი ათეისტია. გერმანიაში, ისევე როგორც ყველა დასავლეთევროპულ ქვეყანაში, ძირითადი ორი რელიგიის მიმდევართა რაოდენობა მცირდება, ხოლო იზრდება მცირე ან ახალ რელიგიურ გაერთიანებათა და ათეისტთა რაოდენობა. უცხოელი მუშახელის იმიგრაციისა და ლტოლვილთა რიცხვის ზრდის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა ისლამის მიმდევართა რიცხვი.

## 1. სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები

### ა) კონსტიტუციის მიღება

1949 წლის ძირითადი კანონი წარმოადგენს დღეს მოქმედ გერმანულ კონსტიტუციას. იგი შეიქმნა დასავლეთ გერმანიაში მოკავშირეთა საოკუპაციო ძალების ზეგავლენით, რომლებმაც გერმანიაში 1955 წლამდე დაჰყვეს. ძირითადი კანონი გერმანიას აცხადებს დემოკრატიულ, სამართლებრივ და ფედერალურ სახელმწიფოდ, რომელიც იცავს მოქალაქეთა სოციალურ უფლებებს. ძირითადი კანონი შეიცავს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, მათ შორის — რელიგიის თავისუფლებას. ამასთან, კონსტიტუციის შექმნისას ვერ შეთანხმდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ამიტომაც გადაწყდა, ძალაში დარჩენილიყო ვაიმარის კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები, რომლის ინკორპორირებაც ძირითად კანონში განხორციელდა.

### ბ) კანონთა შორის უპირატესი იურიდიული ძალის დადგენის წესი

გერმანია ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც 16 მიწისაგან (ფედერაციის სუბიექტისაგან) შედგება. მიწებს საკუთარი კონსტიტუციები და, უმეტეს მათგანს, საკუთარი საკონსტიტუციო სასამართლოებიც გააჩნიათ. ფედერალურ კონსტიტუციაში გადმოცემული უფლებამოსილებების გამიჯვნის საფუძველზე, ფედერალურ კანონმდებლობას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს სამართლის მთელ რიგ სფეროში. სისხლის, სამოქალაქო და კომერციული სამართალი, ძირითადად, ფედერალური კანონმდებლობითაა მონესრუებული. კულტურის, რელიგიის და განათლების საკითხებს კი დიდწილად მიწების კანონმდებლობა აწესრიგებს.

გერმანიაში კანონთა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ძირითადი კანონი დგას. შემდეგი საფეხური საერთაშორისო სამართლის ძირითად ნორმებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უკავია. შემდეგ მოდის ფედერალური კანონები, რომლებიც, თავის მხრივ, უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობენ აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ მიღებულ კანონქვემდებარე აქტებთან შედარებით.

მიწის დონეზე მიწის კონსტიტუციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს მიწის კანონების მიმართ, რომლებიც, თავის მხრივ, იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე დგანან, ვიდრე მიწის აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ მიღებული კანონქვემდებარე აქტები. მიწის კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ფედერალურ კონსტიტუციას, ხოლო ფედერალურ კანონებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა მიწის კანონების მიმართ. ამავე დროს, ფედერაციის სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს იმ ფედერალური კანონის გაუქმება, რომელიც მიწის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს აწესრიგებს.

### გ) უფლებათა დაცვის მექანიზმები

ფედერალური კონსტიტუციის შესაბამისად, შესაძლებელია დარღვეული უფლებების სასამართლო წესით დაცვა. მოქალაქეს ასევე შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს ის ნორმატიული ან ინდივიდუალური აქტი, რომელიც კონსტიტუციით გარანტირებულ მის უფლებას არღვევს.

## II. რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური დებულებები

### ა) რელიგია და აღსარება

ფედერალური კონსტიტუციის მე-4 მუხლით აღიარებულია რელიგიის, რწმენისა და აღსარების თავისუფლება. ამ მუხლით გარანტირებულია რელიგიური მსახურების დაუბრკოლებელი შესრულება. ძირითადი კანონით ასევე გარანტირებულია სიტყვისა და გაერთიანებების თავისუფლება. გაერთიანებების თავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ორგანიზაციებზე, რომელთა საქმიანობა სისხლის სამართლის დებულებებს ეწინააღმდეგება ან მიზნად ისახავს კონსტიტუციური წესრიგის ან ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის საფრთხის შექმნას. ისეთი გაერთიანებები, რომლებიც კონსტიტუციით აკრძალულ მიზნებს ემსახურებიან, შეიძლება აკრძალოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

რელიგიის თავისუფლება ასევე გარანტირებულია ვაიმარის კონსტიტუციის 136-ე მუხლით. ამავე კონსტიტუციის 137-141 მუხლებით კი აკრძალულია სახელმწიფო რელიგიის არსებობა, სახელმწიფოს ჩარევა რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობაში. კონსტიტუციის მიხედვით, რელიგიურმა გაერთიანებებმა შეიძლება შეიძინონ იურიდიული პირის სტატუსი სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადად რელიგიურმა ინსტიტუტებმა შეინარჩუნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და, შესაბამისად, მიიღეს თავიანთი წევრებისაგან გადასახადების შეგროვების უფლება. ახალმა რელიგიებმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი შეიძლება შეიძინონ, თუკი გააჩნიათ გაერთიანების მუდმივობის უზრუნველყოფის მექანიზმები და წევრთა მყარი რაოდენობა. ამ პრინციპების შესრულება დაკისრებული აქვთ მინებს. ამავე დროს, შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას, სასულიერო პირის მიერ რელიგიური მსახურების შესრულება გარანტირებულია შეიარაღებულ ძალებში, სასჯელალსრულებით და-წესებულებებში, ჰოსპიტალებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში.

გერმანელ მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგიის თავისუფლება აბსოლუტურ უფლებას არ მიეკუთვნება. მათი აზრით, რელიგიის თავისუფლების დაბალანსება უნდა მოხდეს სხვა კონსტიტუციური ღირებულებებით, კერძოდ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეით, რათა გამოირიცხოს რელიგიის თავისუფლების ბოროტად გამოყენება. ერთ-ერთ ასეთ შეზღუდვად მიიჩნევენ ჯერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, შემდგომ კი სასამართლოსათვის უფლებამოსილების მინიჭებას, გადაწყვიტოს, უნდა ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის გაერთიანება რელიგიურ გაერთიანებად.

### ბ) სიტყვის თავისუფლება

ძირითადი კანონის მე-5 მუხლით გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, მაგრამ დასაშვებად აცხადებს მის ისეთ შეზღუდვას, რაც აუცილებელია არასრულწლოვანთა და მოქალაქის პატივისა და ღირსების დასაცავად.

### გ) გაერთიანების უფლება

ძირითადი კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულია გაერთიანების თავისუფლება, მაგრამ ამავე დროს:

**„აკრძალულია ისეთი გაერთიანებების შექმნა, რომლებიც სისხლის სამართლის დებულებებს ეწინააღმდეგება ან მიზნად ისახავს კონსტიტუციური წესრიგის ან ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის საფრთხის შექმნას.“**

### დ) თანასწორობის პრინციპი

ძირითადი კანონის მე-3 მუხლით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა და აკრძალულია დისკრიმინაცია ან ფავორიტიზმი სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, რელიგიური ან პოლიტიკური მოსაზრებების ნიშნით. ამასთან, რელიგიური დისკრიმინაციის აკრძალვა გაგებულ უნდა იქნეს ძირითადი კანონის მე-7 მუხლთან კავშირში, რომლითაც ნებადართულია რელიგიური განათლება საჯარო და კერძო სკოლებში. ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, საჯარო სამსახურში პირის მიღება არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ პირის რელიგიურ კუთვნილებასთან.

ძირითადი კანონის 136-ე მუხლი ასევე კრძალავს დისკრიმინაციას რელიგიურ საფუძველზე და ანიჭებს მოქალაქეებს უფლებას, არ გაამხილონ თავიანთი რელიგიური კუთვნილება. სახელმწიფო სტრუქტურებს მხოლოდ მაშინ აქვთ უფლება, ჰკითხოთ მოქალაქეს რელიგიური კუთვნილების თაობაზე, თუკი ამაზე დამოკიდებული პირის უფლება ან მოვალეობა, ან თუ ეს საჭიროა კანონით დადგენილი სტატისტიკური კვლევების ჩასატარებლად. ამ დებულების საფუძველზე სასამართლომ არ გააუქმა კანონი, რომლის თანახმადაც საჯარო მოხელის სახელფასო ბარათში მითითებულია პირის რელიგიური კუთვნილება, რათა გადახდილ იქნას საეკლესიო გადასახადი. რელიგიური კუთვნილებას უთითებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რელიგიურ გაერთიანებას აქვს საეკლესიო გადასახადის დაწესების უფლება. თუ პირი ასეთ რელიგიურ გაერთიანებას არ მიეკუთვნება, ბარათზე მისი რელიგიური კუთვნილების შესახებ არ მითითება. ამ კანონის გარდა, გერმანიაში არც ერთი სხვა კანონი არ არსებობს, რომელიც სავალდებულოდ ხდის რელიგიის მითითებას. სამოქალაქო რეესტრში მშობლებისა და შვილების რელიგიური კუთვნილების შესახებ ჩანაწერი კეთდება მხოლოდ მშობლების თანხმობით.



### III. საერთაშორისო ვალდებულებები

#### ა) შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები

გერმანიას რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და თანმხლები ოქმები. გერმანია ასევე წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროსაბჭოს ჩარჩო ხელშეკრულების წევრ ქვეყანას. კონვენციას გერმანია მიუერთდა იმ დათქმით, რომ ის ეროვნულ უმცირესობებად განიხილავს გერმანული მოქალაქეობის მქონე დანიელ და სერბიელ ხალხს. ამასთან, გერმანია იძლევა დაპირებას, რომ ამ კონვენციას ასევე გააფრცვლებს გერმანული მოქალაქეობის მქონე ბოშებზე, სინტიელებსა და ფრიზიელებზე.

გერმანიამ რატიფიცირება გაუკეთა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტს დამატებითი ოქმების გარეშე, რამდენიმე მცირე დათქმით. პაქტის 41-ე მუხლში გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმი გერმანიამ ძალაში შეიყვანა 1991 წლიდან. გერმანიას ასევე რატიფიცირებული აქვს განათლების სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ 1960 წლის კონვენცია და ამ კონვენციის 1962 წლის ოქმი ყოველგვარი დათქმების გარეშე.

#### ბ) ვალდებულებები ეუთო-სთან

გერმანია არის ეუთოს წევრი ქვეყანა.

#### გ) საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაცია

გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება შიდასაკანონმდებლო ნორმებს, აუცილებელია ამ ხელშეკრულების რატიფიცირება. რატიფიკაციის შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულებას შიდასაკანონმდებლო ძალა გააჩნია, ანუ მათი პირდაპირი გამოყენება შესაძლებელია. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებასთან ერთად გამოიცემა შიდასაკანონმდებლო აქტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

გერმანიას არც ერთხელ არ დასდებია ბრალი რელიგიის თავისუფლების დარღვევაში რომელიმე საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. 1996 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ უარი განაცხადა გერმანიის საინტელოგიური ეკლესიის სარჩელის მიღებაზე ფორმალური ნიშნით — არ იყო ამონაშროული უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი ინსტრუმენტები.

#### **IV. კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების შესახებ**

როგორც აღვნიშნეთ, რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ფედერალური ძირითადი კანონითა და ვაიმარის კონსტიტუციით. ის აგრეთვე გარანტირებულია ყველა მიწის კონსტიტუციით, სადაც ძირითადი კანონის მსგავსი დებულებებია მოცემული. ამ კონსტიტუციებით გარანტირებულია სახელმწიფოს ჩაურევლობა რწმენის საკითხებში; ამასთან, სახელმწიფო გამოხატავს პატივისცემას იმ უფლებებისადმი, რომლებიც გადაცემული აქვთ დომინანტ რელიგიურ ორგანიზაციებს ხელშეკრულებების საფუძველზე.

#### **V. რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მომხდარებაზელი კანონმდებლობა**

##### **ა) ზოგადი დებულებები**

ვაიმარის კონსტიტუციის ჩარჩო დებულებებზე დაყრდნობით, რელიგიური ორგანიზაციები არსებობენ ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან საზოგადოებრივი-არამომგებიანი ორგანიზაციების სტატუსით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მინიჭებული აქვთ ისტორიული საფუძველით უმთავრეს რელიგიებს. დომინანტი ტრადიციული რელიგიები დიდი ხნის მანძილზე ამ სტატუსით სარგებლობენ. სხვა რელიგიურმა გაერთიანებამ შეიძლება მოითხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუკი ამ გაერთიანების წევრთა რაოდენობა და სანესდებო დოკუმენტები იძლევა ორგანიზაციის მუდმივობის გარანტიას. გადაწყვეტილებებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ იღებენ მიწის აღმასრულებელი სტრუქტურები. შესაბამისად, სხვადასხვა მიწაზე განსხვავებული პრაქტიკა ჩამოყალიბდა. რიგ შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი განისაზღვრება მიწის მთავრობასა და რელიგიურ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთი ხელშეკრულებები ძირითადად გაფორმებულია რომის კათოლიკურ და გერმანულ პროტესტანტულ ეკლესიებთან, აგრეთვე მათგან წარმოქმნილ ზოგიერთ რელიგიურ გაერთიანებასთან.

რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, განსაკუთრებული თანამშრომლობა აქვთ მინის მთავრობასთან. მაგალითად, მათ აქვთ უფლება, დაანესონ საეკლესიო გადასახადი, რომლის გადახდაც სავალდებულოა ამ კონფესიის წევრებისათვის. მათ აქვთ უფლება, ასწავლონ რელიგიური მოძღვრება საჯარო სკოლებში, აღასრულონ რელიგიური მსახურება შეიარაღებულ ძალებში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ჰოსპიტალებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში სპეციალურად დანიშნული ღვთისმსახურის მეშვეობით. ისინი თანამშრომლობენ სახელმწიფოსთან სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საკუთარი საქველმოქმედო ორგანიზაციების მეშვეობით. თუმცა, ჩამოთვლილ უფლებათაგან ზოგიერთი შეიძლება მიენიჭოს იმ რელიგიურ ორგანიზაციებსაც, რომლებიც რეგისტრირებული არიან, როგორც საზოგადოებრივი, არამომგებიანი ორგანიზაციები. ამ მიმართულებით ძალიან ბევრია დამოკიდებული კონკრეტული მინის კანონმდებლობასა და ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკაზე.

## **ბ) კანონი გაერთიანებების შესახებ**

გაერთიანებების შესახებ ფედერალური კანონი ადასტურებს გაერთიანებების თავისუფლების შესახებ კონსტიტუციურ გარანტიებს და, ამავე დროს, ადგენს მექანიზმს ოფიციალური ზომების მისაღებად, თუ ამ უფლებას ბოროტად გამოიყენებენ. გაერთიანება შეიძლება აიკრძალოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურის მიერ, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის დებულებებს, ან მიზნად ისახავს კონსტიტუციური წესრიგის ან ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის საფრთხის შექმნას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი არ ვრცელდება რელიგიური გაერთიანებების და პოლიტიკური პარტიების მიმართ.

## **გ) არამომგებიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაცია**

იურიდიული პირის სტატუსის და სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მისაღებად გაერთიანებამ (მათ შორის რელიგიურმა გაერთიანებამ) უნდა მიმართოს საზოგადოებრივ გაერთიანებათა საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის. რეგისტრაციის ეს სისტემა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებებიდან. რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო.

არამომგებიანმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დამხმარე საქმიანობის სახით შეიძლება კომერციული ოპერაციებიც განახორციელონ, მაგრამ მათი რეგისტრაცია გაუქმდება, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მთავარი მიზანი პოლიტიკური ან კომერციული გახდება.

#### დ) გადასახადები

რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, გათავისუფლებული არიან გადასახადების გადახდისაგან. სხვა რელიგიურმა გაერთიანებებმა შეიძლება მოითხოვონ საგადასახადო შეღავათები საქველმოქმედო აქციების განხორციელებისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც სარგებლობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, საკუთარი წევრებისაგან შემოწირულობებს კრებენ სავალდებულო საეკლესიო გადასახადის დაწესებით. ეს პრივილეგია ეფუძნება ვაიმარის კონსტიტუციის 137-ე მუხლს. საეკლესიო გადასახადის სისტემის განსაზღვრა მიწების კომპეტენციას წარმოადგენს. პრაქტიკაში საეკლესიო გადასახადი საშემოსავლო გადასახადის ქვესახეს წარმოადგენს. ამ ეკლესიების წევრ ნებისმიერ პირს, რომელსაც არ სურს ამ გადასახადის გადახდა, უნდა გამოაცხადოს ეკლესიის დატოვების შესახებ, რაც რეგისტრირდება სამოქალაქო რეესტრში.

#### ე) რელიგიური განათლება

გერმანიის უმეტეს მიწებში რელიგიური განათლების მიღება შესაძლებელია საჯარო სკოლებში. ასეთი შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც სარგებლობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. რელიგიურ მოძღვრებას ასწავლის მასწავლებელი, რომელსაც სახელმწიფო ქრაობს და, შესაბამისად, ხელფასს უხდის. ამავე დროს, სავალდებულოა, რომ მასწავლებლის კანდიდატურა მოინონოს შესაბამისმა რელიგიურმა ორგანიზაციამ. სწავლება ფაკულტატურია. 14 წლამდე ბავშვები მშობლების გადანყვეტილებით შეიძლება არ დაესწრონ ამ გაკვეთილებს. 14 წელზე მეტი ასაკის მოსწავლეები გადანყვეტილებას თვითონ იღებენ. თვითეული ბავშვი იღებს რელიგიურ განათლებას თავისი რელიგიური კუთვნილების მიხედვით. რელიგიური განათლების დეტალები მოწესრიგებულია მიწის კანონმდებლობით.

## VI. მნიშვნელოვანი საკითხები

### ა) ისლამი

ისლამის აღიარება დღევანდელ გერმანიაში ყველაზე მტკიცე რელიგიური თემაა. გერმანიაში დღეს ისლამის სამი მილიონზე მეტი მიმდევარი (ძირითადად თურქი იმიგრანტი) ცხოვრობს. ბოლო დრომდე სახელმწიფო ცდილობდა, თავი აერიდებინა ისლამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარებისა და საჯარო სკოლებში ისლამის სწავლების საკითხებისათვის. თუმცა, ზოგიერთ მინას ამ პრობლემის მოგვარების მცდელობა ჰქონდა. ამ წინააღმდეგობის მთავარი მიზეზები იყო: შიში ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმართ, მუსლიმანური საზოგადოების სუსტი ორგანიზაციული სტრუქტურა, თურქული პოლიტიკური გავლენა გერმანულ სკოლებში და რელიგიური განათლების თურქულ ენაზე მიღების სურვილი, რასაც ბევრი თურქი გამოთქვამდა.

ამ სიტუაციაში გარდატეხა შეიტანა ბერლინის ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც ისლამი აღიარებულ იქნა რელიგიურ საზოგადოებად და კანონიერად ჩაითვალა საჯარო სკოლებში ისლამთან დაკავშირებით რელიგიური განათლების მიღების უფლება. ამ გადაწყვეტილებამ კატალიზატორის როლი ითამაშა სხვა მიწების საჯარო სკოლებში ისლამური რელიგიური განათლების უზრუნველსაყოფად. ბევრმა მინამ ისლამი აღიარა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

### ბ) ახალი რელიგიები

1980-ანი წლებიდან გერმანიაში გარკვეული წინააღმდეგობები შეინიშნება პატარა და ახალ რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით; ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ისეთი რელიგიური გაერთიანებების მიმართ, რომლებიც იმხილებიან ანტიდემოკრატიული ფასეულობების ქადაგებასა და წევრთა მიმართ ძალადობის ზომების გამოყენებაში. ასეთ რელიგიურ გაერთიანებებს ხშირად სექტებს ან კულტებს უწოდებდნენ, რაც მოგვიანებით დაიგმო საპარლამენტო მოხსენებაში.

განსაკუთრებულ დეზატებს იწვევდა იმ საკითხის გარკვევა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ზოგიერთი ასეთი ჯგუფი რელიგიად. მიუხედავად სასამართლომ უარი განაცხადა საინტელოგიური ეკლესიის არამომგებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე იმ საფუძვლით, რომ ის წარმოადგენს კომერციულ ორგანიზაციას, რომელიც ეწევა ფასიან საკონსულტაციო საქმიანობას. საინტელოგიური ეკლესიის კომერციული ბუნება ასევე ცნობილ იქნა სხვა მიწების

სასამართლოების მიერ. თუმცა, სხვადასხვა მიწას აქვს განსხვავებული პრაქტიკა და ზოგ მიწაზე საინტოლოგიური ეკლესია დარეგისტრირებულია, როგორც არამომგებიანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ასეთი ტიპის რელიგიური გაერთიანებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მიწების საკითხი ასევე საკამათოა. გერმანიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ იეჰოვას მოწმების არამომგებიან საზოგადოებრივ რელიგიურ ორგანიზაციას არ მიანიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. სასამართლომ ეს იმით დაასაბუთა, რომ რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც შეუსაბამოა სახელმწიფოსთან თანამშრომლობისათვის სახელმწიფოსადმი არალოიალური დამოკიდებულების გამო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვერ გახდება. სასამართლო აღნიშნა, რომ ეს რელიგიური ორგანიზაცია თავის ნეწრებს უკრძალავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას და, შესაბამისად, ის მზად არ არის სახელმწიფოსთან თანამშრომლობისათვის, რასაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი ითვალისწინებს.

კიდევ ერთ წინააღმდეგობრივ საკითხს წარმოადგენს ე.წ. „საშიში ჯგუფებისადმი“ სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება. ბუნდესტაგის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ მწვავედ გააკრიტიკა ამ მიმართულებით აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა. ეს კომისია შეიქმნა 1996 წელს და საბოლოო მოხსენება 1998 წელს წარმოადგინა. დასკვნის მიხედვით, ახალი რელიგიები საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებას და ისინი არ უნდა ინოდებოდნენ ისეთი დამამცირებელი სახელებით, როგორცაა „კულტი“ ან „სექტა“. ამასთან, მოხსენება დაეთანხმა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებას, კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მიზნით, შესაბამისმა უწყებებმა ზედამხედველობა გაუწიონ საინტოლოგიურ ეკლესიას. ზედამხედველობის განევის უფლებამოსილება აქვთ როგორც მიწების, ისე ფედერალურ შესაბამის უწყებებს, რომლებიც არ შედიან სამართალდამცავი სამსახურების შემადგენლობაში. ზედამხედველობის განევა გამოიხატება მხოლოდ ამ ჯგუფის შესახებ ინფორმაციის შეგროვებით. მოხსენებაში რეკომენდებული იქნა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ე.წ. პირამიდული სქემების წინააღმდეგ და იურიდიული პირების მიმართ.

### გ) ბავარიული გადაწყვეტილება ჯვარცმის შესახებ

ბავარიაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას კათოლიკეები წარმოადგენენ, საჯარო სკოლების თითქმის ყველა საკლასო ოთახის კედელზე ჰკიდია ჯვარცმის ქანდაკება. ეს ფაქტი მრავალჯერ იქცა სასამართლო დავის საგნად 1986 წლიდან. საბოლოოდ, ასეთი პრაქტიკის მოწინააღმდეგებმა გამარჯვებას მიაღწიეს 1995 წელს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოს 1995 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ბავარიის შესაბამისი

კანონმდებლობა არღვევს ძირითადი კანონის მე-4 მუხლში მოცემულ რელიგიის თავისუფლების გარანტიებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ბავარიის მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია და სასკოლო კანონმდებლობის არაკონსტიტუციური ნაწილი შეიცვალა ახალი კანონით, რომლის მიხედვითაც ნებადართულია ჯვარცმის ქანდაკების საკლასო კედელზე გამოფენა, თუ არც ერთი მონაფე ამას სერიოზულად არ ეწინააღმდეგება.

ეს კანონიც რამდენჯერმე განიხილეს სასამართლოში. 1999 წლის 22 აპრილს ამ საკითხზე ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, რითაც ძალაში დატოვა ბავარიული კანონი, მაგრამ აღინიშნა, რომ ძალიან უნდა გაადვილდეს ცალკეული მოსწავლეების პრეტენზიის დაკმაყოფილება და არ უნდა ჩატარდეს გამოკვლევა მოსწავლის პრეტენზიის სერიოზულობის თაობაზე.

# თურქეთი

## ზოგადი ინფორმაცია

ამ მიმოხილვაში განხილულია თურქეთში მოქმედი ყველა ის კანონი და მის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც იცავს ან ზღუდავს რწმენის თავისუფლებას. აქვეა მოცემული რწმენის თავისუფლების მცირე ისტორიული ექსკურსი თურქეთში. ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური რელიგია იყო ისლამი და კანონმდებელიც, შესაბამისად, სულიერი წინამძღოლი იყო. მართალია, თურქეთის არამუსულმანურ მოსახლეობას რწმენის თავისუფლება 1453 წლიდან მიენიჭა, მაგრამ ამ ფაქტის ფორმალური დადასტურება მხოლოდ 1876 წლის ოსმალეთის კონსტიტუციით მოხდა. ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ მისმა სამართალმემკვიდრემ — თურქეთის რესპუბლიკამ — ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებით აღიარა ყველა ის რელიგიური პრივილეგია, რომლითაც სარგებლობდა რელიგიური უმცირესობა საუკუნეების განმავლობაში. თურქეთის კონსტიტუციაში მოცემულია გარანტიები, რომლითაც აღიარებული და დაცულია რწმენის თავისუფლება, ასევე არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, რომლითაც ხდება კონსტიტუციით აღიარებული უფლებების შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია.

## შესავალი

ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ თურქეთმა, როგორც ორბედის სამართალმემკვიდრემ, განაგრძო არამუსულმანი უმცირესობისათვის საუკუნეების განმავლობაში იმპერატორების მიერ მინიჭებული რწმენის თავისუფლების აღიარება.

ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობად გამოცხადებული იყო ისლამი. კანონმდებელი იყო მთელი მუსულმანური მოსახლეობის სულიერი



წინამძღოლი. 1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, მეჰმედ II-მ ყველა არამუსულმანურ რელიგიურ დაჯგუფებას მიანიჭა რელიგიის თავისუფლება. ყველა დაჯგუფებას მიენიჭა უფლება, თავად აერჩია საკუთარი რელიგიური ლიდერი, რომლის დამტკიცება შემდეგ იმპერიის დეკრეტით ხდებოდა. რწენასთან დაკავშირებული საკითხების საკუთარი რელიგიური ლიდერის მიერ დასახული გზით გადაწყვეტის გარდა არამუსულმან რელიგიურ უმცირესობას მიენიჭა უფლება, ეხელმძღვანელა საკუთარი რელიგიური კანონებით, როცა საქმე ეხებოდა მათი წარმომადგენლების პიროვნულ სტატუსს. ამგვარად, ისეთ საკითხებს, როგორცაა ქორწინება, განქორწინება, არასრულწლოვანის მეურვეობა და მზრუნველობა, ალიმენტი და მემკვიდრეობა, წყვეტდა კონკრეტული რელიგიური დაჯგუფების უმაღლესი სასულიერო პირი.

ოსმალთა კონსტიტუციის მე-11 მუხლი ასევე ადასტურებდა რელიგიის თავისუფლებას, აღიარებდა რა, რომ:

**„სახელმწიფომ უნდა დაიცვას ოსმალეთის იმპერიაში ცნობილი ყოველგვარი რელიგიური მიმდინარეობის თავისუფალი მოქმედება და რწმენის გამოვლინება სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის მინიჭებული რელიგიური პრივილეგიების გამოყენების არსებული პრაქტიკის შესაბამისად, თუ ის არ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ მორალს და საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს“.**

ოსმალეთის იმპერიის დამხობის შემდეგ, 1923 წელს, თურქეთმა ხელი მოაწერა ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით გარანტირებულ იქნა ყველა ის რელიგიური პრივილეგია, რომელიც მიენიჭა არამუსულმან მოსახლეობას ოსმალეთის კანონმდებლის მიერ. თუმცა, 1926 წლის შემდეგ, უმცირესობასთან დადებული ხელშეკრულებით ყველა იმ სამოქალაქო საკითხის რეგულირება, რომელიც მოიცავდა მოქალაქეთა პიროვნულ სტატუსს, დაექვემდებარა სამოქალაქო კოდექსს.

კონსტიტუციის თანახმად თურქეთის რესპუბლიკა გამოცხადდა მშვიდობიან სახელმწიფოდ. შესაბამისად, გატარდა ყოველისმომცველი რეფორმა, რომლითაც შარიათის (მუსულმანური) სასამართლოები და ისლამური კანონები შეიცვალა საერო კანონებითა და სასამართლოებით. გაუქმდა ყოველგვარი მითითება ღმერთზე და ყურანზე დაფიციებაზე. გაუქმდა ნაციონალური ასამბლეაც.

თურქეთში რელიგიური წიშნით მოქალაქეთა სტატისტიკის ზუსტი მონაცემები არ არსებობს ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე აღურიცხაობის გამო. ბოლო მონაცემების თანახმად, თურქეთში მოსახლეობის დაახლოებით 99% მუსულმანია. ქრისტიანთა რიცხვი შეადგენს დაახლოებით 140.000 კაცს, ხოლო ებრაელთა რიცხვი — 20.000 კაცს.

## I. საპარტლევრივი და კონსტიტუციური სისტემა

### ა) კონსტიტუციის მიღება

დღევანდელი თურქეთის კონსტიტუცია არის სამხედრო გადატრიალების შედეგი. 1970-იანი წლების ბოლოს განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი გადაიზარდა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებაში, რასაც მოჰყვა ხელისუფლების სათავეში სამხედროთა მოსვლა. ორი წლის განმავლობაში თურქეთი იმართებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ არმიის, საზღვაო ფლოტის, საჰაერო ძალებისა და უანდარ-მერიის უმაღლესი სამხედრო პირები. უშიშროების საბჭოს მეთაურობდა გენერალური შტაბის უფროსი.

საბჭომ მიზნად დაისახა ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის აღდგენა. შეიქმნა კონსტიტუციური ასამბლეა, რომელსაც დაევა კონსტიტუციის პროექტის მომზადება. დაახლოებით ერთ წელიწადში მომზადდა კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მიღებულ იქნა სახალხო რეფერენდუმის გზით 1982 წლის 7 ნოემბერს.

### ბ) ნორმატიული აქტების იერარქია იურიდიული ძალის მიხედვით

იურიდიული ძალის მიხედვით ნორმატიული აქტების იერარქია შემდეგია: კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, კანონები, დეკრეტები, ინსტრუქციები, ორდონანსები და საბიუჯეტო ნორმატიული აქტები.

### გ) კანონის გამოქვეყნება

თურქეთში ყველა კანონი, დეკრეტი, ინსტრუქცია, ორდონანსი, საბიუჯეტო ნორმატიული აქტი და საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნდება თურქეთის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში — გაზეთ „*T.C. Resmi Gazete*“-ში. საერთაშორისო ხელშეკრულება ქვეყნდება ხელშემკრელი მხარეების ოფიციალურ ენაზეც. ოფიციალურ გაზეთში ქვეყნდება ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოებისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. გამოქვეყნების სახელმწიფო სამსახურის ბეჭდვითი ორგანო, რომელშიც თავმოყრილია ეროვნული ასამბლეის მიერ წლის განმავლობაში მიღებული კანონები, არის „*dustur*“-ი. მასში ასევე ქვეყნდება საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოებისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ასევე ქვეყნდება მათ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებშიც. კანონები

და სასამართლოების გადანაცვებები შეიძლება გამოქვეყნდეს კერძო საინფორმაციო საშუალებითაც.

#### **დ) კონსტიტუციით მოქალაქეებისათვის აღიარებული გარანტიები**

თურქეთის კონსტიტუციაში მოცემულია მრავალი დებულება, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს. თუ კანონი არღვევს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებებს, კონსტიტუციის შესაბამისად, მისი გაუქმების მოთხოვნით გამოსვლის უფლება აქვს თურქეთის პრეზიდენტს, პარლამენტში მყოფი მმართველი პარტიის ჯგუფს, ოპოზიციაში მყოფი პარტიის ჯგუფს ან პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მეხუთედს. გასაჩივრების პროცესი დამთავრებულად ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებების დამრღვევი საკანონმდებლო აქტის გაუქმების თაობაზე გადანაცვლების მიღების შემდეგ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში სადაო საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

კერძო პირები და ორგანიზაციები, რომლებიც თვლიან, რომ კონკრეტული კანონი არღვევს მათ უფლებებს, უფლებამოსილი არიან მისი არაკონსტიტუციურობის საკითხი დააყენონ სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონი ნამდვილად არაკონსტიტუციურია, საქმის წარმოება შეჩერდება და კანონი გადაეგზავნება საკონსტიტუციო სასამართლოს ამ კანონის ან მისი ნაწილის გაუქმების მოთხოვნით. თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს კერძო პირის ან ორგანიზაციის მოთხოვნას, მაშინ შესაძლებელია სასამართლოს გადანაცვლების გასაჩივრება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, რომელსაც უფლება აქვს, გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს გადანაცვლება და გადასცეს სადაო კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს.

თუ პირის უფლებები დაირღვა სახელმწიფო თანამდებობის პირის ან კერძო პირის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგად, პირს უფლება აქვს, მიმართოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებს, ქმედების ბუნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოების გადანაცვებები ექვემდებარება გასაჩივრებას საკასაციო ინსტანციაში, ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოების მიერ გამოტანილი გადანაცვებები კი შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო საბჭოში.

#### **ე) სასამართლოები**

თურქეთის სასამართლოები დიდი პატივისცემით სარგებლობენ. მათი გამოტანილი გადანაცვებების აღსრულებას ხელს უწყობს ხელისუფლების თითქმის ყველა დანესებულება და მთელი საზოგადოებაც. საკონსტიტუციო სასამართლოების გამოტანილ ზოგიერთ გადანაცვლებას მოჰყვა პოლიტიკური ნების მკვეთრი ცვლილება.

## II. კონსტიტუციის დეზულაზი, რომელიც ეხება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხს

კონსტიტუციის რამდენიმე მუხლი ეხება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხს. 24-ე მუხლის თანახმად:

ყველას აქვს სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

ლეთისმსახურება, რელიგიური სამსახური და ცერემონიები უნდა განხორციელდეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მე-14 მუხლის მოთხოვნებს.

დაუშვებელია პირის იძულება, ეწეოდეს ლეთისმსახურებას ან მონაწილეობას იღებდეს რელიგიურ ცერემონიებსა თუ რიტუალებში, ან გამოავლინოს საკუთარი რწმენა თუ აღმსარებლობა, ან ბრალდებულ იქნას საკუთარი რელიგიური მრწამსის გამო.

არავის აქვს უფლება, ბოროტად გამოიყენოს პირის რწმენა ან სხვა რელიგიური გრძნობა, რელიგიის წმინდა ნივთები, როგორც უნდა იყოს იგი, პიროვნული თუ პოლიტიკური იძულების მიზნით.

იგივე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ უზრუნველყოს რელიგიის, კულტურისა და ეთიკის სწავლება საბაზო და საშუალო სკოლებში.

მე-10 მუხლში განმტკიცებულია მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპი, მიუხედავად მათი რელიგიური შეხედულებებისა. მე-14 მუხლი კრძალავს რელიგიის ნიადაგზე რაიმე სახის დისკრიმინაციის შესაძლებლობას. ამასთან ერთად, კონსტიტუცია უზრუნველყოფს რწმენის გამოვლინებისა და გაერთიანების თავისუფლებას შემდეგნაირად:

**მუხლი 26.** ყველას აქვს საკუთარი აზრისა და რელიგიური შეხედულების სიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით, პრესით, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად გამოსატყვისა და გაფრცვლების უფლება.

**მუხლი 33.** ყველას აქვს გაერთიანების უფლება ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე.

174-ე მუხლის თანახმად, რეფორმის ხელშემწყობი კანონები, რომლებიც მოქმედებდა კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღემდე (1982 წ. 7 ნოემბერი), არ შეიძლება არაკონსტიტუციურად იქნას მიჩნეული. მუხლში მოცემულია კიდევ რვა კანონის ჩამონათვალი. მათგან ორი რელიგიასთანაა დაკავშირებული:

- 1925 წლის ნოემბრის №677 აქტი დერვიშთა მონასტრებისა და სასაფლაოების დახურვის, საფლავების მესაკუთრე დანესებულებისა და გარკვეული წოდებების გაუქმებისა და აკრძალვის შესახებ.
- 1934 წლის დეკემბრის №2596 აქტი გარკვეული სახის სამოსის ტარების აკრძალვის შესახებ.

დეტალურად მათ ქვემოთ - IV თავში განვიხილავთ.

### III. საერთაშორისო ვალდებულებები

თურქეთი, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, შეუერთდა გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და რელიგიისა და რწმენის ნიადაგზე ყოველგვარი ფორმის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ დეკლარაციას. ამასთანავე, თურქეთი შეუერთდა არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონვენციას, რომლებიც იძლევიან დამატებით გარანტიებს რელიგიის თავისუფლებისათვის. ასეთებს განეკუთვნება ჰააგის კონვენცია სახმელეთო ომის კანონებისა და წესების შესახებ, ჟენევის ოთხი კონვენცია (კონვენცია სახმელეთო საომარ მოქმედებებში დაჭრილი და დაავადმყოფებული სამხედრო ძალების მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესების შესახებ, კონვენცია საზღვაო საომარ მოქმედებებში დაჭრილი და დაავადმყოფებული სამხედრო ძალების მოსამსახურეებისა და ჩაძირული გემის ეკიპაჟის პირობების გაუმჯობესების შესახებ, კონვენცია სამხედრო ტყვეთა შესახებ და კონვენცია საომარო მოქმედებების დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტი.

თურქეთი გვევლინება ასევე ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთ-ერთ ხელშემკვერელ მხარედ, რომლის III მუხლი განსაკუთრებულად იცავს იმ არამუსულმანი რელიგიური საზოგადოებების რელიგიის თავისუფლებას, რომელთა აღიარება მოხდა ოსმალეთის იმპერიის დროს. ხელშეკრულება განსაზღვრავს იმ რელიგიურ პრივილეგიებს, რომლებიც მიენიჭა არამუსულმანი რელიგიურ უმცირესობებს და აძლევს მათ შემდეგ გარანტიებს:

თურქეთის ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს თურქეთის მოსახლეობის სიცოცხლისა და თავისუფლების სრული დაცვა, მიუხედავად დაბადების ადგილისა, ეროვნებისა, ენისა, რასისა თუ რელიგიური შეხედულებებისა.

თურქეთის მოსახლეობას აქვს რწმენისა და აღმსარებლობის, დამოუკიდებლად თუ საჯაროდ, გამოხატვის სრული თავისუფლება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ წესრიგსა და დამკვიდრებულ მორალს.

თურქეთში მცხოვრები ნებისმიერი პირი თანასწორია კანონის წინაშე, მიუხედავად მისი რელიგიური შეხედულებებისა.

განსხვავებული რელიგიური შეხედულება თუ რწმენა არ შეიძლება გახდეს თურქეთის რომელიმე ეროვნების პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის საფუძველი.

თურქეთის არამუსულმანური რელიგიური უმცირესობები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით, საკუთარი ნება-სურვილისამებრ დააარსონ, მართონ და აკონტროლონ რელიგიური ინსტიტუტები, რაც შემდგომ ხელს შეუწყობს მათ რწმენის გამოვლინებაში.

ისეთ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც თურქეთის არამუსულმანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს, რელიგიურ უმცირესობას სამართლიანად უნდა მიენიჭოს იმ თანხებითა და საშუალებებით სარგებლობისა და განკარგვის უფლება, რომლებიც სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაცემული აქვთ საზოგადოებრივ ფონდებს განათლების, რელიგიისა და საქველმოქმედო მიზნებისათვის.

თურქეთის ხელისუფლება საკუთარ თავზე იღებს ზემოაღნიშნული რელიგიური უმცირესობის ეკლესიების, სინაგოგების, სასაფლაოებისა და სხვა რელიგიური ნაგებობების დაცვის ვალდებულებას. თურქეთში დღეისათვის არსებული რელიგიური უმცირესობის ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, ასევე რელიგიურ და საქველმოქმედო ინსტიტუტს, უფლება აქვს, სარგებლობდეს ყველა შეღავათითა და ნებართვით და თურქეთის ხელისუფლებას არა აქვს უფლება, უარი განუცხადოს ფორმირების პროცესში მყოფ ახალ რელიგიურ ან საქველმოქმედო ინსტიტუტს ისეთი შეღავათის მინიჭებაზე, რომლითაც სარგებლობენ სხვა მსგავსი ტიპის კერძო ინსტიტუტები.

უნდა ითქვას, რომ ლოზანის კონფერენციის მსვლელობისას მოკავშირეთა ძალების დელეგატები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ამ ხელშეკრულებითვე დაეცვათ რელიგიური უმცირესობები, მუსულმანთა რასობრივი უმცირესობის ჩათვლით, და უზრუნველყოთ ავტონომიის უფლება სომეხი, ნესტორიანელი და ასურელი ქრისტიანებისათვის, რომელთა მიმართ თურქი დელეგატები გამოთქვამდნენ პროტესტს, რადგან მიიჩნევდნენ მათ მიუღებლად. თურქი დელეგატების, უცვლელმა პოზიციამ აიძულა მოკავშირეთა ძალების დელეგატები, უკუეგდოთ საკუთარი მოთხოვნები ავტონომიის თაობაზე და შეეზღუდათ მესამე თავის მოთხოვნები არამუსულმანი რელიგიური უმცირესობის მიმართ.

მოკავშირეთა დელეგატი მ. მონტანა შეეცადა აეხსნა თურქეთის ასეთი მკვეთრი პოზიციის მიზეზი, რასაც იგი მიანერდა დებულებებს — „თურქეთი იღებს ვალდებულებას, სრულად დაიცვას მისი მოსახლეობის სიცოცხლისა და თავისუფ-

ლების უფლება მიუხედავად დაბადების ადგილისა, ეროვნებისა, ენისა, რასისა და რელიგიისა და, ამავე მუხლით, თურქეთი საკუთარ მოსახლეობას აძლევს საკუთარი რწმენისა და აღმსარებლობის გამოვლენის სრულ თავისუფლებას“.

კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებები სავალდებულოა შესასრულებლად მას შემდეგ, რაც მოხდება მისი რატიფიცირება პარლამენტში და გამოქვეყნდება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

კონსტიტუციის 90-ე მუხლის შესაბამისად:

დადგენილი წესით ამოქმედებული საერთაშორისო ხელშეკრულება იქნეს კანონის ძალას. დაუშვებელია არაკონსტიტუციურობის მოტივით საერთაშორისო ხელშეკრულებების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამჟამად საკმაოდ მცირე რაოდენობის საქმე განიხილება, რომელიც ეხება თურქეთის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას. დღემდე სასამართლომ მხოლოდ ერთხელ გამოიტანა გადაწყვეტილება რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით, როცა წარმოიშვა დავა მოქალაქე კალაცსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. ფარუქ კალაცი ჩიოდა, რომ იგი გადაყენებულ იქნა თურქეთის უმაღლესი სამხედრო საბჭოს მოსამართლის თანამდებობიდან საკუთარი რწმენის გამო. თუმცა იგი არ უპირისპირდებოდა თურქეთის ხელისუფლების განცხადებას იმის თაობაზე, რომ მას შეეძლო შეესრულებინა მუსულმანის ნებისმიერი ვალდებულება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. მაგალითად, მას შეეძლო ელოცა დღეში ხუთჯერ, ემარხულა რამადანის დროს და დასწრებოდა მეჩეთში პარასკევის წირვას.

სასამართლომ დაადგინა:

როდესაც ბატონმა კალაცმა გადაწყვიტა გაჰყოლოდა სამხედრო კარიერას, მან იცოდა სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელი მრავალი თავისებურება, მათ შორის ისიც, რომ სამხედრო დისციპლინა ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეთა კონკრეტული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის შესაძლებლობასაც, რაც დაუშვებელია დაწესდეს მოქალაქეებისათვის.

უმაღლესი სამხედრო საბჭოს ბრძანებას საფუძვლად დაედო არა კაპიტან კალაცის რელიგიური შეხედულებები და რწმენა, ან რელიგიური ვალდებულებების შესრულება, არამედ მისი ქცევა და პოზიცია. თურქეთის თანამდებობის პირთა თქმით, მისი ქმედება ეწინააღმდეგებოდა სამხედრო დისციპლინას და არღვევდა სეკულარიზაციის პრინციპს.

ამგვარად, სასამართლომ დაასკვნა:

გადანწყვეტილება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებას, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ ყოფილა გამოწვეული მოსარჩელის მიერ საკუთარი რწმენის გამოვლენით და მას საფუძვლად დაედო კანონით დადგენილი სპეციალური აკრძალვების დარღვევა.



## IV. კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ

### ა) სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სასჯელს კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების ხელყოფისათვის. 175-ე მუხლის თანახმად, პირს შეეფარდება პატიმრობა ექვსი თვიდან ერთ წლამდე და დაეკისრება ჯარიმის გადახდა, თუ იგი ვინმეს შეზღუდავს ან ხელს შეუშლის რელიგიური საქმიანობის შესრულებასა და ცერემონიების აღსრულებაში. თუ ეს ქმედება განხორციელდება ძალადობის ან მუქარის თანხლებით, მაშინ პატიმრობის ვადა მერყეობს ერთიდან ორ წლამდე.

იგივე მუხლი აწესებს პატიმრობას ექვსი თვიდან ერთ წლამდე და ჯარიმას პირისათვის, თუ ის შეურაცხყოფს სხვა რელიგიის სიმბოლოებს, სარწმუნოებას, წმინდა წიგნს, მოძღვარს ან პიროვნებას, რომელიც არ მისდევს მის რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. თუ ეს დანაშაული ჩადენილია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, სასჯელი ორმაგდება.

თუ პირი სხვა რელიგიის შეურაცხოვის მიზნით შებლაღავს რაიმე ადგილს ან საგანს, რომელიც ამ რელიგიური მიმდინარეობისათვის წმინდაა, მაშინ მას სასჯელის სახით ემუქრება პატიმრობა ერთი წლიდან სამ წლამდე, აგრეთვე ჯარიმა.

### ბ) კანონები, რომლებიც ზღუდავს რელიგიის თავისუფლებას

არსებობს სულ რამდენიმე კანონი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური საქმიანობის შემზღუდველად. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემოთ ნახსენები რეფორმატორული ხასიათის ორი კანონი.

პირველმა კანონმა ბოლო მოუღო სხვადასხვა მუსულმანური სარწმუნოების სასულიერო პირების მიერ რელიგიის, როგორც ფინანსური წყაროსა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის საშუალების გამოყენების პრაქტიკას. ის ტიტულები, რომლებსაც იყენებდნენ რელიგიური მიმდინარეობის ლიდერები, გაუქმდა, ცნობილი რელიგიური ფიგურების მავზოლეუმები და მონასტრები კი დაიხურა. რომელიმე რელიგიური მიმდევრობის წევრის მიერ აღნიშნული დებულებების დარღვევა გამოიწვევს პატიმრობას სამ თვემდე და ჯარიმას. თუ ამგვარი დარღვევა ჩადენილია რელიგიური მიმდინარეობის ლიდერის მიერ, სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას ექვს თვემდე და ჯარიმას. აღსანიშნავია, რომ კანონი არ კრძალავს იმ მავზოლეუმების

ფუნქციონირებას, რომლებიც ეკუთვნის ეროვნულ გმირებს, ან კულტურული ფასეულობის მქონეა და მათ მოვლა-პატრონობას აკისრებს კულტურის სამინისტროს.

№2596 კანონის (მეორე კანონი) პირველი მუხლის თანახმად, რელიგიური სამოსელის ტარება დასაშვებია მხოლოდ რელიგიური ცერემონიების დროს. ამავე დროს, კანონის თანახმად, მინისტრთა კაბინეტი უფლებამოსილია, მიანიჭოს რელიგიური საზოგადოების ერთ კონკრეტულ სასულიერო პირს რელიგიური სამოსელისა და აღჭურვილობის ტარების უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თხოვნის შემთხვევაში დასაშვებია ამ ვადის გაზრდაც. კანონი ასევე ანესრიგებს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა და სტუდენტების მიერ სპეციალური სამოსელის ტარების საკითხსაც. ამ კანონის თანახმად, სახელმწიფო თანამდებობის პირებსა და სტუდენტებს სამსახურებსა და სკოლებში ეკრძალებათ რელიგიური ქუდების ტარება.

ქვეყნის ძირითადი კანონი „განათლების შესახებ“ განაწესებს კონსტიტუციის დებულებებს. სეკულარიზმი უნდა იყოს განათლების ძირითადი პრინციპი, ასევე სავალდებულოა სკოლებში რელიგიის კულტურისა და ეთიკის სწავლება.

## V. კანონები, რომლებიც აწესრიგებს რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას

თურქეთის კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციასა და საქმიანობას. რელიგიური ორგანიზაციების მიმართ გამოიყენება იგივე მუხლები, რაც დადგენილია გაერთიანებებისათვის (ასოციაციებისათვის). რამდენიმე ადამიანს შეუძლია შეიკრიბოს და კონკრეტული თანამდებობის პირის ყოველგვარი წინასწარი ნებართვისა და თანხმობის გარეშე ჩამოაყალიბოს ასოციაცია. სამეწარმეო იურიდიული პირის მსგავსად, ასოციაციამაც შეიძლება მოიპოვოს იურიდიული პირის სტატუსი გუბერნატორთან საკუთარი წესდებების რეგისტრაციის გზით.

თუ ასოციაციას, მათ შორის რელიგიურ გაერთიანებას, სურს მოიპოვოს ისეთი სტატუსი, რომელიც გაათავისუფლებს მას გადასახადებისაგან, საამისოდ მან განცხადებით უნდა მიმართოს მინისტრთა საბჭოს. წარდგენილ დოკუმენტში დადასტურებული უნდა იქნას, რომ ეს ასოციაცია ემსახურება საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებს.

უნდა ითქვას, რომ ლოზანის საშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, თურქეთი ცნობს ყველა იმ რელიგიურ პრივილეგიას, რომელიც მიენიჭა არამუსულმანურ მოსახლეობას ოსმალთა იმპერიის დროს. არამუსულმანი რელიგიური უმცირესობის ორგანიზაციებმა, რომლებიც აღიარეს ჯერ კიდევ ოსმალთა იმპერიაში, თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბებამდე, ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მათ მიენიჭათ რელიგიური გაერთიანების სტატუსი.

2001 წლამდე თურქეთში არ არსებობდა იეჰოვას მოწმეთა რელიგიური გაერთიანებები. თურქეთის ზოგიერთი თანამდებობის პირი არ მიიჩნევს იეჰოვას მოწმეებს რელიგიურ მიმდინარეობად. ამ შეხედულების გამო იეჰოვას მოწმეებს, მათი რელიგიურ საქმიანობიდან გამომდინარე, არაერთხელ დასდეს ბრალი სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაში, რაც გამოიხატებოდა წესრიგის დარღვევით, მოტყუებით ფულადი შემოწირულობების მიღებასა და ისეთი ორგანიზაციის დაარსებაში, რომლის მიზანი იყო თურქეთის რესპუბლიკის დამხობა. თურქეთის სასამართლომ უარყო ეს ბრალდებები, როცა დარწმუნდა, რომ იეჰოვას მოწმეები დამოუკიდებელი რელიგია იყო. საკასაციო სასამართლოს განცხადებით, რასაც იეჰოვას მოწმეები აკეთებდნენ, მათი რელიგიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი იყო და სულაც არ ისახავდა მიზნად თურქეთის რესპუბლიკის დამხობას.

უნდა ითქვას, რომ ახლად ჩამოყალიბებული პროტესტანტული ეკლესიები თურქეთში კვლავ დიდი სირთულეებს აწყდებიან. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც პოლიციაა, რომელმაც არაერთხელ დაარბია მათი ეკლესიები. 1999 წელს

იზმირსა და სტამბულში უშიშროების პოლიციამ დაარბია ეკლესიები და დააპატიმრა მისი წევრები, რომლებსაც ტერორიზმის ბრალდება წაუყენეს და დაკითხეს. იზმირის პროკურატურამ სასწრაფოდ ბრძანა მათი გათავისუფლება, განაცხადა რა, რომ ეკლესიაში შეკრება სრულად შეესაბამებოდა თურქეთის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობას. სტამბულის პროკურატურა ყოყმანობდა, მიელო რაიმე გადაწყვეტილება ეკლესიიდან ამოღებული დოკუმენტაციის შემოწმებამდე. საბოლოოდ, დაპატიმრებული უცხოელების დიდი ნაწილი, ამ ეკლესიებში სამუშაოდ რომ იყვნენ ჩამოსულები, დეპორტირებულ იქნენ.

ანკარის პასტორ ოზბეკის განცხადებით, მას არ სჯერა, რომ თურქეთის პროტესტანტული ეკლესიის მისამართით წამოსული ბრალდებების უკან სახელმწიფო იდგა. იზმირის პასტორი ტანიარი ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ **„არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც ტრადიციულ ეკლესიებთან დაკავშირებულ საკითხებს მოაწესრიგებდა, რითაც მშვენივრად სარგებლობენ შესაბამისი თანამდებობის პირები და იყენებენ ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია საკმაოდ ნათლად ეხება რელიგიის თავისუფლებისა და რწმენის საკითხს“**. დამოუკიდებელი თურქული პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენლები შეხვდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა საბოლოოდ აღეკვეათ საჯარო მოხელეთა თავნებობა.

## **VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები**

კონსტიტუციის 136-ე მუხლის თანახმად, თურქეთში უნდა შეიქმნას რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტი, რომლის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სპეციალური კანონი. დეპარტამენტმა თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს სეკულარიზმის პრინციპითა და პოლიტიკურ შეხედულებებზე დაყრდნობით და უნდა ემსახურებოდეს ქვეყანაში სოლიდარობისა და ერთიანობის ხელშეწყობას.

კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, მიღებულ იქნა კანონი რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტის შესახებ, რაც განსაზღვრავს დეპარტამენტის შექმნისა და მისი უფლება-მოვალეობების საკითხებს. დეპარტამენტი აწვდის საზოგადოებას ცნობებს ისლამი ფუნდამენტალისტებისა და ისლამური ღვთისმსახურების შესახებ. იგი ასევე პასუხისმგებელია მეჩეთების დაცვაზე და იმამების დანიშვნაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიურ საკითხთა დეპარტამენტი შეიქმნა განათლების სამინისტროს სისტემაში. ის აღიჭურვა რელიგიის კულტურისა და ეთიკის სწავლებაზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებით.

## VII. მნიშვნელოვანი საკითხები

### ა) ისტორიული ექსკურსი

#### 1. არამუსულმანი უმცირესობა

რელიგიასთან დაკავშირებული მრავალი აქტუალური საკითხი თუ პრობლემა სათავეს იღებს ოსმალთა იმპერიიდან, რომლის სამართალმემკვიდრესაც წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკა. როგორც ვიცით, პირველ მსოფლიო ომში თურქები დამარცხდნენ. ომის მსვლელობისას გაერთიანებულმა ძალებმა შეიმუშავეს არაერთი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ომის ბოლოსათვის იმპერიის დანაწევრებას. ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ, რომელთა სამხედრო ძალებიც განთავსებული იყო იმპერიის სხვადასხვა ნაწილში, შეძლეს დასახული გეგმის განხორციელება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე, რამაც წერტილი დაუსვა ომს. მათი მოკავშირე საბერძნეთი ბენეფიციარი ქვეყანა იყო, რომელმაც 1919 წლის მაისში მათი თანხმობით განალაგა საკუთარი სამხედრო ძალები იზმირში. შემდეგ გადაინაცვლეს დასავლეთისაკენ — ანგორის (მოგვიანებით ანკარა) მიმართულებით. სომხეთს ასევე უნდა მიეღო თავისი წილი აღნიშნული სამშვიდობო შეთანხმებით, კერძოდ — აღმოსავლეთი ანატოლია, იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მიაყენა თურქეთმა 1915 წლის შემდეგ. ამ ზარალში ამერიკის ადმინისტრაცია გულისხმობდა მასობრივ მკვლევლობებსა და სომეხი ერის გენოციდს. 1920 წლის 10 აგვისტოს იმპერიის უკანასკნელმა სულთანმა ხელი მოაწერა სევერის ხელშეკრულებას, რითაც აღიარა I მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხება და საკუთარი კონტროლის ქვეშ დაიტოვა მხოლოდ ანატოლიის ოლქში მდებარე შეკვეცილი ტერიტორია. უცხო ქვეყნების ამბიციებს წინ აღუდგა თურქეთის მოსახლეობა. მუსტაფა ქემალის (მოგვიანებით — ათათურქი) წინამძღოლობით ნაციონალისტებმა გაიმარჯვეს სულთანის არმიასთან წარმოებულ სამოქალაქო ომში, რასაც მოჰყვა ანატოლიიდან ბერძენთა გაძევება. მრავალ საერთაშორისო თუ საშინაო მიზეზთა გამო გაერთიანებულმა ძალებმა ვერ შეძლეს დახმარებოდნენ ბერძენებს და გაეწვრცელებინათ თურქეთის ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე სევერის სამშვიდობო შეთანხმების მოთხოვნები.

1922 წლის 20 ნოემბერს შვეიცარიაში დაიწყო მოლაპარაკებები ახალი სამშვიდობო ხელშეკრულების მოსამზადებლად. მოკავშირეებთან მოლაპარაკებების სანარმოებლად თურქეთიდან გაიგზავნა ნაციონალისტების მიერ ჩამოგდებული სულთნის შემცვლელი პირი. 1923 წლის ივლისში ხელი მოეწერა ლოზანის სამშვიდობო ხელშეკრულებას. თურქეთმა აღიდგინა ტერიტორიული მთლიანობა და შემოიერთა როგორც ანატოლია, ისე მცირე ევროპული ზოლიც. თურქეთმა გაილაშქრა ქვეყნის დაქუცმაცების

გეგმისა და მისი სუვერენიტეტის დარღვევის წინააღმდეგ, რასაც გამარჯვებული მხარე სარჩულად უმცირესობათა დაცვას უდებდა. თურქეთი არ დაეთანხმა წინადადებას, რომელიც ითვალისწინებდა რელიგიურ უმცირესობასთან დაკავშირებულ საკითხებში საერთაშორისო კომისიის ან სხვა გარე ფაქტორის ჩარევას და თანხმობა განაცხადა მხოლოდ გარანტიების იმ სახით აღიარებაზე, როგორც სახითაც ისინი ცნობილი იყო ცენტრალური ევროპის ახლდაჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში. ლოზანის ხელშეკრულებით არამუსულმანებს, როგორც რელიგიურ უმცირესობას, მიენიჭათ გარკვეული უფლებები, თუმცა არ იყო განსაზღვრული, თუ რომელი რელიგიური უმცირესობა სარგებლობდა ამ უფლებებით. სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობისას ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კურზონმა წამოაყენა წინადადება, რომ უმცირესობაში მოეაზრებინათ ბერძნები, სომხები, ასურელი ქრისტიანები და ებრაელები. მაგრამ დისკუსია, ძირითადად, ბერძნებისა და სომხების საკითხის ირგვლივ გაიმართა და თურქმა დიპლომატებმა შეგნებულად გვერდი აუარეს იმ პრეტენზიების განხილვას, რომელსაც აყენებდა ასურელთა დელეგაცია. თურქეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ამოქმედებინა ლოზანის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმები ბერძენი მართლმადიდებლების, სომხებისა და ებრაელების სასარგებლოდ. სხვა ოქმში თურქეთი და საბერძნეთი შეთანხმდნენ მოსახლეობის გაცვლაზე: გაეყვანათ 1.3 მლნ. ბერძენი თურქეთის ტერიტორიიდან საბერძნეთში და შემოეყვანათ 400 ათასი თურქი საბერძნეთის ტერიტორიიდან თურქეთში. მხოლოდ ბერძენთა მართლმადიდებელ პატრიარქსა და 30.000 ბერძენს მიენიჭათ უფლება, დარჩენილიყვნენ კონსტანტინოპოლში (სტამბული). ლოზანის ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ თურქეთის სახელმწიფო მოხელეებისათვის უკვე ნათელი გახდა, თუ რომელი დაჯგუფების მიმართ გააჩნდათ გაერთიანებულ ძალებს დაინტერესება — ესენი იყვნენ ბერძნები.

თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა 1923 წლის 29 ოქტომბერს. მართალია, 1982 წლის კონსტიტუცია აცხადებს, რომ რელიგიის თავისუფლება პიროვნების ძირითადი უფლებაა, მაგრამ სხვა მუხლი აწესებს გამონაკლისს, კერძოდ, „დასაშვებია პიროვნების ძირითადი უფლებების შეზღუდვა, თუ ეს საჭიროა ქვეყნის მთლიანობის შესანარჩუნებლად...“ ხელისუფლების წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ხშირად ქვეყნის მთლიანობის დაცვაში გულისხმობენ არამუსულმან უმცირესობათა უფლებების შეზღუდვას. უნდა ითქვას, რომ საერთო ეროვნულ დონეზე ეს ნაკლებ შესაძინევია, რაც, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი უფრო ახლოს იცნობენ არამუსულმანთა რელიგიურ პრაქტიკას ან უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირების საკითხს. ამიტომ ხშირად გაიგებთ ფაქტს, რომ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები აუქმებენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადანყვეტილებებს ან აიძულებენ მათ, შეწყვიტონ რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებები. სანამ ცენტრალური

ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გადანაცვლებებს გააუქმებენ, კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ფუნდამენტური თავისუფლებები, გარკვეულწილად, შეზღუდული რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ხელისუფლება ერთმანეთისაგან განასხვავებს არამუსულმანიური რელიგიური ორგანიზაციების უფლებებსა და არამუსულმანი პირების რელიგიურ უფლებებს. აღნიშნულ ორგანიზაციებს თურქეთის ხელისუფლება ერთგვარ საფრთხის წყაროდ აღიქვამს იმიტომ, რომ ისინი ასწავლიან უცხო ენებს და გააჩნიათ კავშირები სხვადასხვა ქვეყნის თანამოაზრეებსა თუ რელიგიურ ორგანიზაციებთან, რაც „შეუმჩნევლად უთხრის ძირს ქვეყნის მთლიანობას“. არამუსულმანები ან რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა პირები ინდივიდის რელიგიურ უფლებებსა და რელიგიური ორგანიზაციების უფლებებს შორის რაიმე განსხვავებას ვერ ხედავენ და რელიგიური ორგანიზაციების ამგვარ შეზღუდვას აღიქვამენ როგორც უმცირესობის თავისუფლებებში ჩარევისა და მათზე ხელმძღვანელობის დანესების მცდელობას.

## 2. მუსულმანები

მუსტაფა ქემალ ათათურქს სურდა შეეცვალა დამხობილი, თეოკრატიული ოსმალეთის იმპერია თანამედროვე, მშვიდობიანი თურქეთის რესპუბლიკით. თურქეთის თითქმის უმრავლესობა სუნიტური მიმდინარეობის მუსულმანია. ათათურქს სჯეროდა, რომ ახალი თურქეთის შექმნის მცდელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა წარმატებული, თუ გაუქმდებოდა ოსმალეთის იმპერიისა და ისლამური სამართლის მრავალი კონსერვატიული გადმონაშთი, შეიზღუდებოდა სახელმწიფოში რელიგიის როლი და დასრულდებოდა ქვეყანაში „ანაქრონისტული“ რელიგიური საქმიანობა. სეკულარიზმის პრინციპი იყო ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპი, რაც დღესაც წარმოადგენს რესპუბლიკის კონსტიტუციურ თავისებურებას. სეკულარიზმის დამკვიდრებამ უდიდესი დაძაბულობა წარმოშვა ქემალისტებსა და კონსერვატიულ სუნიტ მუსლიმებს შორის (რომელთაც ხშირად ისლამისტებადაც მოიხსენიებდნენ), რომლებიც კვლავაც გარკვეულად ზემოქმედებდნენ თურქეთის პოლიტიკაზე. სეკულარიზმები ადანაშაულებდნენ ისლამისტებს, თითქოს მათ სურდათ აღედგინათ ხანა, როდესაც ქვეყანა იმართებოდა ისლამური კანონებით. ისლამისტები უარყოფდნენ ამ ბრალდებას და აცხადებდნენ, რომ სურდათ ისეთი ქვეყანა, რომელიც იხელმძღვანელებდა მორალური პრინციპებით. მათ შექმნეს პოლიტიკური პარტიები, საკუთარ იდეათა წამოწევისა და პოპულარიზაციისათვის, თუმცა ამ იდეათა უმრავლესობა უარყოფილ იქნა.

როგორც ათათურქის მემკვიდრეს, თურქეთის ჯარს კონსტიტუციით მანდატირებული აქვს ქვეყნის გარანტის ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს სამხედრო ფენა ენერგიულად იცავდა ქვეყნის სეკულარულ ბუნებას. კეთილდღეობის ანუ რეფაჰის პარტიის წარმომადგენლებმა 1995 წლის არჩევნებში ყველაზე



მეტი ხმა მიიღეს და 1996 წელს მოვიდნენ კოალიციური მთავრობის სათავეში. ამ პარტიის ზოგიერთმა ქმედებამ გამოიწვია სამხედრო ძალების გალიზიანება, რომლებმაც „რეაქციონიზმი“ ანუ ფუნდამენტალიზმი ქვეყნის ორი მთავარი საფრთხიდან ერთ-ერთად აღიარეს (მეორე სეპარატიზმი). 1997 წლის 28 თებერვალს ეროვნული უშიშროების საბჭომ მთავრობას მისცა რეკომენდაციები და წაუყენა ულტიმატუმი, რათა სათანადოდ ემოქმედა სეკულარიზმის დასაცავად. სამხედროებმა მიაღწიეს თავის მიზანს: მოითხოვეს რეფაჰის ხელმძღვანელობით შექმნილი მთავრობის გადაყენება. 1998 წელს რეფაჰის პარტია აიკრძალა, თუმცა მისი საქმიანობა განაგრძო ფაზილეთის ანუ ღირსების პარტიამ, რომელსაც ასევე აკრძალვა ემუქრება. ეროვნული უშიშროების საბჭო პერიოდულად აკონტროლებს მთავრობის მიერ 28 თებერვლის ულტიმატუმის შესრულების საკითხს. ისლამისტები ამტკიცებენ, რომ 1997 წლის მოვლენათა შედეგს წარმოადგენს „რელიგიის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება“ ანუ აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპის იმპლემენტაცია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით.

## **ბ. კონფლიქტები და სხვა საკითხები**

### **1. არამუსულმანები**

#### **ა) ზოგადი ინფორმაცია**

##### **1) ეკლესიის ქონება**

რელიგიური უმცირესობის ეკლესიებს, მიუხედავად იმისა, დაცულია ისინი ლოზანის ხელშეკრულებით თუ არა, უფლება აქვთ, საკუთრებაში იქონიონ განსაზღვრული ქონება, თუმცა ამაზე მკაცრი შეზღუდვებია დაწესებული. 1936 წელს თურქეთის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ დაცულ რელიგიურ უმცირესობებს არ ჰქონდათ უფლება, შეეძინათ რაიმე სახის ქონება გარდა იმისა, რაც გააჩნდათ ლოზანის ხელშეკრულების ხელმოწერამდე და მოსთხოვა მათ ხელთ არსებული ქონების წერილობითი ნუსხის წარმოდგენა. 1971 წლის სახელმწიფო დეკრეტით რელიგიურ უმცირესობებს აეკრძალათ საკუთრებაში ჰქონოდათ იმაზე მეტი ქონება, რაც მითითებული ჰქონდათ 1936 წელს წარმოდგენილ ქონებრივ დეკლარაციაში. ქონება, რომელიც არ ეწერებოდა დეკლარაციაში, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გადაეცემოდა სახელმწიფოს. 1974 წელს თურქეთის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას, განსაზღვრა რა, რომ რელიგიური ორგანიზაციები „არა თურქული“ წარმონაქმნები იყვნენ და აუკრძალა 1936 წლამდე მათ ხელთ არსებული ქონების გარდა, რაიმე სხვა სახის უძრავი ქონების შექმნა ან გასხვისება.

## 2) ეკლესიის წევრობა/ხმის მიცემის უფლება

ეკლესიის წევრობისათვის, საეკლესიო არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და საეკლესიო პირად არჩევისათვის საჭიროა, რომ პირი ცხოვრობდეს საეკლესიო ოლქში, რაც განისაზღვრება გეოგრაფიული ნიშნით. უნდა ითქვას, რომ რელიგიურ უმცირესობას მიკუთვნებული მოსახლეობა გაბნეულია სხვადასხვა ადგილებში და ეკლესიის წევრთა მხოლოდ მცირე რაოდენობა თუ მოიძებნება, რომლებიც ეკლესიის მიდამოებში ცხოვრობენ და უფლებამოსილნი არიან, ხმა მისცენ ან არჩეულ იქნენ საეკლესიო საბჭოებში, რელიგიურ სკოლებსა თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებში. მუშა-მოსამსახურებთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გარკვეულწილად გავლენა იქონია ეკლესიის შესაძლებლობებზე, სათანადოდ წარემართა საკუთარი საქმეები. თურქეთის კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ეკლესიის შენობა სათანადოდ მოვლილი არ არის, ის ექვემდებარება სახელმწიფოსათვის გადაცემას.

## 3) პროზელიტიზმი (საკუთარ სარწმუნოებაზე გადაბირება)

ზოგიერთი ქრისტიანული მიმდინარეობა თვლის, რომ რელიგია მათგან სხვა სარწმუნოების მიმდევართა საკუთარ სარწმუნოებაზე გადაბირებას (პროზელიტიზმს) მოითხოვს. პროზელიტიზმი არ ეწინააღმდეგება თურქეთის კანონმდებლობას, თუმცა თურქეთში არც მისი ერთიანი პრაქტიკა არსებობს. ხშირია სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან იმ ქრისტიანთა შევიწროებისა და დაპატიმრების ფაქტები, რომლებიც შეეცადნენ გარკვეულ პირთა საკუთარ სარწმუნოებაზე გადაბირებას. მაგალითად, 2000 წლის მისში დააკავეს ორი ადამიანი ახალი აღთქმის გავრცელების მოტივით, რის შემდეგაც ისინი ერთი თვით დააპატიმრეს. მსგავს ინციდენტებს მანამდეც ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევებში, სახელმწიფო მათ ბრალს სდებს საზოგადოებრივი წესრიგის ან სიმშვიდის დარღვევაში, რაც, როგორც წესი, შემდგომ არ დასტურდება და სისხლის სამართლის საქმე წყდება. საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე კი რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება შეზღუდულია.

## ბ) ბერძენთა მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია

თურქეთში მცხოვრები მართლმადიდებელი ბერძენების რაოდენობამ XX საუკუნეში მკვეთრი კლება განიცადა, რის მიზეზადაც ასახელებენ 1923 წელს განხორციელებულ მოსახლეობის გაცვლას, 1955 წლის ანტიბერძნულ გამოსვლებს, რამაც ბერძენი მოსახლეობა აიძულა, გასცლოდა თურქეთს და 1964-65 წლებში თურქეთიდან

ბერძნების მასობრივ განდევნას. ბოლო ორი მიზეზი განაპირობა კვიპროსთან დაკავშირებულმა საკითხმა. დღეისათვის სტამბულში დაახლოებით 3000-მდე ბერძენი ცხოვრობს.

მსოფლიოს მართლმადიდებელი ბერძნების პატრიარქის ადგილსამყოფელი სტამბულში მდებარეობს. თურქეთის ხელისუფლება თურქეთში ბერძენთა მართლმადიდებლური ეკლესიის მსოფლიო ან საერთაშორისო მნიშვნელობას არ ცნობს და აღიარებს მას მხოლოდ თურქეთის ეროვნულ ეკლესიად. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ თურქეთი დიდი სიფრთხილით ეკიდება შესაძლო ექსტრატერიტორიულობის საკითხს, ანუ ცდილობს, არ დაუშვას ვატიკანის ანალოგიის განმეორება. თურქეთი ასევე დაჟინებით ცდილობს მიაღწიოს, რომ პატრიარქი მხოლოდ თურქეთის მოქალაქე იყოს.

თეოლოგიის მართლმადიდებლური სკოლა, რომელიც დაარსდა 1844 წელს და მდებარეობდა ბოსფორის კუნძულ ჰეიბელიადაზე (ჰალკი საბერძნეთში), უნივერსიტეტის დონის სასულიერო სემინარიად ითვლებოდა. მისი მიზანი იყო ბერძენი მართლმადიდებელი ღვთისმსახურების და მასწავლებლების აღზრდა. ამ სემინარიის კურსდამთავრებულები იწყებდნენ მოღვაწეობას მსოფლიოს სხვადასხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებში. ფაკულტეტის დაკომპლექტება ხდებოდა თურქეთიდან, ევროპიდან, ამერიკიდან, ავსტრალიიდან და მსოფლიოს სხვა ადგილებიდან გამოხმობილ სტუდენტთა მეშვეობით. მათი უმეტესობა მაინც საბერძნეთიდან იყო. 1971 წელს თურქეთის ხელისუფლებამ დახურა ყველა კერძო უნივერსიტეტი, მათ შორის ჰალკიც. სემინარიის დახურვით ეკლესიას გამოეცალა საფუძველი: აღზარდოს მომავალი რელიგიური ლიდერები. დღეისათვის ხელისუფლებამ ნება დართო თითქმის ყველა კერძო უნივერსიტეტს, განეხლებინა სწავლება. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კანონის შეზღუდვა ერთნაირად ვრცელდება მუსულმანური, ქრისტიანული, ებრაული და სხვა რელიგიური სკოლების მიმართ და არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თითქოს ის გამიზნულია მხოლოდ ბერძენი მართლმადიდებლების შესაზღუდად.

სკოლის დახურვის მიუხედავად, მისი შენობა-ნაგებობები მაინც გამოიყენება კონფერენციებისა და სხვადასხვა საეკლესიო საქმიანობისათვის. 1998 წლის ნოემბერში თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაშალეს სემინარიის გამგეობის სხდომა ფინანსური საკითხების მოუწესრიგებლობისა და ანტითურქული პროპაგანდის მოტივით. ხელისუფლებამ ასევე აიძულა გამგეობის წევრები, გადამდგარიყვნენ სხვა ეკლესიების საბჭოებში დაკავებული თანამდებობებიდან. ხელისუფლებამ არჩევნებზე მხოლოდ ახალი კანდიდატურების წარმოდგენის ნებართვა მისცა. სტამბულში ბერძნული საზოგადოების სიმცირის გამო შესაძლო კანდიდატთა კვოტა მათთვის შეზღუდულია. ამგვარი ქმედებები თურქეთის მხრიდან შეიძლება ჩაითვალოს შურისძიებად ბერძენთა მიმართ იმის გამო, რომ მათ მხარი დაუჭირეს ქურთ ტერორისტთა ლიდერს აბდულა ოჯალანს. თუ თურქეთის შურისძიებას, რაც გამოიხატა გამგეობის სხდომის დარბევაში, საფუძვლად მართლაც ზემოაღნიშ-

ნული პოლიტიკური მიზეზი ედო, მაშინ შეიძლება გადაჭრით ითქვას: თურქეთის ხელისუფლება კვლავ იმ აზრისაა, რომ ბერძენთა მართლმადიდებლური ეკლესია უცხოური წარმომავლობისაა და გააჩნია კავშირები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებთან. ბერძენი რელიგიური ფიგურები შიშობენ, რომ თურქეთის ხელისუფლების ასეთი საქციელი ბიძგს მისცემს ეკლესიისათვის ქონების ჩამორთმევას. ეს შიში წარმოიშვა კანონის იმ ნორმის ამოქმედების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ქონება, რომელიც სათანადოდ არ არის მოვლილი, უნდა გადაეცეს სახელმწიფოს. გამგეობის სხდომის ჩაშლას მოჰყვა მთელი რიგი საპროტესტო გამოსვლები პატრიარქისა და სხვა პირთა მხრიდან, ასევე თურქეთში ამერიკის სრულუფლებიანი ელჩის დემარში.

თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შესთავაზეს ჰალკის სკოლას, განეგრძო ფუნქციონირება სტამბულის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში. პატრიარქი არ დაეთანხმა ამ კომპრომისულ წინადადებას იმ მოტივით, რომ აღნიშნულ შემთავაზებაზე თანხმობით სკოლა მოექცეოდა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, როგორც საჯარო დაწესებულება. ეკლესია ასევე ასაბუთებდა, რომ ხელახლა გახსნილი სემინარია მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას, თუ ის ღია იქნებოდა უცხოელი სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, როგორც ეს ხდებოდა წარსულში. პატრიარქმა მოახერხა დაენშენებინა თურქეთის ხელისუფლება, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არ აპირებდა ენ. „ვატიკანიზაციას“.

აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კონგრესის წევრებმა, ევროკავშირისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამას წინათ განიხილეს ჰალკის საკითხი. 1999 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიერ თურქეთის კანდიდატურის ევროკავშირში განეწიანების საკითხის მიზანშეწონილად მიჩნევა, თურქეთში ადამიანის უფლებათა წინ წამოწევით დაინტერესება და თურქეთსა და საბერძნეთს შორის 1999 წლის შუა პერიოდის შემდგომ მეგობრული ურთიერთობების აღდგენა პროცესის პროგრესულობაზე მიუთითებს. საბერძნეთის ხელისუფლება აქტიურად გამოდის სემინარიის გახსნის იდეით და ურყევად იცავს აზრს, რომ საკითხი მხოლოდ რელიგიის თავისუფლებას უკავშირდება და იგი მხოლოდ თურქეთ-საბერძნეთის ორმხრივი შეთანხმებით არ უნდა გადაწყდეს. ამას გარდა, საბერძნეთი მიუთითებს, რომ სემინარიის გახსნაზე თურქეთის თანხმობა იქნება სათანადო ჟესტი საბერძნეთის იმ ქმედებათა პასუხად, რაც ემსახურებოდა თურქეთის კანდიდატურის ევროსაბჭოში განეწიანების მხარდაჭერას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სემინარიის გახსნაზე თანხმობის მიცემა შეუძლებელია თურქეთის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების გარეშე, თუმცა, ჯერ კიდევ გაურკვეველია, საერთოდ აპირებს თუ არა თურქეთის საკანონმდებლო ორგანო ამ გზით წასვლას. ეს საკითხი თურქეთში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა ნათელია, რომ მის მიმართ ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისა და საერთაშორისო საზოგადოების გაზრდილი ინტერესი მანამდე იარსებებს, სანამ უშუალოდ არ გაიცემა თანხმობა სემინარიის გახსნაზე.

### გ) სომხეთის პატრიარქის არჩევა

თურქეთში სომხეთის ქრისტიანული საზოგადოება, დაახლოებით, 60.000 ადამიანს ითვლის. 1998 წელს, სტამბულში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ, აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, თუ ვის უნდა დაეკავებინა პატრიარქის თანამდებობა ან უნდა ყოფილიყო თუ არა ეკლესია სახელმწიფოზე დამოკიდებული და რატომ არ უნდა ჰქონოდა ეკლესიას საკუთარი საქმეების დამოუკიდებლად მართვის უფლება. პატრიარქის არჩევნები, ტრადიციულად, 40 დღიანი გლოვის დამთავრებისთანავე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააყოვნეს სტამბულში არჩევნების თარიღის დამტკიცება. მათი განცხადებით, თურქული კანონმდებლობის მიხედვით, ახალი პატრიარქის არჩევამდე, მისი ადგილი უნდა დაეკავებინა ყველაზე უხუცეს სასულიერო პირს. ეკლესიამ კი საპასუხოდ განაცხადა, რომ წინა ორი პატრიარქის გარდაცვალებისას აღნიშნული წესი საერთოდ არ გამოყენებულა. 3 აგვისტოს სტამბულის გუბერნატორის მოადგილემ ხელი შეუშალა პატრიარქის თანამდებობაზე არქიეპისკოპოს მესროფ მუტაფიანის არჩევას, რომელიც უძღვებოდა ეკლესიის საქმეებს პატრიარქის ავადმყოფობის პერიოდში, და პატრიარქის მოვალეობის შემსრულებლად ერთპიროვნულად დანიშნა ასაკოვანი, პენსიაში გასული არქიეპისკოპოსი შაჰან სევადიანი. უნდა ითქვას, რომ მუტაფიანი ბევრად ახალგაზრდა იყო და მას სომხური საზოგადოება დიდ პატივს სცემდა.

ზოგიერთი დამკვირვებელი ამ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკურ მიზეზებს ასე ხსნის: სევადიანი თურქული ორიენტაციის ადამიანი იყო, მუტაფიანი კი დამოუკიდებლობით ხასიათდებოდა, რომელსაც შეიძლება კავშირებიც ჰქონოდა სომხეთის ხელისუფლებასთან. სხვები ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივი სომხების ჯგუფმა, რომელსაც არ ეჭაშნიკებოდა მუტაფიანის პერსპექტივები, მოახერხა და აიძულა ადგილობრივი თანამდებობის პირები, შეეფერხებინათ არჩევნების ჩატარება. იმასაც ამბობენ, რომ სტამბულის ადგილობრივ ხელისუფლებასა (რომელსაც ისლამისტები მართავდნენ) და სახელმწიფო ხელისუფლებას (მის სათავეში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის მომხრენი იყვნენ) შორის წარმოქმნილი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო სტამბულის ხელისუფლების ბრძანება, რომლის ძალითაც თანამდებობაზე დაინიშნა სევადიანი, ხოლო სომხეთის ეკლესიას უნდა გაეწყვიტა „პირდაპირი კონტაქტები“ სახელმწიფო სამინისტროებთან ანკარაში. ყველა ეს ახსნა-განმარტება პოლიტიკურია და არა რელიგიური, თუმცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ქმედებებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა ეკლესიის თავისუფლება, დამოუკიდებლად გასძლიოდა საკუთარ საქმეებს. საპატრიარქოს რელიგიურმა საბჭომ დაუყოვნებლივ, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რითაც შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს ჩარევისათვის, განაცხადა რა, რომ სულიერი ლიდერის არჩევისას ეკლესია ეყრდნობოდა „წმინდა კანონებსა და

ტრადიციებს“ და გამოაცხადა მუტაფიანი მოქმედ პატრიარქად.

თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეისწავლა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განაცხადა, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდა პატრიარქის არჩევნების დამკვიდრებულ ნორმებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევამ დაადასტურა, თუ რამდენად ფრთხილად ეკიდება ცენტრალური ხელისუფლება საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს. 1998 წლის 19 აგვისტოს პრემიერმინისტრმა მესუთ ილმაზმა გაუგზავნა წერილი სტამბულის გუბერნატორს, არჩევნების დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარების მოთხოვნით. 1 სექტემბერს გუბერნატორმა არჩევნები დანიშნა. პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა და დიდი ეროვნული ასამბლეის სპიკერმა ჰიქმეთ ჩეთინმა სომხურ საზოგადოებას გაუგზავნეს ღია წერილი, რომლითაც არწმუნებდნენ: თურქეთის ხელისუფლებისათვის მისაღები იქნებოდა ის პატრიარქი, რომელსაც თავად სომხები აირჩევდნენ. 14 ოქტომბერს სომხეთის საეკლესიო საზოგადოების გენერალურმა ასამბლეამ, რომელიც 16.000 წევრს ითვლიდა, თითქმის ერთხლოვნად, ახალი პატრიარქის თანამდებობაზე აირჩია მუტაფიანი. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა თურქეთში აირჩიეს პატრიარქი, რომელსაც ღიად არ უჭერდა მხარს ხელისუფლება. ნოემბერში გაიმართა პატრიარქის კურთხევის ცერემონიალი, რომელსაც ესწრებოდნენ თურქეთის მაღალი თანამდებობის პირები, ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში, ამერიკის შეერთებული შტატების კონსული, მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიური ლიდერები და დიპლომატები.

## **დ) რელიგიური უმცირესობათა უფლებები, რომელთაც არ იცავს ლოზანის ხელშეკრულება**

### **1. სირიელი მართლმადიდებლები**

მსოფლიოში 3 მილიონამდე სირიელი მართლმადიდებელია, აქედან 20.000 თურქეთში ცხოვრობს. მათი სასულიერო სახლია მორ გაბრიელის მონასტერი მიდიათში (თურქეთის სამხრეთ ნაწილში), რომელიც დაარსებულ იქნა 397 წელს. მონასტერი ზრდის ბერებს, მღვდლებსა და მოძღვრებს. მოზარდები გაკვეთილებს საღამოობით, სავალდებულო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ესწრებიან. 1998 წელს ადგილობრივი ისლამური ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ, ხელი შეეშალათ მონასტრისათვის რელიგიისა და ძველი არამეული ენის სწავლებაში; ამ ენას იყენებენ სირიელ მართლმადიდებელთა საეკლესიო რიტუალებში და სასულიერო პირთა აღზრდისას. სწავლება დროებით შეჩერდა, რასაც დაერთო გუბერნატორის ბრძანება მონასტრის სარესტავრაციო სამუშაოების შეჩერების

თაობაზე, სათანადო ნებართვის არარსებობის მოტივით. მოგვიანებით, ცუდი საერთაშორისო რეზონანსის გამო, გუბერნატორმა საჭიროდ ჩათვალა მონასტრისათვის აღდგენითი სამუშაოების ჩატარების ნებართვა მიეცა.

თურქეთში სირიულ მართლმადიდებელ ეკლესიას რთული მომავალი აქვს, რადგან კანონით მხოლოდ თურქეთის მოქალაქეებს აქვთ უფლება, გახდნენ სასულიერო პირები, ხოლო ევროპასა და ამერიკაში ემიგრაციის მზარდი მასშტაბების გამო, ეკლესიის ადამიანური რესურსები სულ უფრო მწირი ხდება.

## 2. ასურელები

ასურელები რელიგიური და ეთნიკური საზოგადოებაა, რომელიც გამოირჩევა საკუთარი რწმენითა და სირიული დიალექტით. ამ ენაზე საუბრობენ ასურული საზოგადოების უზუცესი წარმომადგენლები ლიტურგიების დროს, თუმცა, ხშირად კერძო დიალოგებშიც იყენებენ. ასურელები ესწრებიან მუსულმანურ რელიგიურ სწავლებებს საჯარო სკოლებში, მათ ეკლესიებს კი ჩამორთმეული აქვთ ქონების შექმნის უფლება. რამდენიმე ხნის წინ თურქეთის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებმა დაანესეს გარკვეული აკრძალვები რელიგიურ სკოლებსა და მონასტრებში სირიული ენის სწავლებაზე, რაც, მათი განცხადებით, 1997 წლის ოქტომბერში კანონის ტექნიკური მხარის დარღვევის შედეგია. თუმცა, საბოლოოდ, გაკვეთილების მიმდინარეობა ისევ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა.

## 3. სსპა რელიგიური დაჯგუფებები

1999 წლის სექტემბერში იზმირის პოლიციამ დააკავა ევანგელისტური ეკლესიის 40 წევრი მოტივით, თითქოს მათ დაარღვიეს კანონის მოთხოვნა, რაც ითვალისწინებს ღვთისმსახურების ადგილების დაარსებასა და რელიგიური მომსახურების განწევას მხოლოდ წინასწარი ნებართვის შემთხვევაში. მტკიცებულებათა უკმარისობის გამო ისინი მალევე გაათავისუფლეს.

## 2. მუსულმანები

### ა) ჩალმების საკითხი

თურქეთში არაერთხელ წარმოიშვა დავა სეკულარისტებსა და ისლამისტებს შორის ჩალმებთან დაკავშირებით. მას შემდეგ რაც 1996 წელს ისლამისტურმა

რეფაჰის პარტიამ ხელთ იგდო ხელისუფლების სადავეები, კანონის იმ ნორმისადმი დამორჩილების მოთხოვნა, რომელიც თავსაბურავების ტარებას კრძალავდა, ნელ-ნელა შესუსტდა. რელიგიური სამოსელის ტარების პოპულარიზაციამ სეკულარისტული დანესებულებების დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. 1997 წლის 28 თებერვლის ეროვნული უშიშროების საბჭოს „რეკომენდაციის“ თანახმად, „კანონის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება, რაც თურქეთს ჩამორჩენილი ქვეყნის იმიჯს უქმნის, დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს, ამასთანავე უნდა ამოქმედდეს კანონის შესაბამისი ნორმები, განსაკუთრებით, საჯარო დანესებულებებში“. ზოგიერთი მუსულმანი ქალის მიერ თავსაბურავებისა და ჩადრების ტარება სამხედროებმა და სხვა სეკულარისტებმა გამომწვევ საქციელად აღიქვეს.

საჯარო დანესებულებებში თავსაბურავების ტარების აკრძალვას დაპირისპირება მოჰყვა. 1998 წელს განათლების მინისტრის დეკრეტით დანესდა მკაცრი ზედამხედველობა სკოლებში სათანადო ჩაცმულობაზე, რამაც დიდი დემონსტრაციები გამოიწვია. ასობით მასწავლებელი დაითხოვეს განათლების სისტემიდან ისლამური თავსაბურავის ტარების მიზეზით. 1998 წელს, სასწავლო აკადემიური წლის დაწყებამდე, უმაღლესი განათლების საბჭომ დაანწესა, რომ მდებარეობითი სქესის არცერთი სტუდენტი არ დაიშვებოდა უმაღლესი სასწავლებლის ტერიტორიაზე, თუ სპეციალური საშვების გაცემისას არ წარადგენდა სურათს, სადაც იგი იქნებოდა გამოსახული თავსაბურავის გარეშე. სტუდენტებმა, რომლებიც ატარებდნენ თავსაბურავს, მოთხოვნა აღიქვეს ისე, თითქოს სახელმწიფო მათ არჩევანის წინაშე აყენებდა — დაერღვიათ ყურანის აკრძალვა იმის სანაცვლოდ, რომ მიეღოთ უმაღლესი განათლება, რაც, მათი აზრით, რელიგიის თავისუფლების ფესქვეშ გათელვა იყო. 1998 წლის ოქტომბერში მთელი ქვეყნის ქუჩები დემონსტრაციებმა მოიცვა. 1999 წლის დეკემბერში უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სტამბულის უნივერსიტეტის სტუდენტის სააპელაციო სარჩელი რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ თავსაბურავის ტარება სულაც არ წარმოადგენდა „დემოკრატიულ უფლებას“. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კომისიაში თურქეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა გოგონამ გაასაჩივრა უნივერსიტეტისა და ამ საკითხზე თურქეთის სასამართლო ხელისუფლების მიღებული გადაწყვეტილებები. სტუდენტ გოგონას უარი ეთქვა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მან დიპლომის მისაღებად წარადგინა სურათი, სადაც იგი ისლამური თავსაბურავით იყო გამოსახული. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის არჩევით, სტუდენტმა უკვე აღიარა სეკულარისტულ სასწავლებელში არსებული წესები, რაც თავსაბურავის გარეშე გადაღებული სურათის წარდგენასაც გულისხმობდა. ეს საკითხი ამით ამოიწურა.

ჩალმების საკითხის ირგვლივ დიდი დრამა დატრიალდა 1999 წლის არჩევნებისას. მერვე კავაქჩი არჩეულ იქნა დეპუტატად ღირსების პარტიის სიით. მან გადაწყვიტა,



ფიცის დადების ცერემონიაზე, რომელიც დიდ ნაციონალურ ასამბლეაში გაიმართა, ჩაღმით გამოცხადებულიყო და ამით არაფრად ჩაეგდო კანონის მოთხოვნა. პრემიერმინისტრ ბულენტი ეჯვეითის დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ სასტიკად დაგმო კავაქჩის ამგვარი ქმედება და გააძევა იგი პარლამენტიდან. პრეზიდენტმა დემირელმა მაშინ კავაქჩის უცხო ქვეყნის, კერძოდ, ირანის ჯაშუშობაშიც კი დასდო ბრალი. ამას მოჰყვა საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ირანის სრულუფლებიანი ელჩის სახელზე ნოტის გაგზავნა, სადაც დაგმობილი იყო კავაქჩის მხარდამჭერი აქციები თეირანში. საბოლოოდ, თურქეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა კავაქჩის თურქეთის მოქალაქეობა იმ მოტივით, რომ მან მოიპოვა აშშ-ის მოქალაქეობა თურქეთის ხელისუფალთა თანხმობის გარეშე. ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება სასამართლომ კანონიერად სცნო. კავაქჩის მხარდამჭერები ბრალს უყენებდნენ ხელისუფლებას, რომ ის კანონის მოთხოვნებს აწრცელებდა მხოლოდ ცალკეული პირების მიმართ. კავაქჩის მონინააღმდეგეები კი მას და ღირსების პარტიას უყენებდნენ ბრალდებას, რომ ისინი რელიგიას იყენებდნენ პოლიტიკური მიზნებისათვის.

ხშირად ახსენებდნენ აბსოლუტურად საპირისპირო საქციელს, რომელიც ნესრინ უნალს, ეროვნული მოძრაობის პარტიის ახლადარჩეულ დეპუტატს უკავშირდებოდა. ნაციონალისტური მოძრაობის პარტიიდან დეპუტატად არჩეული ეს ქალბატონი ყველგან ისლამურ თავსაბურს ატარებდა, მაგრამ ასამბლეის სხდომებზე მიზანშეწონილად მიაჩნდა კანონის მოთხოვნების დაცვა და თავსაბურის გარეშე გამოცხადება. ფიცის დადების ცერემონიაზე თავსაბურის გარეშე მისმა გამოცხადებამ დარბაზში მსხლომ დეპუტატთა აპლოდისმენტები გამოიწვია.

## **ბ) 1997 წლის 28 თებერვლის რეკომენდაციის სხვა ეფექტები**

1997 წლის 28 თებერვალს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია შეიცავდა რამდენიმე მოთხოვნას, რომელიც კრიტიკოსებმა აღიქვეს, როგორც რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის შეზღუდვა. მაგალითად, რეკომენდაციაში მითითებული იყო, რომ სავალდებულო უნდა გამხდარიყო რვანლიანი უწყვეტი სწავლება, რაც დაიცავდა ახალგაზრდობას „ზეგავლენისაგან“ და განუმტკიცებდა სიყვარულს ათათურქის იდეალებისადმი. ხელისუფლებამაც დაუყოვნებლივ დააკანონა რვა წლიანი სახელმწიფო სასწავლო კურსის სავალდებულობა. ეს ფაქტი საბოლოოდ გამოიწვევს იმამ-ჰათიპის კერძო რელიგიური სკოლების დახურვას, რომლებიც ასევე რვაკლასიანია. (იმ სასწავლებლებელთა მოსწავლეებს, რომლებიც აღნიშნული კანონის მიღებამდე იქნა დაარსებული, უფლება მიეცათ, დაემთავრებინათ სრული სასწავლო კურსი). კერძო პირებს კვლავ რჩებათ უფლება, დაესწრონ რელიგიურ გაკვეთილებსა თუ სემინარებს

სავალდებულო სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ. უშიშროების საბჭომ ასევე უკანონოდ გამოაცხადა საქმიანობა, რომელიც ემსახურებოდა რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ უზრუნველყოფას, როგორცაა მათთვის ცხვრის ტყავების საჩუქრად გადაცემა, რაც რელიგიური მსხვერპლშენიშვნისათვის გამოიყენება. ულტიმატუმით აღნიშნული საკითხი შემდეგნაირად აიხსნა: „უნდა აიკრძალოს ანტირეჟიმული ორგანიზაციის მიერ მსხვერპლად შეწირული ცხვრების ტყავების საჩუქრად მიღება საკუთარი ფინანსების დაზოგვის მიზნით“. აღსანიშნავია, რომ საბჭომ არ აკრძალა ცხოველების რელიგიური დანიშნულებით მსხვერპლად შეწირვა.

# ნიდერლანდები

## შესავალი

ნიდერლანდებში რელიგიის თავისუფლება სათავეს მე-16 საუკუნის რელიგიური ომების დროიდან იღებს, რის შედეგადაც პირველად მოხდა რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური აღიარება 1579 წელს, თუმცა საკმაოდ შეზღუდული ფორმით. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეკულარიზაციის პროცესი დაიწყო მე-19 საუკუნეში და საბოლოოდ დასრულდა კონსტიტუციაში 1983 წელს შეტანილი ცვლილებებით. კონსტიტუციის მე-6 მუხლის მიხედვით, რელიგიური კუთვნილების ან მსოფლმხედველობის გამო დისკრიმინაცია აკრძალულია. ცნება „მსოფლმხედველობის“ გამოყენებით რელიგიური და არარელიგიური მოძღვრებები თანასწორად დაცულია ნიდერლანდებში.

1995 წლის აღწერის შედეგად ნიდერლანდების მოსახლეობის 33 პროცენტი თავს რომის კათოლიკურ ეკლესიას მიაკუთვნებს, 14 პროცენტი — ჰოლანდიის რეფორმისტულ ეკლესიას, 7 პროცენტი — კალვინისტია, 7 პროცენტი — სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობას აღიარებს, ხოლო მოსახლეობის 40 პროცენტმა არცერთი რელიგიური მიმდინარეობა არ მიუთითა. 1900-იანი წლებიდან რელიგიურ მიმდევართა რაოდენობაში მკვეთრი ცვლილება დაიწყო. ჰოლანდიის რეფორმისტული ეკლესიის მიმდევართა რიცხვი ორჯერ შემცირდა, ამავე დროს 16-ჯერ გაიზარდა არატრადიციულ რელიგიათა მიმდევრების რიცხვი. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევრები კონცენტრირებული არიან ჩრდილოეთ ბრაბანტსა და ლიმბურგში, პროტესტანტები კი დომინირებენ სამხრეთ-დასავლეთიდან (ზელანდია) ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ (გრონინგენი). მუსლიმთა და ინდუსთა რიცხვი გაიზარდა ისეთი ქვეყნებიდან იმიგრაციის შედეგად, როგორცაა მაროკო, თურქეთი, ინდონეზია და სურინამი. სეკულარიზმი უფრო დიდი ქალაქებს ახასიათებს. ძირითად ჯგუფებს — კათოლიკეებს, პროტესტანტებსა და სეკულარისტებს შორის სხვაობა თვალსაჩინოა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა, განათლება, პოლიტიკა, პროფკავშირები, მედია და ა.შ.

## I. კონსტიტუცია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ

სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამიჯვნას ნიდერლანდებში საუკუნეები დასჭირდა. 1814 წლის კონსტიტუციის მიხედვით ყველა რელიგია თანასწორია და სახელმწიფოს არ აქვს უფლება განსაზღვროს დომინანტი რელიგიური მიმდინარეობა, რადგანაც ყველა მათგანი ერთი და იმავე უფლებებით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას დიდი ხნის მანძილზე მიაჩნდა, რომ მას სრული უფლება აქვს, ჩაერიოს რელიგიურ გაერთიანებათა შიდაორგანიზაციულ საკითხებში; განსაკუთრებით ეს ეხებოდა ჰოლანდიის რეფორმისტულ ეკლესიას.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სექულარიზაციის პროცესი მე-19 საუკუნეში დაიწყო და დასრულდა 1983 წელს კონსტიტუციის რევიზიით. კონსტიტუციის მე-6 მუხლი აცხადებს:

„1. ყველას აქვს უფლება თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, გამოაცხადოს თავისი რელიგიური კუთვნილების ან მსოფლმხედველობის შესახებ, პირადად ან სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში.

2. შენობებს გარეთ რელიგიური რიტუალების შესრულების უფლების განხორციელების წესი შეიძლება მონესრიგდეს კანონით მოსახლეობის ჯანმრთელობის, ტრანსპორტის მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით“.

კონსტიტუციის პირველი მუხლის მიხედვით გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა, მიუხედავად რელიგიური ან მსოფლმხედველობითი კუთვნილებისა. ტერმინის „მსოფლმხედველობა“ გამოყენებით რელიგიათა უპირატესობის არარსებობას გაესვა ხაზი. რელიგიები და არარელიგიური მსოფლმხედველობები თანასწორია. ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება გარანტირებულია როგორც მოქალაქეებისათვის, ისე არამოქალაქეებისათვის, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. მცირეწლოვანს ასევე შეუძლია ისარგებლოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული უფლებით, თუკი მას უნარი აქვს, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი მსოფლმხედველობა.

რელიგიის თავისუფლებასთან ერთად ნიდერლანდების კონსტიტუციით აგრეთვე გარანტირებულია სიტყვის თავისუფლება, გაერთიანებათა თავისუფლება და მათი თანასწორობა.

## II. საერთაშორისო ვალდებულებანი

ნიდერლანდები ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოა. რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი.

ნიდერლანდებს რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმი, რომლის მე-2 მუხლის მიხედვით: „ყველას აქვს განათლების უფლება. დაცულ უნდა იქნეს მშობელთა უფლება, მათმა შვილებმა მიიღონ საკუთარი რელიგიისა თუ მსოფლმხედველობის შესაფერისი განათლება“.

რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება 1948 წლის ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის აკრძალული საერთაშორისო ხელშეკრულებით, ნიდერლანდების მთავრობა არ იღებს რაიმე ზომებს რომელიმე რელიგიისათვის უპირატესობის მისანიჭებლად.

### III. კანონდებლობა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რელიგიური გაერთიანებები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მათი ორგანიზაცია და სტრუქტურა კანონით მონესრიგებული არ არის. მათი ორგანიზაციული სტრუქტურა განსაზღვრულია ამ ეკლესიათა შიდა სამართლებრივი აქტებით. რელიგიის თავისუფლების პრინციპის გამო რელიგიურ ორგანიზაციებს მინიჭებული აქვთ უფლება, თვითონ განსაზღვრონ თავიანთი სტრუქტურა და საქმიანობის წესი. ამ თვალსაზრისით ნიდერლანდების კანონმდებლობა ძალზე ლიბერალურია.

რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან საქმიანობას მოგების მიღების მიზნით, ვალდებული არიან, გადაიხადონ გადასახადები; ის ორგანიზაციები, რომლებიც კანონით გათვალისწინებულ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან, შეიძლება გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან ზოგადი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. მათი საჯარო ხასიათიდან გამომდინარე, საგადასახადო შეღავათების მქონე ორგანიზაციები ვალდებული არიან, საჯაროდ გამოაცხადონ პრესით თავიანთი საქველმოქმედო მიზნების შესახებ. საშემოსავლო გადასახადის შესახებ კანონის 47-ე მუხლი ადგენს, რომ ეკლესიებისა და მსოფლმხედველობითი გაერთიანებებისადმი შესანიშნავი ექვემდებარება საგადასახადო შეღავათს. ტრადიციულად, საგადასახადო შეღავათები წრცელდებოდა ქრისტიანული ეკლესიებისა და ებრაული რელიგიური გაერთიანების სასარგებლოდ განხორციელებულ შესანიშნავ. დღეს კი საგადასახადო შეღავათი ყველა რელიგიურ და მსოფლმხედველობით გაერთიანებაზე წრცელდება. ამასთან, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონი ათავისუფლებს რელიგიურ საზოგადოებებს უძრავი ქონების გადასახადისაგან.

საჯარო გამოსვლებისა და მანიფესტაციების შესახებ 1988 წლის კანონმა საბოლოოდ გადანყვიტა გაჭიანურებული დავა რელიგიური რიტუალის საჯაროდ აღსრულების შესახებ. ამ კანონით გაუქმდა 1848 წელს შემოღებული აკრძალვა ქუჩებში კათოლიკური პროცესიების ჩატარების თაობაზე. ეს კანონი ეხება როგორც მიტინგებს, ისე დემონსტრაციებს და იძლევა გარანტიას, პირებმა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი რელიგიური შეხედულებები საჯაროდ და აღასრულონ შესაბამისი რიტუალები საჯარო ადგილებში. ამ კანონის ძალაში შესვლამდე დემონსტრაციის ჩატარებისათვის აუცილებელი იყო ქალაქის (სოფლის) საკრებულოს წინასწარი წერილობითი ნებართვა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, დემონსტრაციის გასამართად ან საჯარო ადგილას რელიგიური რიტუალის შესასრულებლად საკმარისია წინასწარი ერთჯერადი განცხადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიდერლანდებში არ არსებობს რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური სამთაფრობო დანესებულებები.

## IV. მნიშვნელოვანი საკითხები

ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან ფინანსური განზომილებაც ახლავს. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საფინანსო ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ 1983 წლის კანონით. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებული ასწლოვანი ფინანსური ურთიერთობა შეწყდა, რითაც ეკლესია სრულად გამოეყო სახელმწიფოს. იმავე წელს გაუქმდა კანონი ეკლესიათა შენობების მშენებლობის სუბსიდირების შესახებ. მიუხედავად ამისა, რელიგიური და მსოფლმხედველობითი გაერთიანებები ფინანსურად მაინც არიან დაკავშირებულნი სახელმწიფოსთან. მაგალითად, სახელმწიფო რიგ შემთხვევებში გამოყოფს სუბსიდიას ისტორიული ან არქიტექტურული ღირებულების მქონე მონუმენტურ საეკლესიო შენობათა აღდგენისა და შენახვისათვის. სამთავრობო სუბსიდიების გამოყოფა შესაძლებელია შეიარაღებულ ძალებში, პენიტენციურ დაწესებულებებში, ჰოსპიტალებსა და მოხუცებულთა სახლებში რელიგიური რიტუალების აღსასრულებლად, აგრეთვე საჯარო სკოლებში რელიგიური და იდეოლოგიური სწავლებისათვის. ასეთი სამთავრობო სუბსიდიები გამოეყოფა იმ რელიგიურ ორგანიზაციებს, რომელიც აღნიშნულ საქმიანობას განახორციელებს.

1988 წელს სამთავრობო კომისიამ პრემიერმინისტრსა და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა დასკვნა იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებულიყო რელიგიური და მსოფლმხედველობითი გაერთიანებების სუბსიდირება. კომისიამ უარყოფითად შეაფასა რელიგიურ და მსოფლმხედველობითი გაერთიანებებისათვის ზოგადი სუბსიდიების გამოყოფა, მაგრამ მოინონა ამ ორგანიზაციათა მიზნობრივი დაფინანსება განათლების, სოციალური სამსახურებისა და დახმარების სფეროში.

# პოლონეთი

## შესავალი

პოლონეთის რესპუბლიკა, ძირითადად, კათოლიკურ სახელმწიფოდ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ქვეყნის მოსახლეობის 95,8 პროცენტი რომის კათოლიკურ ეკლესიას მიაკუთვნებს თავს. ქვეყანაში მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც — მართლმადიდებლები, პროტესტანტები, მუსლიმანები, ბუდისტები და ა.შ. ქვეყნის მოსახლეობაში კათოლიკეთა წილით პოლონეთი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში და შეიძლება შეედაროს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია (დაახლ. 97%), ესპანეთი (94.9%) და მექსიკა (95.4%).

1995 წელს პოლონეთში ცხოვრობდნენ 59 ეკლესიისა და სხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლები. 1997 წლის ბოლოსათვის კი მათი რიცხვი 151-მდე გაიზარდა. კათოლიკურ ეკლესიას დაახლ. 35 მილიონი მრევლი ჰყავს (მათ შორისაა ბერძნული კათოლიკური ეკლესიის 110 ათასი წარმომადგენელი), პოლონეთის ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას კი 550 ათასი მრევლი ჰყავს, იეჰოვას მოწმეთა რაოდენობა დაახლ. 123 ათასია, აუგსბურგის კონფესიის ევანგელისტური ეკლესიის წევრთა რაოდენობა 87 ათასს შეადგენს, პოლონეთის ეროვნულ კათოლიკურ ეკლესიას 24 ათასი წევრი ჰყავს, ორმოცდაათიანელთა ეკლესიას — 18 ათასი, ძველ კათოლიკურ ეკლესიას — 26 ათასი. ხოლო ყველა დანარჩენ რელიგიურ ორგანიზაციას — დაახლოებით 10 ათასი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოლონეთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადანაცვებდა კათოლიკური რელიგიის შეზღუდვა და ნებისმიერი გზით ცდილობდა კათოლიკური ეკლესიის გავლენის შემცირებას. საბჭოთა სისტემის დომინირების დროს პოლონეთმა გადმოიღო სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის საბჭოური (ენ. „მტრული გამიჯვნის“) მოდელი.

რომის კათოლიკურ ეკლესიას პოლონეთის მღვდლთა რიცხვის განმავლობაში ძალზე ძლიერი პოლიტიკური პოზიციები გაუჩნდა. ეკლესიის კავშირები პოლონურ



ნაციონალიზმთან უაღრესად მჭიდროა, უფრო მეტიც, პოლონეთში ეროვნული ეკლესიის ტრადიცია უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოსი.

რომის კათოლიკურმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომუნისტური რეჟიმის სანინაღმდეგო მოძრაობაში და ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია; რომის კათოლიკური ეკლესია, როგორც დამოუკიდებელი მხარე, მონაწილეობდა 1989 წელს მრგვალი მაგიდის მოლაპარაკებებში ხელისუფლებასა და „სოლიდარობას“ შორის. ამ მოლაპარაკებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის დამარცხებაში.

კომუნისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ ეკლესიას უარი არ უთქვამს პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვანი როლის შესრულებაზე. ეკლესიის ამგვარი პოზიცია მკაცრად გააკრიტიკეს რიგმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ძალებმა, რომელთაც მიაჩნდათ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მოქმედებისას აღარ არსებობს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეკლესიის აქტიური ჩარევის აუცილებლობა. ერთმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა აღნიშნა:

„კათოლიკურ ეკლესიას პრობლემა შეექმნა პოლონურ დემოკრატიაში. დემოკრატია პრობლემები აქვს პოლონურ კათოლიკურ ეკლესიასთან. რატომ ხდება, უკვირთ კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, რომ, ეკლესია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლონეთის გათავისუფლების საქმეში, დღეს თავისუფალ პოლონეთში კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. პოლონური დემოკრატის მომხრეებს კი უკვირთ, რომ დემოკრატის მიმართ ეკლესია ისეთ უკმაყოფილებას გამოხატავს, რაც, თავის დროზე, ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგაც კი არ გამოუხატავს. არადა, დემოკრატამ ეკლესიას ყველა მისი უფლება დაუბრუნა. რატომ გახდა ეკლესიისათვის ტოლერანტობა საეჭვო სიტყვა?“

## I. რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები

კომუნისტური რეჟიმის დასასრულის შემდეგ, პოლონეთის რესპუბლიკამ შეიმუშავა შერეული, საპრეზიდენტოსა და საპარლამენტოს ჰიბრიდი მოდელი, რომელიც ეფუძნება მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას და თავისუფალ არჩევნებს. 1997 წლის კონსტიტუციამ შეზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილებანი და ნაბიჯი გადადგა საპარლამენტო დემოკრატიისაკენ. პრეზიდენტი სახელმწიფო ხელისუფლებას იყოფს პარლამენტთან, პრემიერმინისტრთან და მინისტრთა საბჭოსთან.

რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით, 1997 წლის კონსტიტუცია ასახავს კომპრომისს ქვეყნის დემოკრატიულ ძალებსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის. კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები მოითხოვდნენ კონსტიტუციის პრეამბულაში სიტყვა „ღმერთის“ დაფიქსირებას. საბოლოოდ კომპრომისი მიღწეულ იქნა და პრეამბულა ასე ჩამოყალიბდა:

„ჩვენ, პოლონელი ერი — რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც მოიცავს იმ პირებს, რომლებიც აღიარებენ ღმერთს — ჭეშმარიტების, სამართლიანობის, მშვენიერების და სიკეთის წყაროს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ამ რწმენას არ იზიარებენ, მაგრამ სხვა წყაროებზე დაყრდნობით პატივს სცემენ უნივერსალურ ფასეულობებს, ყველა თანასწორია უფლებებსა და ვალდებულებებში პოლონეთის წინაშე...“

კონსტიტუციის 25-ე მუხლი აღიარებს ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა თანასწორობას:

- „1. ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები თანასწორია.
2. პოლონეთის ხელისუფლება მიუკერძოებელია რელიგიური და ფილოსოფიურ მრწამსის საკითხებში და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის თავისუფალი გამოხატვა.
3. სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დამოკიდებულება უნდა დაეფუძნოს ავტონომიურობისა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის, აგრეთვე, საზოგადო სიკეთისათვის თანამშრომლობის პრინციპებს.
4. პოლონეთის რესპუბლიკასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობას განსაზღვრავს პოლონეთსა და წმინდა საყდარს (ვატიკანი) შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება და კანონმდებლობა.“

რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებით პოლონეთის კონსტიტუციაში აღნიშნულია:

- „1. ყველას აქვს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება.
2. რელიგიის თავისუფლება გულისხმობს რელიგიის აღიარებას საკუთარი არჩევანის საფუძველზე, აგრეთვე რელიგიური რიტუალების როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად შესრულებას საჯაროდ ან სხვებისგან დამოუკიდებლად. რელიგიის თავისუფლება მოიცავს რელიგიური საკულტო ნაგებობების მფლობელობას, აგრეთვე პირის უფლებას, ყველგან შეძლოს რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მიღება.
3. მშობლებს აქვთ უფლება, უზრუნველყონ შვილების სულიერი და რელიგიური აღზრდა საკუთარი რელიგიური კუთვნილების შესაბამისად.
4. ეკლესიათა და სამართლებრივად აღიარებულ სხვა რელიგიურ გაერთიანებათა რელიგიური მოძღვრება შეიძლება ისწავლებოდეს სკოლებში, მაგრამ ამ დროს არ უნდა დაირღვეს სხვა პირთა რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება.
5. რელიგიური რიტუალების საჯაროდ შესრულების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის, მორალის, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ინტერესებისათვის.
6. არავინ არ უნდა იქნეს იძულებული, მონაწილეობა მიიღოს ან მონაწილეობა არ მიიღოს რელიგიური რიტუალების შესრულებაში.
7. არავინ არ უნდა იქნეს იძულებული, საჯარო ხელისუფლების მიერ მიეთითოს საკუთარი მსოფლმხედველობა ან რელიგიური კუთვნილება.“

პოლონეთის კონსტიტუციით ასევე გარანტირებულია სხვა ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა პრესის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, გაერთიანებათა თავისუფლება და სხვა პოლიტიკური უფლებები.

## II. საერთაშორისო ვალდებულებები

პოლონეთს რატიფიცირებული აქვს უმთავრესი საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც შეეხება რელიგიის თავისუფლებას, მაგ.:

გაეროს წესდება;  
 1948 წლის ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია;  
 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი;  
 1975 წლის ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის საბოლოო აქტი;

1981 წლის გაეროს დეკლარაცია რელიგიური მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;  
 პოლონეთის კონსტიტუციის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათი რატიფიკაციის შემდეგ, პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნიათ. რელიგიის შესახებ კანონის პრეამბულაში მითითებულია, რომ ამ კანონის მიღებისას პოლონეთის პარლამენტი ხელმძღვანელობდა ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის საბოლოო აქტით, რელიგიური მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს დეკლარაციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

პოლონეთსა და წმინდა საყდარს — ვატიკანს შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია 1993 წლის 28 ივლისს ვარშავაში დადებული კონკორდატით, რომელიც რატიფიცირებულია პოლონეთის მიერ 1998 წლის 8 იანვარს.

### III. კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების შესახებ

რელიგიის თავისუფლების სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს 1989 წლის 17 მაისის კანონი რელიგიათა და აღმსარებლობათა თავისუფლების შესახებ. მიღების შემდეგ ამ კანონში ექვჯერ იქნა შესწორება შეტანილი და ყველა ეს ცვლილება მნიშვნელოვანი გახლდათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კანონი შეიცავს მითითებას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებზე.

რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონი იმეორებს კონსტიტუციურ დებულებებს რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით და აცხადებს, რომ პოლონეთის რესპუბლიკაში გარანტირებულია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კანონში ნათქვამია, რომ „რელიგიის თავისუფლება გულისხმობს რელიგიის აღიარებას საკუთარი არჩევანის საფუძველზე, აგრეთვე რელიგიური რიტუალების როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად შესრულებას საჯაროდ ან სხვებისგან დამოუკიდებლად.“ კანონი ასევე შეიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის დებულებას: „მოქალაქეები, ყველა რელიგიის მიმდევრებიც და არამორწმუნენიც, სარგებლობენ თანაბარი უფლებებით პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“.

ძირითადი ნორმა ჩამოყალიბებულია კანონის მე-2 მუხლში, სადაც მოცემულია რელიგიის თავისუფლების შესახებ დეტალურ უფლებათა ჩამონათვალი. ასეთ უფლებებს განეკუთვნება:

- ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა შექმნის უფლება;
- რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის უფლება;
- ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა წევრობის უფლება;
- შვილების აღზრდა რელიგიური მრწამსის შესაბამისად;
- საკუთარი რელიგიური შეხედულების ან რელიგიური კუთვნილების თაობაზე დუმილის უფლება;
- იმავე რწმენის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ქონის უფლება;
- რელიგიის საკითხებზე საინფორმაციო წყაროების გამოყენების უფლება;
- რელიგიური საკულტო ნივთების წარმოებისა და შექმნის უფლება;
- კლერიკალური ან სამონასტრო წესის არჩევის უფლება;
- რელიგიური მიზნების შესასრულებლად რელიგიურ გაერთიანებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება;
- რელიგიური წესების შესაბამისად დაკრძალვის უფლება;

რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის სანქციები

მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 194-196 მუხლებში. ეს სანქციები მოიცავს ჯარიმას, თავისუფლების შეზღუდვას (მინიმალური — ერთი თვე, მაქსიმუმი — ერთი წელი) ან თავისუფლების აღკვეთას (მინიმ. 3 თვე, მაქსიმ. — 2 წელი).

სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, პირისათვის რელიგიური კუთვნილების უფლების შეზღუდვა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლის შესაბამისად, ეკლესიის ან რელიგიური ორგანიზაციის რელიგიური რიტუალის განხორციელებისათვის ბოროტი განზრახვით ხელის შეშლა ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად, რელიგიური გრძნობების ხელყოფა რელიგიური თაყვანისცემის ობიექტის ან საკულტო ადგილის შეურაცხყოფით ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 წლამდე.

#### IV. რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის მომხსარებელი კანონმდებლობა

რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის ძირითად მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს კანონი რელიგიების და აღმსარებლობათა თავისუფლების შესახებ.

ამ კანონის თავდაპირველი ვერსია ძალზე ლიბერალური იყო ახალ რელიგიურ გაერთიანებათა შექმნის თვალსაზრისით. კანონის მე-3 თავი „ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა შექმნა“ — შეიცავდა მხოლოდ ორ მოთხოვნას რელიგიურ გაერთიანების დაფუძნებისათვის: 1) სათანადო განცხადების/დეკლარაციის წარდგენა რელიგიის საკითხთა ორგანოში და 2) გაერთიანების სახელის შეტანა ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა რეესტრში. რეგისტრაციის მომენტიდან რელიგიური გაერთიანება შეიძენდა იურიდიულ სტატუსს და სარგებლობდა კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და მოვალეობით. „სათანადო განცხადება/დეკლარაცია“ წარდგენილ უნდა ყოფილიყო პოლონეთის არანაკლებ 15 მოქალაქის მიერ.

იმის გამო, რომ ზოგიერთი პირი ბოროტად სარგებლობდა კანონით დადგენილ რეგისტრაციის ამ ლიბერალური პროცედურით, ეს წესი შეიცვალა 1998 წელს. მე-3 თავი გაუქმდა და შეიცვალა ახალი დებულებებით ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის შესახებ. კანონის ახალი ვერსიის მიხედვით, რელიგიურ გაერთიანებათა შექმნისა და რეგისტრაციის პროცესი ავტომატური არ არის. რეგისტრაციის შესახებ განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს პოლონეთის არანაკლებ 100 მოქალაქის მიერ. გადანყვეტილებას რეგისტრაციის შესახებ იღებს შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრი. რეგისტრაციის მომენტიდან რელიგიური გაერთიანება იძენს იურიდიულ სტატუსს და სარგებლობს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებითა და მოვალეობით.

კანონის 37-ე მუხლში მოცემული დელეგირების უფლებამოსილების საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრი გამოსცემს ნორმატიულ აქტს ეკლესიათა და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

საზოგადოებრივ გაერთიანებათა შესახებ კანონის მე-7 მუხლის მიხედვით: „ეს კანონი არ ვრცელდება ეკლესიებსა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებზე“.

პოლონეთის კონსტიტუციის 53-ე მუხლის აცხადებს, რომ: „რელიგიის თავისუფლება მოიცავს რელიგიური საკულტო ნაგებობების მფლობელობას, აგრეთვე პირის უფლებას, ყველგან შეძლოს რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობის მიღება.“

ეკლესიების და სხვა რელიგიურ გაერთიანებათა მიერ ქონების ფლობის უფლების განხორციელების წესი მოცემულია კანონში რელიგიების და აღმსარებლობათა თავისუფლების შესახებ, კერძოდ, მის მე-4 თავში, რომლის სახელ-

წოდებაა „ზოგიერთ ეკლესიის საკუთრების უფლების რეგულირება“.

ებრაულ რელიგიურ საზოგადოებას საკუთრება დაუბრუნდა „სახელმწიფოსა და ებრაული საზოგადოების ურთიერთობის შესახებ“ 1997 წლის 20 თებერვლის კანონის საფუძველზე. კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის ებრაული საზოგადოების მფლობელობაში არსებული ქონება გამოცხადდა მათ საკუთრებად. კანონის 30-ე მუხლი კი ადგენს, რომ ებრაულ საზოგადოებას უფლება აქვს მიმართოს განცხადებით სახელმწიფოს იმ ქონების დაბრუნების თაობაზე, რომელიც კონფისცირებული იქნა სახელმწიფოს მიერ 1939 წლის 1 სექტემბერს.



## V. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური სამთავროვო დაწესებულებები

უკანასკნელ წლებში პოლონეთში მიმდინარე დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესის გამო რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებულ სამთავრობო დაწესებულებათა ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მკაცრი სახელმწიფო კონტროლის სისტემა შეცვალა სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემამ, რომელიც გულისხმობს რეგისტრაციას, ინფორმირებას, კონსულტაციებს, განხილვას და, მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში, აკრძალვას.

რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობო დაწესებულებები შეიძლება დაიყოს ისეთ დაწესებულებებად, რომლებიც შექმნილია ექსკლუზიურად რელიგიურ გაერთიანებებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად და სხვა დაწესებულებებად, რომლებსაც რელიგიურ გაერთიანებებთან კავშირი აქვთ მხოლოდ მათ კონკრეტულ იურისდიქციაში შემავალი საკითხების გადანყვევტისას. ყველაზე მნიშვნელოვან სპეციალიზებულ სამთავრობო დაწესებულებას წარმოადგენს შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო. რელიგიური საკითხების გადანყვევტისათვის ამ სამინისტროში შექმნილია რელიგიის საკითხთა დეპარტამენტი. რელიგიური გაერთიანებები რეგისტრირდებიან შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტროში.

რელიგიურ გაერთიანებათა ადგილობრივი ადმინისტრირება ხორციელდება ვოევოდების მიერ.

1997 წელს შეიქმნა უწყებათაშორისი ჯგუფი ახალ რელიგიურ მიმდინარეობათა საკითხებზე. ეს უწყებათაშორისი ჯგუფი არის პრემიერმინისტრის სათათბირო ორგანო და შედგება:

1. თავმჯდომარე — შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის მინისტრის მოადგილე;
2. წევრები — იუსტიციის, ეროვნული თავდაცვის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა, განათლების და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები;
3. მდივანი — ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დანიშნული შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტროს მოხელე.

## VI. მნიშვნელოვანი საკითხები

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიული, პოლიტიკური და დემოგრაფიული მიზეზების, პოლონური საზოგადოების რელიგიური სტრუქტურის გამო რომის კათოლიკური ეკლესია პოლონეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამის შედეგია ის, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიებს შორის წარმოშობილ ყველა ძირითად კონფლიქტში მხარეს რომის კათოლიკური ეკლესია წარმოადგენს. სახელმწიფოსა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს შორის კონფლიქტის მასშტაბებით გაცილებით უფრო მცირეა.

უკანასკნელ წლებში მიმდინარე დემოკრატიული ტრანსფორმაციის გამო ბევრი კონფლიქტი დაკავშირებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებსა და საეკლესიო შეხედულებებთან. კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნება ისეთ საკითხებზე, როგორცაა აბორტი, სკოლებში რელიგიის სწავლება, სკოლებში რელიგიური პირების ადგილი, ეკლესიის მონაწილეობა პოლიტიკაში და ა.შ.

დემოკრატიული ტრანსფორმაციის შემდეგ ისტორიულად დომინანტმა კათოლიკურმა ეკლესიამ უნდა განსაზღვროს მისი როლი და ადგილი ახალ პოლონურ საზოგადოებაში. ამ დროს მას ორი შესაძლო არჩევანი გააჩნია:

1. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა და საერო სახელმწიფოს მოდელის აღიარება;
2. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფაზე უარის თქმა რელიგიური სახელმწიფოს მოდელის სასარგებლოდ და სახელმწიფოს სტრუქტურაში ეკლესიის ჩართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას „ქრისტიანული ფასეულობების“ დაცვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობისას. მიუხედავად იმისა, რომ რომის კათოლიკურ ეკლესიას არასოდეს არ ჩამოუყალიბებია ცალსახად და ნათლად თავისი პოზიცია ამ საკითხზე, მისი ქმედებები აშკარად მიუთითებენ არჩევანს რელიგიური სახელმწიფოს მოდელის სასარგებლოდ.

პოლონეთი ოფიციალურად ყოველთვის საერო სახელმწიფო იყო და ეს აღიარებულია კიდევაც 1989 წლის შემდგომ მიღებულ სამივე კონსტიტუციაში. ამ ფაქტის მიუხედავად, კათოლიკურ ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეგავლენა მოეხდინა სახელმწიფო პოლიტიკაზე. ხშირად სახელმწიფო იძულებული გამხდარა, შეეცვალა სახელმწიფო პოლიტიკა კანონქვემდებარე სამთავრობო აქტების მიღებით, რომლებიც გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდნენ კანონის დებულებებს. კათოლიკური ეკლესიის გავლენის ხარისხი იცვლებოდა იმ ფაქტიდან გამომდინარე, თუ რომელი პოლიტიკური

ძალა იყო ხელისუფლებაში. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ სამ პერიოდს:

1989-1993, საწყისი პერიოდი, რომელიც უშუალოდ მოჰყვა პოლონეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ხასიათდებოდა კათოლიკური ეკლესიის ძლიერი გავლენით. ამ პერიოდში კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენას ხელს უწყობდა იმუამინდელი პრეზიდენტი ლეხ ვალენსა. მაშინ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მოძღვრის ინსტიტუტის შემოღება სახელმწიფო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებებში რელიგიურ სიმბოლოთა გამოფენა, სასწავლო პროგრამებში რელიგიის საგნის შემოტანა, „ქრისტიანული ფასეულობის“ მოთხოვნა მას-მედიისათვის, კათოლიკური ეკლესიის დომინანტური მდგომარეობა სხვა ეკლესიების მიმართ, პოლონეთის მთავრობასა და წმინდა საყდარს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებების გარეშე საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმება;

1993-1997 პოლიტიკური ცვლილებების პერიოდი აღინიშნა კათოლიკური ეკლესიისა და კონსერვატორული პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოების გარკვეული იმედგაცრუებით. ამას შედეგად მოჰყვა პოლონეთის პარლამენტში ძალაუფლების გადასაცვლება მემარცხენე-ცენტრისტული პოლიტიკური ძალისაკენ, რომელიც უმეტესად შედგებოდა ყოფილი კომუნისტური პარტიის წევრებისაგან. ამ პერიოდის განმავლობაში კათოლიკური ეკლესიის გავლენა შემცირდა, სხვა რელიგიურ გაერთიანებებს მიენიჭათ კათოლიკური ეკლესიის მსგავსი რიგი უფლებები, წარმართა მოლაპარაკებები ვატიკანთან კონკორდატის დებულებებზე, მნიშვნელოვნად შემსუბუქდა აბორტის შესახებ კანონის მკაცრი დებულებები.

1997-2000 პრო-კათოლიკური პოლიტიკური ძალების გამარჯვებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კათოლიკური ეკლესიის შესუსტებული გავლენა. ამ დროის მოვლენათაგან მნიშვნელოვანია: კონკორდატის რატიფიცირება, სეიმში წმინდა ჯვრის გამოფენა, განათლების სამინისტროს მიერ რელიგიური კრიტერიუმის გამოყენება სკაუტთა ორგანიზაციებისათვის გრანტის გაცემისას.

სახელმწიფო სკოლების პროგრამაში რელიგიის სწავლების შემოღებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ნათლად მიუთითებს კათოლიკური ეკლესიის გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე. კომუნისტური რეჟიმის დროს რელიგიის სწავლება სკოლებში აკრძალული იყო. პოლონეთის 1952 წლის კონსტიტუცია ეფუძნებოდა საერო სახელმწიფოს, ხოლო 1961 წლის განათლების კანონი — საერო განათლების კონცეფციას. 1989 წლის შემდეგ მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტები შესაძლებლობას აძლევენ სხვადასხვა ეკლესიებსა და რელიგიურ ორგანიზაციებს, სკოლებში ასწავლონ რელიგიური მოძღვრება მშობელთა ან კანონიერ წარმომადგენელთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

კათოლიკური ეკლესიის მოთხოვნით განათლების მინისტრმა 1990 წლის 3 აგვისტოს გამოსცა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც კათოლიკური რელიგია ისწავლება უკლებლივ ყველა სასკოლო დაწესებულებაში არჩევით საგნად. სხვა რელიგიური გაერთიანებების ზენოლით განათლების მინისტრმა იმავე წლის 24 აგვისტოს გამოსცა ახალი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც სხვა რელიგიური

გაერთიანებები რელიგიის სწავლების იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც კათოლიკური ეკლესია.

ამის შემდეგ სახალხო დამცველმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვა განათლების მინისტრის ორივე ინსტრუქციის გაუქმება. სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ ეს ნორმატიული აქტები ეწინააღმდეგება სახელმწიფოსაგან ეკლესიათა გამოყოფის კონსტიტუციაში ასახულ პრინციპს და რელიგიის თავისუფლებას. სახალხო დამცველმა ანტიკონსტიტუციურად მიიჩნია ასეთი დებულებების კანონქვემდებარე აქტით გადაწყვეტა და მოითხოვდა მსგავსი საკითხების კანონით მოწესრიგებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ, საჯარო განხილვის შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ომბუდსმენის კრიტიკის ფონზე მიმდინარეობდა, არ დააკმაყოფილა სარჩელი და ეს ინსტრუქციები კონსტიტუციურად მიიჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის დებულება განმარტა, როგორც სახელმწიფოს შეზღუდული აკრძალვა რელიგიურ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად და დაადგინა, რომ სახელმწიფოს მცირეოდენი დახმარება არსებული რელიგიური ორგანიზაციებისადმი არაკონსტიტუციურად არ ჩაითვლება. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რელიგიის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპი არ ზღუდავს მოქალაქეებს, ღიად გამოაცხადონ თავიანთი რელიგიური კუთვნილება და, შესაბამისად, მშობლებს შეუძლიათ თავიანთ შვილებს ასწავლონ შესაბამისი რელიგიური მოძღვრება. ანტიკონსტიტუციური ის იქნებოდა, თუკი სახელმწიფო მოსთხოვდა თავის მოქალაქეებს, ღიად განეცხადებინათ საკუთარი რელიგიური კუთვნილება. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ ამგვარი საკითხების გადაწყვეტა, კონსტიტუციის შესაბამისად, არ განეკუთვნება საკანონმდებლო ხელისუფლების ექსკლუზიურ სფეროს და, შესაბამისად, მინისტრს ამგვარი ინსტრუქციის გამოცემის უფლება ჰქონდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამმა წევრმა დაწერა განსხვავებული აზრი, სადაც მითითებული იყო, რომ ამგვარი საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაში შედის, აღმასრულებელ ხელისუფლებას კონსტიტუციით შეზღუდული აქვს ნორმათშემოქმედებითი საქმიანობა და ამიტომაც მინისტრის ინსტრუქციები არაკონსტიტუციურია.

1991 წლის 7 სექტემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი განათლების შესახებ. ამ კანონის მიხედვით, სახელმწიფოს დაევალა უზრუნველყოს რელიგიური სწავლება სტუდენტის ან მშობლის მოთხოვნის საფუძველზე. განათლების მინისტრის 1992 წლის 14 აპრილის ბრძანებით სასკოლო პროგრამას დაემატა ეთიკა, როგორც ახალი ალტერნატიული საგანი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არ სურდათ რელიგიის შესახებ საგნის გავლა. სახალხო დამცველმა კიდევ ერთი სარჩელი წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოში ამ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა:

„რელიგიის მასწავლებელთათვის სახელმწიფოს მიერ ხელფასის გადახდა არ არის აკრძალული კონსტიტუციით და კანონმდებლობით;

სასკოლო ატესტატში რელიგიის (ეთიკის) საგნის ნიშნების შეტანა არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის, სახელმწიფოს საერო ბუნებისა და ნეიტრალურობის პრინციპებს;

რელიგიური სიმბოლოების საკლასო ოთახებში განთავსება არ ეწინააღმდეგება რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის იძულების კონსტიტუციურ აკრძალვას, თუკი ეს მოსწავლეთა მკაფიო მოთხოვნას წარმოადგენს.

განათლების მინისტრის ბრძანებით მშობლების დავალებულება, ღიად გამოაცხადონ თავიანთი სურვილი, არ დაასწრონ საკუთარი შვილები რელიგიურ სწავლებას, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების შეზღუდული ნორმატივით შემოქმედების კომპეტენციის გადამეტებას“;

# საფრანგეთი

## შესავალი

1789 წლის რევოლუციის შემდეგ მიღებული ყველა კონსტიტუცია აღიარებდა რელიგიის თავისუფლებას. გამონაკლისს წარმოადგენდა კონსულატის და იმპერიის (1800-1815 წლები), აგრეთვე 1875 წლის კონსტიტუციები, სადაც ამის თაობაზე საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი. მაგ. მესამე წლის კონსტიტუცია (1795წ.) აღიარებდა აღმსარებლობის თავისუფლებას, ხოლო ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 10 მუხლში მითითებული იყო: „არავის არ უნდა შეექმნას რაიმე პრობლემა საკუთარი მოსაზრების ან რელიგიის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს კანონით დადგენილი წესით არღვევს საჯარო წესრიგს“. სხვა ტექსტები უფრო ორიგინალურია, მაგ. 1848 წლის 4 ნოემბრის კონსტიტუციით გარანტირებულია რელიგიათა დაცვა, ხოლო 1852 წლის კონსტიტუცია ავალდებულებს სენატს, ხელი შეუშალოს რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო კანონის გამოცემას.

რელიგიის თავისუფლება გარდუვალად წარმოშობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის პრობლემას. თავისი ისტორიის მანძილზე საფრანგეთმა ყველა სახის ექსპერიმენტი განახორციელა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ფორმის მოსაძებნად და, საბოლოოდ, არჩეულ იქნა ე.წ. „laïcité“ პრინციპი 1905 წელს, როდესაც გაუქმდა ნაპოლეონსა და რომის პაპ პიუს VII შორის 1801 წელს დადებული კონკორდატი. კონკორდატით სამოქალაქო ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების განსაზღვრაში. კონკორდატმა ას წელზე მეტი ხანი გაძლო და საბოლოოდ გაუქმდა 1905 წელს. იმხანად მიღებულ იქნა ანტისაეკლესიო კანონმდებლობა, რომლითაც დაფიქსირდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა, გარანტირებულად გამოცხადდა რელიგიური რიტუალის საჯაროდ შესრულების შესაძლებლობა და აიკრძალა ეკლესიისათვის სახელმწიფო ფინანსური დახმარების განწევა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის თანამედროვე სისტემა

სწორედ ამ საკანონმდებლო აქტს ემყარება, უნდა აღინიშნოს, რომ 1905 წლის გამოყოფის პრინციპმა თავისი ხაზგასმულად ხისტი ბუნება დაკარგა და მას შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მრავალი კონტრაქტი გაფორმდა.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი კათოლიკური ქვეყანაა (საფრანგეთის მოსახლეობის 81 პროცენტი თავს რომის კათოლიკედ მიიჩნევს). ამავდროს, ისტორიული მიზეზებისა და იმიგრაციის ფართო მასშტაბების გამო, დღევანდელ საფრანგეთში მრავალი რელიგიური მიმდინარეობაა წარმოდგენილი. საფრანგეთში 3 მილიონი მუსულმანია, რის გამოც ისლამი საფრანგეთის მეორე უდიდესი რელიგიაა. საფრანგეთში 8 დიდი და 120 მცირე მეჩეთი და ათასზე მეტი სამლოცველოა.

პროტესტანტულ ეკლესიებს ერთად 900 ათასამდე მრევლი ჰყავთ საფრანგეთში, საფრანგეთის ებრაულ საზოგადოებას — 700 ათასი წევრი, ხოლო რუსულ, ბერძნულ, სერბულ, რუმინულ, უკრაინულ, სირიულ და ა.შ. მართლმადიდებელ ეკლესიებს 200 ათასი წევრი. სომხეთის სამოციქულო ეკლესიას 180 ათასამდე მრევლი ჰყავს, აქ ისინი 1915 წლის მოვლენების შემდგომ დაფუძნდნენ.

საფრანგეთში აზიური რელიგიების წარმომადგენლებიც გვხვდება. ბუდიზმს საფრანგეთში 500 ათასზე მეტი მიმდევარი ჰყავს, ხოლო პოპულარულ ჩინურ რელიგიებს — 28 ათასი. საფრანგეთში სხვა მცირე რელიგიური მიმდინარეობებიც არის წარმოდგენილი. ზოგიერთი მათგანი იმპორტირებულია საზღვარგარეთიდან (მაგ. მორმონები, იეჰოვას მოწმეები და ა.შ), ხოლო ნაწილი წარმოიშვა რომის კათოლიკური ეკლესიისაგან სქიზმის შედეგად (მაგ. ძველი კათოლიკური ეკლესია). ყველა ამ მიმდინარეობის მიმდევართა რაოდენობა 200 ათასზე მეტია. და ბოლოს, საფრანგეთში სწრაფად იზრდება იმ რელიგიური ჯგუფების მიმდევართა რიცხვი, რომლებსაც ზოგჯერ სექტებს უწოდებენ. მათი რიცხვი 200 ათასიდან 400 ათასის ფარგლებში მერყეობს.

## I. რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები

საფრანგეთის V რესპუბლიკის კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1958 წლის ოქტომბერში. კონსტიტუციის მე-2 მუხლის მიხედვით: „კონსტიტუციის პრეამბულაში ასევე გაცხადებულია 1789 წლის ადამიანთა უფლებების დეკლარაციის და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულის იდეების ერთგულება. 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი, მიუხედავად რასისა, რელიგიისა და აღმსარებლობისა, ფლობს განუყოფელ და დაბადებით უფლებებს. 1789 წლის ადამიანთა უფლებების დეკლარაციაში ადამიანის მრავალი ფუნდამენტური უფლებაა მითითებული, მათ შორის, რელიგიურ და სხვა შეხედულებათა თავისუფალი გამოხატვის უფლება. დამატებით, გაერთიანებულ თავისუფლების პრინციპი აისახა 1901 წლის კანონში და მას კონსტიტუციური ღირებულება მიენიჭა საკონსტიტუციო საბჭოს 1971 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით.

საფრანგეთმა მიიღო მრავალი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც აკრძალულია რასის, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების გამო დისკრიმინაცია. 1972 წლის 1 ივლისის №72-546 კანონი შეიცავს დებულებებს, რომლითაც დისკრიმინაციის ზოგიერთ გამოვლინებას სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადად აცხადებს. 1990 წლის 13 ივლისის №90-615 კანონი უფრო ზოგადია და კრძალავს რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების გამო დისკრიმინაციას. ამავე კანონის მიხედვით: „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ პრინციპის დაცვა და პატივისცემა“.



## II. საერთაშორისო ვალდებულებები

საფრანგეთი შემდეგი საერთაშორისო ინსტრუმენტების წევრი ქვეყანაა:

1948 წლის ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია;

1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი;

1975 წლის ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის კონვენციის საბოლოო აქტი;

საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

რელიგიის თავისუფლების პრინციპი ძირითადად გადმოცემულია კონვენციის მე-9 მუხლში და პირველი ოქმის მე-2 მუხლში. საფრანგეთმა კონვენციის რატიფიცირება 1974 წელს განახორციელა.

საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ;

კონვენცია პერსონალური ინფორმაციის ავტომატური დამუშავებისაგან დაცვის შესახებ;

საფრანგეთი არ შეერთებია ევროსაბჭოს 1995 წლის ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო კონვენციას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევისათვის საფრანგეთი არაერთხელ გამტყუნებულა, ჯერ-ჯერობით არც ერთი გადაწყვეტილება არ არის გამოტანილი, რომლითაც საფრანგეთი გამტყუნდებოდა კონვენციის მე-9 მუხლის (რელიგიის, აზრისა და აღმსარებლობის თავისუფლება) დარღვევისათვის.

### III. რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა

რელიგიის თავისუფლების თაობაზე ფრანგული კანონმდებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ 1905 წლის კანონი, რომელმაც გარკვეული მოდიფიცირება განიცადა 1907 და 1908 წლებში შეტანილი ცვლილებების შედეგად. კანონი შეიცავს ლაკონურ დებულებებს, რომლითაც ნათლადაა ჩამოყალიბებული სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის დღეს მოქმედი კონცეფცია. ამ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკაში გარანტირებულია აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური რიტუალების თავისუფალი შესრულების უფლება. ამ უფლების ერთადერთი ნებადართული შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს საჯარო ნესრიგის უზრუნველყოფის მიზნით. მე-2 მუხლში მითითებულია, რომ სახელმწიფო არ აღიარებს, არ აფინანსებს და მხარს არ უჭერს რომელიმე რელიგიას. ამ ორი მუხლით განმტკიცებულია სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალობა და რელიგიის თავისუფლება. სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფისა და რელიგიის თავისუფლების პრინციპები დადასტურებულია 1958 წლის კონსტიტუციით. აღსანიშნავია, რომ ეს კანონი არ ფრცვლდება საფრანგეთის სამ დეპარტამენტზე Haut-Rhin, Bas-Rhin და Moselle-ზე. საფრანგეთ-გერმანიის 1871 წლის ომის შედეგად ეს სამი დეპარტამენტი იმყოფებოდა გერმანიის მმართველობის ქვეშ ამ კანონის მიღების დროს და მათზე 1805 წლის კონკორდატით გაფრცვლებული რეჟიმი ძალაში დარჩა. საფრანგეთში ამ დეპარტამენტების დაბრუნების შემდეგ მათ ძველი კანონმდებლობა შეინარჩუნეს.

#### ა) სახელმწიფოს ნეიტრალობა

##### 1. პრინციპი

ფაქტი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა არ აღიარებს რომელიმე რელიგიას, არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფო მთლიანად იგნორირებას უკეთებს რელიგიურ მიმდინარეობებს. საფრანგეთის რესპუბლიკას სურს, აღმოფხვრას განსხვავებული მიდგომები რელიგიებთან მიმართებაში და ყველა მათგანი თანასწორი იყოს სახელმწიფოსა და კანონის წინაშე. ყველა მათგანს სახელმწიფო ერთნაირად უნდა მოექცეს. რელიგიების მიმართ მტრული ან უნდობლობის განწყობა კარგა ხანია ქვეყანაში არ არსებობს. რელიგია საფრანგეთის მოქალაქის კერძო არჩევანის ობიექტია და იგი აღარ ითვლება საჯარო სფეროდ.

სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალობა ერთდროულად ნეგატიურიცაა და პოზიტიურიც. ის ნეგატიურია, რადგან სახელმწიფო უარყოფს ყველა იდეოლოგიას და არ აკეთებს არჩევანს რომელიმე აღმსარებლობის ან მიმდინარეობის სასარ-

გებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებს რელიგიურ შეხედულებათა გამოსატყვის შესაძლებლობას. ის პოზიტიურია, რადგან გარანტირებულია მოქალაქეთა მიერ თავიანთი რელიგიური რიტუალების და მსახურების თავისუფალი შესრულების უფლება. ეს გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ყველა აუცილებელ ზომას უნდა მიმართოს მოქალაქეთა მიერ რელიგიური ნორმების შესრულების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, სახელმწიფომ უნდა შეუქმნას პირობები მოქალაქეებს, რათა მათ შეძლონ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობის მიღება. ეს ვალდებულება აისახა შესაბამის კანონმდებლობაში, რომელიც ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებებში რელიგიის მსახურის სტატუსის განსაზღვრას და ა.შ.

სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონით სახელმწიფოს აკრძალული აქვს ნებისმიერი რელიგიისათვის ფინანსური სახსრების გადაცემა. ამ პრინციპის კიდევ ერთი შედეგია ის, რომ სახელმწიფო არ ერევა რელიგიურ გაერთიანებათა ორგანიზაციულ საკითხებში. სახელმწიფოს უფლება არა აქვს, განსაზღვროს სასულიერო სემინარიების რიცხვი ან მათი სასწავლო პროგრამები ანდა ჩაერიოს რელიგიურ გაერთიანებათა ტერიტორიულ თუ ორგანიზაციულ საკითხებში.

## 2. გამონაკლისები

სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპი აბსოლუტური არ არის და მას გარკვეული გამონაკლისები გააჩნია. რელიგია სოციალურ განზომილებას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, რელიგია ზეგავლენას ახდენს პირის ქცევაზე საზოგადოებაში, მეორეც, რწმენა ხშირად კოლექტიურია, რასაც მივყავართ რელიგიური საზოგადოებების ჩამოყალიბებამდე რელიგიური რიტუალების კოლექტიურად შესრულებისათვის და რელიგიური შენობა-ნაგებობების აღსამართად. ეს გარემოებები ვერ იქნება იგნორირებული სამოქალაქო ხელისუფლების მიერ. ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით ყველაზე მნიშვნელოვან გამონაკლისებს:

ზოგიერთი ღვთისმსახური, თუკი ის რელიგიურ მსახურებას აღასრულებს ციხეებში, ჰოსპიტალებში, სახელმწიფოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ კერძო სკოლებში, სამხედრო ბაზებში, გასამრჯელოს იღებს სახელმწიფოსაგან.

1905 წლის კანონის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაშია ყველა ის კათოლიკური საკულტო შენობა, რომელიც აგებულია 1905 წლამდე. შესაბამისად, სახელმწიფო აფინანსებს ეკლესიის შენობათა რესტავრაციისა და შენახვის ხარჯებს. სახელმწიფოს გააჩნია მესაკუთრესთან დაკავშირებული ყველა ფინანსური ვალდებულება, კათოლიკურ ეკლესიას კი აქვს ამ შენობათა თავისუფალი გამოყენების უფლება.

სახელმწიფო ეკლესიებს აძლევს სესხს ახალ საკულტო ნაგებობათა ასაშენებლად.

რელიგიური გაერთიანებები, მათ შორის ეკლესიები, სარგებლობენ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით. ეკლესიებისათვის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელებული საწარმოთა და კერძო პირების შემოწირულობები (მხოლოდ

კანონით დადგენილ თანხამდე) არ იბეგრება ჩვეულებრივი საგადასახადო რეჟიმით.

სახელმწიფოს აქვს საელჩო წმინდა საყდარში და, შესაბამისად, საფრანგეთში არსებობს წმინდა საყდრის დიპლომატიური წარმომადგენლობა;

სამთავრობო დაწესებულებები არ მუშაობენ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქრისტიანული დღესასწაულების დროს. სამსახურში არგამოცხადების უფლება ასევე შეიძლება მიეცეთ ებრაული, მუსულმანური და გრიგორიანული რელიგიური გაერთიანებების მიმდევრებს თავიანთი რელიგიური დღესასწაულებისას.

— 1986 წლის 30 სექტემბრის №86-1067 კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი ტელევიზიის საკვირაო პროგრამებში უნდა აისახოს იმ რელიგიურ მიმდინარეობათა რელიგიური გადაცემები, რომლებიც საფრანგეთში არსებობენ. კანონის მიხედვით, საეთერო დროის დათმობისას უპირატესობა უნდა მიეცეს იმ რელიგიებს, რომლებიც მრავალრიცხოვანი და ტრადიციულია.

## **ბ) აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა და პატივისცემა**

კანონით განმტკიცებული აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა და პატივისცემა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამ პრინციპს სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ამ პრინციპს დარღვევისათვის დაადგინოს გარკვეული სანქციები. 1905 წლის კანონის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადია პირისათვის რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მიღების ან არმიღების იძულება მუქარით ან ძალადობის გამოყენებით.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის თავისუფლება სასამართლო პრაქტიკით დაცულია და კანონსაწინააღმდეგოდ არის მიჩნეული რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ნებისმიერი მცდელობა. მორწმუნეებს, რომელთა რელიგიური თავისუფლება დაირღვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, საკუთარი უფლებების დაცვა შეუძლიათ ადმინისტრაციულ სასამართლოებში, ხოლო თუ დარღვევა კერძო პირებისაგან მომდინარეობს, უფლებების დაცვა შესაძლებელია საერთო იურისდიქციის სასამართლოებში.

აღმსარებლობის თავისუფლების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი გამოიყენება კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. საერთო ბავშვის მონათვლაზე ან რელიგიურ ქორწინებაზე ერთ-ერთი მეუღლის უარი განქორწინების გამამართლებელ საპატიო საფუძვლად განიხილება. დამკრძალავ ბიუროს, რომელიც დაკრძალვის ცერემონიალს გარდაცვლილის სურვილის მიხედვით არ განახორციელებს, დაეკისრება ჯარიმა 50 ათასი ფრანკის ოდენობით ან გამოიწვევს პასუხისმგებელი პირის თავისუფლების აღკვეთას 6 თვემდე ვადით. კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას გარდაცვლილის რელიგიური რიტუალით დაკრძალვისათვის, თუკი გარდაცვლილი სიცოცხლეში ამის წინააღმდეგი იყო.

აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით.

## IV. რელიგიურ ორგანიზაციათა საქმიანობის მომხმარებელი კანონმდებლობა

### ა) რელიგიური გაერთიანებები

1905 წლიდან რელიგიურ გაერთიანებებს იგივე სამართლებრივი სტატუსი აქვთ, რაც დადგენილია კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის. მათზე შეიძლება გავრცელდეს ან 1901 წლის კანონი გაერთიანების უფლების შესახებ ან 1905 წლის კანონი, რომელიც მათ აძლევთ შესაძლებლობას, შეიძინონ კულტურული გაერთიანების სტატუსი. ეს სტატუსი უფრო ხელსაყრელია, რადგანაც ის უფრო ფართო უფლებებს ითვალისწინებს, მათ შორის საჩუქრების და შემონიშნულობის მიღების უფლებას. გაერთიანების უფლების შესახებ 1901 წლის კანონის საფუძველზე გაერთიანების სტატუსის შექმნა უფრო ადვილია, რადგანაც ამისათვის საჭიროა რეგისტრაცია მხოლოდ ადგილობრივ პრეფექტურაში. რაიმე სახის შეზღუდვას რეგისტრაციისას კანონი არ ითვალისწინებს.

მეორე მხრივ, სახელმწიფო ადმინისტრაცია და სასამართლოები საკმაოდ მკაცრად უდგებიან 1905 წლის კანონის საფუძველზე კულტურული გაერთიანების სტატუსის მინიჭების საკითხს. ისინი ამომხმებენ, შექმნილია თუ არა გაერთიანება რელიგიური მსახურების განსახორციელებლად და საამისოდ აუცილებელი ხარჯების გასაწევად. რელიგიური მსახურების განხორციელება უნდა იყოს საზოგადოების ერთადერთი მთავარი მიზანი. ამავე დროს, გაერთიანებამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე საჯარო წესრიგს. ადმინისტრაციული ორგანოსაგან ნებართვის გარეშე, მიღებულ შემონიშნულობებზე საგადასახადო შეღავათები არ გავრცელდება.

პარლამენტისა და მთავრობის ზოგიერთი წევრისაგან განსხვავებით, სასამართლოს არ უმსჯელია ტერმინების „რელიგია“ და „სექტა“ დაზუსტების თაობაზე. სასამართლოები ლიბერალური ტრადიციების შესაბამისად, გაერთიანებას მიიჩნევენ რელიგიად, თუ მის წევრები გაერთიანებულნი არიან საერთო რწმენის საფუძველზე და იცავენ საერთო რელიგიურ დისციპლინას. სასამართლო უარს ამბობს მოძღვრების, დოქტრინის შეფასებაზე, რადგანაც მიიჩნევენ, რომ აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება აბსოლუტურია. 1997 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა საინტოლოგიური ეკლესიის ლიონის ფილიალს, ლიონის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოსათვის მთავარი საკითხია, რამდენად სცემს პატივს რელიგიური გაერთიანება კანონს და ადამიანის უფლებებს. სასამართლომ დაადასტურა, რომ საინტოლოგიური ეკლესიას აქვს რელიგიის სტატუსი, მაგრამ ამ ეკლესიის რიგი წევრები ბრალეულად სცნო თაღლითობაში და გაფლანგვაში. ამასთან, ამ ეკლესიის ლიონის ფილიალის დამფუძნებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი ეკლესიის ერთ-ერთი წევრის მკვლელობისათვის.

### ბ) კონგრეგაციები (რელიგიური ერთობები)

კონგრეგაციების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია 1901 წლის კანონით, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 1942 წლის 8 აპრილის №505

კანონით. კონგრეგაციების სამართლებრივი სტატუსი, კათოლიკური ეკლესიის გარდა, ასევე გავრცელდა სხვა კონგრეგაციებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან ხანგრძლივი ისტორიის მქონე უნივერსალურ რელიგიებთან. კონგრეგაციად აღიარებისათვის აუცილებელია პრემიერმინისტრის ბრძანებულება, რომელსაც იგი გამოსცემს სახელმწიფო საბჭოსთან კონსულტაციების შემდეგ. უარი კონგრეგაციად აღიარებაზე დასაბუთებული უნდა იყოს. კონგრეგაციის ლიკვიდაცია ან დაშლა ასევე პრემიერმინისტრის ბრძანებულების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. კონგრეგაციებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი წევრების სრული სია და უნდა აწარმოონ ბუქჰალტრული აღრიცხვა.

რელიგიურ გაერთიანებას, რომელსაც კონგრეგაციის სტატუსი არ მიენიჭა, შეუძლია იმოქმედოს 1901 წლის კანონით გათვალისწინებული გაერთიანების სტატუსით, მაგრამ ის ამ დროს ვერ ისარგებლებს კონგრეგაციებისათვის და კულტურული გაერთიანებისათვის კანონით მინიჭებული გაზრდილი შეღავათებით.

**გ) 1801 წლის კონკორდატი: სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მოქმედებს ელზასში, ლოტარინგიასა და მოზელში**

რომის პაპთან დადებული კონკორდატი ნაპოლეონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პოპულარული აქტია. 1793 წლის მაისიდან დაწყებულმა ანტისასულიერო სამთავრობო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა ფრანგულ საზოგადოებაში, გამოიწვია კონფლიქტი რომის პაპთან. კონკორდატმა აღადგინა რელიგიური მშვიდობა და დაასრულა ათწლიანი შიდასამოქალაქო სისხლიანი ანგარიშსწორება. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპი ცდილობდა დაერწმუნებინა ნაპოლეონი, გამოეცხადებინა კათოლიკური რელიგია სახელმწიფო რელიგიად, კონკორდატში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ კათოლიციზმი საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიაა. სახელმწიფომ კონკორდატით იკისრა ვალდებულება, გადაუხადოს ხელფასი სასულიერო პირებს, მათ შორის პროტესტანტული ეკლესიის მსახურებსაც.

დღესდღეობით, ელზასში, ლოტარინგიასა და მოზელში ოთხი რელიგიაა ოფიციალურად აღიარებული: რომის კათოლიკური, ლუთერანული, რეფორმისტული და ებრაული. ამ რელიგიათა აღიარების საფუძველია არა ამ მოძღვრებათა რელიგიური შინაარსი (ეს რელიგიის თავისუფლების პრინციპის პირდაპირი დარღვევა იქნებოდა), არამედ ამ რელიგიათა სოციალური ღირებულება, რამეთუ ისინი ემსახურებიან მოსახლეობის ფართო ფენებს. ებრაული რელიგია აღიარებულია 1844 წლის 25 მაისის ორდონანსით.

გაერთიანებათა შესახებ 1901 წლის კანონი არ მოქმედებს ელზასში, ლოტარინგიასა და მოზელში. გაერთიანებათა საკითხი მონესრიგებულია 1896 წლის 16 აპრილის კანონით. ამ კანონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. 1896 წლის კანონის მიხედვით:

რეგისტრაციის პროცესი უფრო რთული და ხანგრძლივია. ის უნდა განხორციელდეს სასამართლოში და არა პრეფექტურაში.

გაერთიანებას უნდა ჰყავდეს 7 წევრი მაინც, 1901 წლის კანონის მიხედვით კი, საკმარისია 2 წევრის არსებობა.

## V. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური სამთავროვო დაწესებულებები

უკანასკნელ წლებში პრემიერმინისტრმა ერთმანეთის მიყოლებით შექმნა ორი სათათბირო ორგანო, რომელთა რეკომენდაციებს სამართლებრივი ძალა არა აქვთ.

*Observatoire sur les sectes* შეიქმნა 1996 წელს. იგი შედგება ძირითად სამინისტროთა წარმომადგენლებისაგან. მას სამი ძირითადი მისია აკისრია: 1) გააანალიზოს სექტების ფენომენი; 2) წარუდგინოს თავისი მოსაზრებები პრემიერმინისტრს; 3) გამოძებნოს სექტების გავრცელების თავიდან აცილების გზები.

ამ სათათბირო ორგანომ თავისი წლიური ანგარიში გამოაქვეყნა 1998 წლის ივლისში. კომისიის მიხედვით, განგაშის საფუძველს იძლევა სექტების დაინტერესება ბავშვების ჩაბმით მათ ორგანიზაციებში. თუ 1995 წელს მხოლოდ 28 სექტა აწევრიანებდა აქტიურად ბავშვებს თავის რიგებში, 1997 წლისათვის მათმა რიცხვმა ორმოცდაათს გადააჭარბა. კომისიამ, რომელიც გესტის ან გაიარის კომისიის სახელითაა ცნობილი, სექტად 173 ჯგუფის იდენტიფიკაცია მოახდინა. ამავე დროს, კომისიამ დაადგინა, რომ არ არის საჭირო და სამართლებრივი თვალსაზრისითაც შეუძლებელია ანტისექტური კანონმდებლობის მიღება. მოქმედი სისხლის და საგადასახადო-საფინანსო კანონმდებლობა საკმარისია მათი საქმიანობის გასაკონტროლებლად და, თუ რომელიმე სექტა ამ საკანონმდებლო აქტებს არ არღვევს, არ არის აუცილებელი დამატებით რაიმე აკრძალვის დაწესება. ამავე დროს, კომისიამ აღნიშნა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო ყურადღებით უნდა იყოს, რათა რომელიმე ჯგუფმა არ დაარღვიოს კერძო პირის ინდივიდუალური უფლებები.

1998 წლის 7 ოქტომბერს პრემიერმინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა გამოსცა ბრძანებულება *Mission Interministerielle de lutte contre les sectes* (სექტების მონიტორინგის სამინისტროთაშორისო კომისია) შექმნის თაობაზე. ამ კომისიამ შეცვალა *Observatoire sur les sectes*. მთავრობის ამ სხდომის დროს პრემიერმინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებელია სექტების ფენომენის უკეთ შესწავლა, აგრეთვე, იმ სამინისტროთა კოორდინაციის გაუმჯობესება, რომელთა ფუნქციაც არის მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ახალ კომისიას დაევალია სექტების საფინანსო და ეკომონიკური საქმიანობის შესწავლა და საზოგადოების ინფორმირება გარკვეული სექტებისაგან მომავალი კონკრეტული საფრთხეების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ კომისია სექტად განიხილავს იმ რელიგიურ ჯგუფებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოქალაქეთა ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პიროვნების თავისუფლებას, ქმნიან შეიარაღებულ ჯგუფებს ან მონაწილეობენ ფინანსებთან დაკავშირებულ თაღლითურ ოპერაციებში.

კომისიის დირექტორატმა რეგულარული შეხვედრები დაიწყო 1999 წლის 26 იანვრიდან. დირექტორატში გაერთიანდნენ პარლამენტის წევრები, იურისტები და

ფსიქიატრები. დირექტორატის მთავარი ამოცანა გახლდათ კომისიის სამოქმედო გეგმის მომზადება. ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აღიარეს მოსამართლეთა, პოლიციელთა და მასწავლებელთა ტრეინინგი სექტების ფენომენთან დაკავშირებით და საზოგადოების ინფორმირება. ამასობაში, პარლამენტმა მიიღო კანონი ბავშვთა შინაურ განათლებაზე სახელმწიფო კონტროლის აღდგენის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ათასობით ბავშვი, რომელთა ოჯახის წევრები სექტების წარმომადგენლები არიან, არ დადიან სახელმწიფო სკოლებში და განათლებას სახლში იღებენ. დამატებით, პარლამენტში შეიქმნა სექტების საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო კომიტეტი.

კომისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა საფრანგეთის მთავრობის პოზიცია, რომ საჭირო არ არის ანტისექტური კანონმდებლობის მიღება. კომისიამ სექტები სამ კატეგორიად დაჰყო. ყველაზე „საშიშად“ მიიჩნის „ტოტალიტარული“ სექტები, რომლებიც არ აღიარებენ დემოკრატიულ ნორმებს, საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგს და ადამიანის ღირსებას. კომისიამ ასეთ სექტად აღიარა საინტელუგისტთა სექტა და მზის ტაძრის ორდენი. მზის ტაძრის ორდენის 74 წევრმა კანადაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში კოლექტიური თვითმკვლელობის რიტუალი შეასრულა.



## VI. მნიშვნელოვანი საკითხები

საჯარო სკოლები მკაცრად საეროა, მასში მსახურობს მხოლოდ საერო პერსონალი და რელიგიური სწავლების სასკოლო პროგრამებში შეტანა აკრძალულია. ბოლო ათწლეულში *laïcité*-ს პრინციპის მკაცრ დაცვაში ხშირად ეჭვი შეჰქონდათ მუსულმან მოსწავლეებს, რომელთაც სურდათ ტრადიციული მუსლიმანური ყელსახვევის ტარება სკოლაში. კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა 1989 წელს, როცა სკოლის დირექტორმა სკოლიდან დაითხოვა 3 მუსლიმანი გოგო სკოლაში ისლამური ყელსახვევის ტარებისათვის. ძალიან ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე მიიჩნევს, რომ ასეთი ყელსახვევი შეუთავსებელია იმ პრინციპთან, რომელთა თანახმად, სკოლები ზედმინწინით საერო უნდა იყოს. ისლამური საზოგადოების ბევრი ლიდერი სკოლის დირექტორის ამ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა; მათ უკანონოდ მიიჩნიეს ამგვარი აკრძალვა იმიტომ, რომ ქრისტიანი მოსწავლეებისათვის ნებადართული იყო ჯვრის ტარება.

სკოლის დირექტორის ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სახელმწიფო საბჭოში. სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, რომ მოსწავლის მიერ ისეთი ნიშნების ტარება, რომლებიც მის რელიგიურ კუთვნილებაზე მიუთითებენ, არ წარმოადგენს *laïcité*-ს პრინციპის დარღვევას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თვითუღმა სკოლის დირექტორმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, წარმოადგენს თუ არა ყელსახვევის ტარება პროვოკაციის, პროზელიტიზმის, პროპაგანდის ან ზენოლის აქტს, რაც, თავისთავად, სხვა სტუდენტების ღირსების ან თავისუფლებების დარღვევაა, ხელს შეუშლის თუ არა ეს სკოლის საქმიანობას და დაარღვევს თუ არა საზოგადოებრივ წესრიგს.

სახელმწიფო საბჭომ თავის შემდგომ გადაწყვეტილებებში იგივე პოზიცია დაადასტურა. სასამართლოს აზრით, დაუშვებელია სახელმწიფო სკოლებში პოლიტიკური, რელიგიური ან მსოფლმხდველობითი ნიშნების ტარების ზოგადი აკრძალვა. ასეთ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ რამდენად შეიძლება რელიგიური ნიშნების ტარება განიხილონ პროვოკაციის, პროზელიტიზმის, პროპაგანდის ან ზენოლის აქტად.

1994 წლის 29 სექტემბერს საფრანგეთის განათლების მინისტრმა ბეირუმ გამოაქვეყნა ინსტრუქცია განმასხვავებელი ნიშნების ტარების შესახებ. ინსტრუქცია ნებას რთავს მოსწავლეებს, ატარონ რელიგიური ან სხვა სახის ნიშნები. ამავე დროს, ინსტრუქციით იკრძალება ისეთი ნიშნების ტარება, რომლებიც თავისთავად შეიცავენ პროზელიტიზმის ან დისკრიმინაციის ელემენტებს. ამ ინსტრუქციით შესაბამისი დისკრეციული უფლებამოსილება სკოლის დირექტორებს ენიჭებათ. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოებმა სკოლის დირექტორთა ბევრი გადაწყვეტილება გააუქმეს იმ საფუძვლით, რომ მუსულმანი მოსწავლე გოგონების მიერ

ყელსახვევის ტარება არ შეიცავდა პროზელიტიზმის ან ზენოლის ელემენტებს.

90-იანი წლების ბოლოს საფრანგეთის განათლების მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემ ინტერვიუ მისცა ცენტრალურ გაზეთს, სადაც ისლამური თავსაბურავების სკოლებში ტარების წინააღმდეგ გამოვიდა და განაცხადა, ეს „ისლამური ფუნდამენტალიზმის ნამდვილ გამოვლინებად“ უნდა ჩაითვალოს. მოხელემ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ყოველი ასეთი შემთხვევისას უნდა მიმართოს სასამართლოს ისლამური ფუნდამენტალიზმის ამ სიმბოლოს სკოლებში დანერგვის აღსაკვეთად. მან მიუთითა, რომ ბოლო დროს შეინიშნება ამ საკითხებზე კონფლიქტების რაოდენობათა კლების ტენდენცია. დასასრულ, გამოთქვა აზრი, რომ ასეთი ისლამური თავსაბურავების სკოლებში ტარება არათანასწორობის გრძნობას იწვევს და უნდა განიხილოს, როგორც სოციალური იზოლაციის სიმბოლო.

ამ საკითხზე ერთ-ერთი სერიოზული კონფლიქტი 1999 წლის დასაწყისში წარმოიქმნა. სკოლის საბჭომ თურქ მოსწავლე ორ გოგონას ისლამური თავსაბურავების სკოლაში ტარების ნება დართო. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა სკოლის მასწავლებელთა თითქმის მთელი შემადგენლობის გაფიცვა. სკოლის მასწავლებლები ისლამურ თავსაბურავებს განიხილავენ ისლამური ფუნდამენტალიზმის სიმბოლოდ, რომელიც უარყოფს საფრანგეთის კანონმდებლობით აღიარებულ ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. გოგონების მშობლებმა უარი განაცხადეს კომპრომისზე, რის გამოც ორივე გოგონას აეკრძალა სკოლაში სიარული. ადმინისტრაციულმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და გოგონები იძულებული გახდნენ, სკოლაში მიუსვლელად მიეღოთ განათლება.

# სარჩევი

<b>შისავალი</b>	<b>3</b>
<b>ავსტრია</b>	<b>10</b>
თავი I. საპარტლავრივი და კონსტიტუციური ემსკურსი	14
თავი II. კონსტიტუციური დეპუტატები, რომლებიც ეხება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას	18
თავი III. საერთაშორისო ვალდებულებები	20
თავი IV. კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ	
თავი V. კანონები რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ	23
თავი VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები	31
თავი VII. მნიშვნელოვანი საკითხები	33
<b>აშშ</b>	<b>35</b>
თავი I. საპარტლავრივი და კონსტიტუციური სისტემა	39
თავი II. რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დეპუტატები	42
თავი III. საერთაშორისო ვალდებულებები	44
თავი IV. ძირითადი კანონები, რომლებიც ეხება რელიგიის თავისუფლებას	52
თავი V. კანონები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიურ ორგანიზაციებთან საქმიანობას	55
თავი VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური ორგანოები	57
თავი VII. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	58
<b>გაერთიანებული სამეფო</b>	<b>62</b>
თავი I-II. საპარტლავრივი და კონსტიტუციური საფუძვლები: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება	64
თავი III. საერთაშორისო ვალდებულებები	67
თავი IV. კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ	68
თავი V. კანონები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიურ ორგანიზაციებთან საქმიანობას	69
თავი VI. რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები	73
თავი VII. მნიშვნელოვანი საკითხები	74

	<b>გერმანია</b>	<b>76</b>
თავი I.	სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები	78
თავი II.	რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური დებულებები	79
თავი III.	საერთაშორისო ვალდებულებები	81
თავი IV.	კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების შესახებ	82
თავი V.	რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა	82
თავი VI.	მნიშვნელოვანი საკითხები	85
	<b>თურქეთი</b>	<b>88</b>
თავი I.	სამართლებრივი და კონსტიტუციური სისტემა	90
თავი II.	კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც ეხება რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხს	92
თავი III.	საერთაშორისო ვალდებულებები	94
თავი IV.	კანონები რელიგიის თავისუფლების შესახებ	97
თავი V.	კანონები, რომლებიც აწესრიგებენ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობას	99
თავი VI.	რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური ან კვაზი-ოფიციალური სახელმწიფო ორგანოები	101
თავი VII.	მნიშვნელოვანი საკითხები	102
	<b>ნიდერლანდები</b>	<b>115</b>
თავი I.	კონსტიტუცია რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ	116
თავი II.	საერთაშორისო ვალდებულებანი	117
თავი III.	კანონმდებლობა რელიგიური ორგანიზაციების შესახებ	118
თავი IV.	მნიშვნელოვანი საკითხები	119
	<b>პოლოეთი</b>	<b>120</b>
თავი I.	რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები	122
თავი II.	საერთაშორისო ვალდებულებები	124
თავი III.	კანონმდებლობა რელიგიის თავისუფლების შესახებ	125
თავი IV.	რელიგიურ ორგანიზაციებთან საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა	127
თავი V.	რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური სამთავროვო დაწესებულებები	129
თავი VI.	მნიშვნელოვანი საკითხები	130
	<b>საფრანგეთი</b>	<b>134</b>
თავი I.	რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძვლები	136
თავი II.	საერთაშორისო ვალდებულებები	137
თავი III.	რელიგიის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა	138
თავი IV.	რელიგიურ ორგანიზაციებთან საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა	141
თავი V.	რელიგიურ საკითხებზე პასუხისმგებელი ოფიციალური და კვაზი-ოფიციალური სამთავროვო დაწესებულებები	143
თავი VI.	მნიშვნელოვანი საკითხები	145